თავთან ბრძოლაში, მერე როგორც იყო გა-
ვზედე და უთხარ:

— თქვენ, ჩემო კეთილი, ძალიან ცდლსწამებთ ნასწავლ ყმაწეილებს. ეგ ძალიან შემ ცდარი აზრია, რომ მითომ იმათ ღმერთი არა

— კაცო, გეუბნები დაიჯერე მეთქი-თითონ, ჩემი ყურით გავიგონე, რომ № სოჭა ჩემმა შეილმა ეს მითხრაო და ამითვინ კიდეც სახლი- ღვან გავაგდეო.

— ჩაშ ის მსწავლობული კი არა, ძალიან, გრძელი, გაფუჭებული, დაღუპული — ერთისა სტუდიოთ უსაძაგლესი ყაცი ყოფილა!.....

სწორებ უნდე ვსოქვა, რომ ამ ლაპარაკით
დიდი წემი თავის უხეირობა დაგრძენ, მშენამ
გვიანდა!.. ამ ჯიუტ უაცხან მე ვეღარას გავხდე-
ბოდი, თუმცა კიდევ ჭევორუ რამზა ვსოქვი ჩენე
ჯალვაზღვბის გასამართლებლათ. ამისთვის მე
საჭიროთ დავინიჭე თავის დაძვრენა და კიდევ
მომეულ შემოთხვევა: ურთაი ვიღაც მოვიდა, ყველა
იმას მიესალმა, ამაღლი ამბების კითხვა დაიძრა და
მე ვამოვიბარე.

სტანციის სასტუმრო თთახში დავინახე ქართველი და ექიმებიელი რომელნიც ამ მცირე დრო ების განმავლობაში ისე გამეგობრებულიყონ რომ გეფონებოდათ ერთათ შეზღილანო, ეკრანი იყო და ფეხზე იდგა, საკუაიაშში იწყობდა ოცნება-ხუთამზი ჩენი ქართველი ქალების პორტრეტებს, რომელნიც რამდენიც შემდეგში შევიტყოთ ადამიანების განვითარების დრო მეტად მიჰერდა მიგადა მე რომ შეველ ის უკანა წარმოსახვა დროების ერთად ემზადებოდენ უდა იმათ ლაპარაკს შემდეგ სიკუცებს და მიუსწარ იმურცელებდე და მიუკრებდე და დასახური ასთქვა უკანა წარმოსახვა მშევნეობაზე

რამ არიან თქვენი ქალები, მაგრამ უბედროება
ეს არის, რომ თავის დანიშნულება არ ესმით.

ამის მეტს ისინი არას ფი-
ქრობენ; ბერძმა, მათგანმა არც შეიღებისაღმი
თავის მოვალეობა იცის, მიუნდჲიათ ჭანსაკუ-
თრებით, ი-ძიძების მზრუნვლებაზე და

თბილის რომ ძიძების ქალაქი
ვინმე დაარქოს, არ შესცდება ამისათვის, რომ
ნახევარი ქალაქი სულ ძიძებს უჭირავთ და
გარწმუნებენ, თითქმის მთელ ინგლისში არ შე-
ხვდებით მაგოლენს ძიძეს, რაც თფილისშია.

თავის მოვალეობის მიზანი . თავის
მოვალეობის მიზანი, რომ არ უარის
ების მის მიზანი და მის მიზანი და
მის მიზანი და მის მიზანი და მის მიზანი
და მის მიზანი და მის მიზანი და მის მიზანი
და მის მიზანი და მის მიზანი და მის მიზანი

გათენდა. მთელემარე გზისაგან და ლამინტან და-
თენთილი თვალები განვახჩლეთ. განვეტილ-
დით და ძალა განვეტახლდა. რა სასიმოვნო
დილა! ნერა ეს რო ადგილია, სადაცართ? ავხა-

დეთ ომნიბუსს აქეთ-იქით ფარლების შსგავს
 რაღაც შავად ჩამოფარებული და—უიშ—რაშვე-
 ნიერი სურათია! გძელი და ვიწრო ხეობა, ტყე,
 რომელიც სულ გაყვითლებულა, მაგრამ მა-
 ინც კიდევ ბევრია აქ სიმშვენიერე და ტროია-
 ლება. რა სანახავი აქნება ეს გაზაფხულზე! ჭა-
 ლა და იმაში რაღაც ცისფრად მოელვარე იქ-
 ლაქნება; ხან, როგორც ანკარა ძერება ჯაგებ-
 ში, ხან ხტის, როგორც ლომი უამბში, მორ-
 ბის ჭეჭა-ჭუხილით და როგორც ჭირვეული ბა-
 ვში თავის გამაბრაზებელი დიდი კაცის ფეხებს,
 ისე ეს ხან ერთი მთის ძირს მიაწყდება და ხან
 მეორისას, თითქო ამათი ძირს დაცემა ჰსურსო.
 ისინიც ამპარტავნული ღიმილით ერთმანერთს
 გამოჰყურებენ, დასკინიან ამას და ამის ყვი-
 რილის ხმას იმეორებენ. ეს ლურჯა არაგვია
 და ეს ადგილიც ის მშვენიერი ადგილია, რო-
 მელზედაც ჩვენი უკვდავი პოეტი იტყვის:

„მორბის : რაგვი არაგვიანი,
 თან მოსძახიან მთანი ტუიანნა
 და შეუძლებელ მოუთამაშებს“

გაოქმნას. თვისას ატესილ ჭაღებს» და სხვ.

სადღაც ჭალის გაღმა-გამოღმა შეიქმნა ხმაურობა და ჟღავი-ჟღუვი. აგერ მთიულის დაბრანძულ ტანისამოსში შეხვეულმა ბიჭებმა გამოაგზავრეს გაბუძკული, შინაური პირუტყვი; გადმოხტნენ გზაზედ, შეიკუნტრუშეს და გამოუდგნენ მათ. ეს არ შეაკუნტრუშებს ეს გამტკიცული და გასცეტაკებული შოსსე? კაცს შენანებია ეს მშვენიერი ბუნება და გზაც შესაფერი და შესამკობი გაუკეთებია! უცებ რომ დახედოთ გეგონებათ. გათლილი ქვააო დაგებული. გავცდით ტყესა და ჭალას. აგერ შორს, სადღაც ძალიან შორს გორიზონტზე რაღაც თეთრად შემოსილებს წვერები მიუბჯენიათ ცის კიდისთვის და იქიდვან ამპარტავნულად გამოიყურებიან. მათგან მონაბერმა ცივმა სიომ პირისაზე დაგვისუსხა, მაგრამ ეს სუსიც სასიამოვნო რამ არის! მზის კოქროს ფეროვანი სხივები გათენებას თან მოჰყვნენ, უცებ მოფრინდნენ და მიესალმნენ ამათ, დაჰკოცნეს და მერე ღელეებშიაც იწყეს მოფუნა. ბევრი რამ პოეტურია ჩვენ სამშობლო მთებში, მშვენიერს სანახავს

სურათს წარმოადგენენ ესენი; მაგრამ ჩემს სუ-
სტის და გამოუცდელს კალამს კი არ შეუძლიან
სრულიად გადასცეს მკოთხველს ის სიამოვნება,
ის აღტაცება, რომელსაც ესენი ახდენენ შეზა-
ვრის სულზე!

არაგვის ნაპირებიდგან თრივე მხრივ ნელზე
ლა მშლლდებიან მთები და მათ ფერზობებში
აქა-იქ დაფანტული დალრუბლული შეხედულო-
ბით ციხის მსგავსი სახლები მოჩანა; ეს არის
მთიულების სოფლები, რომლებიც საკუთრებულად
ხატვენ მცხოვრებლების სულს და ხასიათს: აქა-
ურ სახლებზე დაბეჭდილია რაღაც საჩდენებლო
აცრებით: აქ სცხოვრობს კურპე, შაუპოტარი
და გაუნათლებელი მთიული. ამაგან დაუქმა-
როთ ის სურათის რომელსაც სახლების
წინ საქონლის და სხვა უწმინდურობის გულ-
რები: წირმოვეიდვნენ და მაშინ მტკაცებოთ
დავრწმუნდებით, რომ განეთლების ცენტრ-მო-
ქმედ სხივებს აქ ჯერ შორიდგანაც არ ჰქადურა-
დნიათ. ეს სახლები ქართლულ და კარულ სახ-
ლებს არა ჰყვანაა: ქართლული სახლები რელის

სოროსაცით, სადღაც ძირს დედამიწაში არიან წასულები, კახურიც სრულებრივ სხვა ჰნგზე არიან აშენებულები; ესენი კი მიწიდამ საკმაოდ ამაღლებული დიდი ქვების კედლებით აშენებული და მაგრები არიან. მიწის ბანი და კედლები ერთათ არიან. გასწორებულები: ბანზე შეა ადგილს აქვთ დატანებული საკომლებები, საიდგანაც ბოლი ამოლის, — ამას ამაზედ მეტი სხვა გზა არა აქვს, მახლოდ კედლებში კი ფანჯრების მაგივრათ პატარ-პატარა ხუხრუტანეებია დატანებული. ამ ხუხრუტანეებიაც აქვთ თავისი ისტრული მნიშვნელობა: მე მითხებს, რომ მტრების დაცემის დროს მთიულები არ სად მირჩოდნენ თავის დასაცელათაო, ისინი ცოლშვილით ამ საჭლებში მაგრდებოდნენ და ამ ხუხრუტანეებიდამ აძლევდნენ. მტერს პასუხსაო.....

მაგრამ ამას დროებამდინ უნდა თავი დავანებდათ და ისევ ჩვენ გზას მიუბრუნდეთ. — ისევ დილა იყო, როცა ჩვენ მლეთის, სტანციაში გადმოვხტით. როგორც ჩვეულებრივ ხდება, ჩვენ

ჯერ სტანციის ეზოში გავიარ-გამოვიარეთ ბევრი ჯდომით დახუთული მუხლების გასამართავად და ველოდით კონდუკტორის გამოსვლას, რომელიც სტანციის ზედამხედველთან შევიდა. ამ რდგორც იყო გველირსა იმის გამოსვლაც, ვნახოთ რას იტყვის?

— უფალნო, — სთჭა კორდუხტორმა, — ზედა მხედველს თბილისიდგან მოწერილობს მოჰსნლია, რომ მისი აღმატებულება № მობძანდება და ცხენები მზათ გქვანდეს, ამისთვის ჩვენ საათის სამამდენ აქ უნდა დავრჩეთ, ვიდრე სხვა სტანციებში გაგზავნილი ცხხენები მოულენ და დაისვენებენ. ამის შემდეგ ევროპიულმა მოგზაურმა ცოტა კიდევ გაიარ-გამოიარა და მერე ჩვენ ქართველ ყმაწვილს გაულო ხელი სოფლის კენ და გაიპატიფა იქით დასათვარიელებლათ. მეც გავყევი მათ შორი-ახლო. ჩვენმა ნაცნობმა ბებერმა და მისმა თანამემამულებ კი მაშინვე ოთახი მონახეს დასაძიებლათ; ამათ ძილი ირჩივეს ამ მშვენიერს სახილველს. შევედით მლეთეში რომელიც სტანციიდამ

ას ნაბიჯზედ მეტათ არ იქნება მოშორებული ეს სოფელი სამი მხრით არის შემოზღუდული: აღმოსავლეთით უძევს კაიშაურის მთა თავის მშვენიერის ღელით, რომელიც ჩრდილოეთის-კენ უფრო და-უფრო მაღლდება და ერთდება თოვლიან მთებთან, რომელნიც შეადგენენ მლეთის და მთელი არაგვის ხეობის ჩრდილოეთის მხრივ სამზღვარს და რომლიდგანაც იღებს არაგვი დასაწყისს, დასავლეთითაც სამზღვრავს ლომისის მთა, რომელიც ეგრეთვე შეადგენს მაღალი მთების ნაწილს და რამდენიც ქვემოთ მოჭის, იმდენი მდაბლდება. ერთი სიტყვით მლე-თე სამივე მხრით შეკრულია, მხოლოდ სამხრე-თის მხრივ და რჩება მას მისავალი. ამისთანა მდებიარობისა გამო აქ მეტათ გრძელიზამთჩები სკოდნია ასე, რომ მაისის ნახევრამდინ თოვლს არ აიღებს ხოლმე, რომლის გამოც აქ გვიან ხნა-ვენ და აი ამ თვეში აქვთ გაცხარებული ლეწვა. გა-მოვიდნენ მთიულები კალოზე ზოგი დახეული ჩოხის გაქონილი და ტურტლიანი

ტყავებით, შლიანან კალოზე ძნასა და რომ
გორლაც უშნოთ იზლაზნებიან. გამორევეს ის
სახლებიდამ, სადაც თითონ ცხოვრობენ, შესაბ-
მელისაჭონელი, რომელშიაც ძროხებიც განვარ-
ჩიეთ, შეფერებულელანი ძნაზე, კისრებით გადა-
ბეს ერთმანეთზე რაღაც ჯაჭვის მსგავსათ აჩონ-
ჩხლილი წნელებით, მოიტანეს და შემოაცეს
პირებზე მცვე წნელების რგოლები, რომლებსაც
ესნი საპირეებს ეძახიან და რქებს უკან დაუ-
მავრეს ყბეზზე ამოტარებული ბაწრებით. ერთმა
ჭმრის ტყავში შეხვეულმა დიაცმა, რომელიც
ტანსაცმელში მხოლოდ იმით ირჩეოდა. მამა-
კაცისაგან, რომ ამას ჰუარამდა ფეხებამდინ წი-
თელი შილის პერანგი, მსხვილი ლენაქი და
შუბლზე თავსაკრავი, მოარბეინა სახლებ მისცა
ხელში ერთს მოზღილ ყმაწვილს და გამოუყენა
ხარებს უკან, რომელთაც უსახროთაც შეიტყეს
თავიანთი თანამდებობა და მინამ ეს მიერდოდა,
ისინიც ორჯერაც შემოტრიალდენ ჭალოზე. საწ-
ყალიც პირუტყვები! რამდენჯერმე სცადეს კუ-
ლოდგან ლუკმას ალება და დაადგის ზედ ტუჩი,

მაგრამ ტყუილათ, პირები მაგრა პქონდათ აკ-
რული და ყოველი მათი ცდილობა ამაռ იყო!

— ძმობილო, ხომ ცოდოა, რათ უკრამოზონ
რებს პირსა, — ჰკითხა ქართველმა ერთს მოხუცე-
ბულს მთიულს, რომელიც ძნას უჭირევდა.

— შაშ რაი უყოთ, ეს ერთი მჯიღ ძნაი
გოქ და ამასაც ესენი დასჭმენ, თუ საპირე არ
გაუკეთეთ.

— რათა გაქვთ ცოტა, რატო ბევრს არა
ხნავთ?

— შენამც კი გულისათ ჩამოგიღნები, — დაუ-
ყუდა მთიული ორთითზე და უთხრა ლიმილით:
აბა შენ კვნესამე, გახე აი ხრიაკებს (გაუდო
ხელი დამისის მთისკენ) სთქვენილა, იხენისა იქ?...
კიდავ კარგი რო ეგ მაინც სამყობე გვეოხროს,
ჩეენ ბეჩავთ ეგაიც არა გოქ აშ ვეტრან აღლაგ-
ში.

— მაშ როგორ სცხოვრობთ?

— რაია ჩვენი ცხოვრება შენი კვნესამე? ეს-
რეით ციბაკნიც ცხოვრობენ.

— როგორ?

— ისე რო მლეთელნი ბეჩავნი ვართ: ჯერ
ადგილ არა გოქ; თითო დღის ქერაის მოვჩიჩქ
ნით და იმასაც ხან თოვლაი იტანს, ხან კი
გვიძრების.

— ბევრი ცხვარი ვაიჩინეთ....

— ცხორი კი გყოვ, მაგრამ ზამთრით ბარად
მიგვიღის საკუებად, შინ მარტო ლუბ ცხორ ვარ-
ჩენთ და იმის დაკვებაც გვიძნელდების.

— რა ვქნა, რათა, მთები ხომ გაქვთ, რატომ
ბევრს თივას არა სთიბავთ და არ ინახავთ ზამთ-
რისოფის?

— სად გვოქა მთები?

— მაშ ეს რა არის? — მიუღი მთებზე ხელი.

— ეგ ჩვენი არ არი, ეგაიც აიმ (აჩვენა სამს-
რეთისაკენ) სოფლებისა არი.

— მაშ არც ძროხები გყავთ, რომ ერბო
შაინახოთ და იმითი აღებული ფულით იცხოვ
როთ?

— გყოვ თითო ზროხა და ხარიც, მეტ
ვერ გავკებთ.

— თუ თივა არა გაქცესთ, ან იმათ როგორ
გაჰკვებთ?

— აი მთათ იქით—(ფომისის მთაზე უჩქენა) გწყალობდეთ ხოროსანთ მსხნელი — ქსნელნი სახლობენ, იმათვან ვყიდულობთ უთიბ ბალახს, ვთიბთ და აქ მოგოჭ ჰატარ პატარა — ბულულებათა.

— თუ ეგრე ძნელია, ძმობილო, აქ ცხოვრება რატომ სხვაგან არ გადასახლდებით, ცოტა ადგილებია? — უთხრა ცოტა ხნის შემდეგ ქართველმა, რომელიც ევროპიელ მოგზაურს უთარებიდა მთიულის ნალაპარაკეებს.

— შენ კვნესამე, მამა-პაპის საცხოვრებელი როგორ დაითმის? ან სად შეგვხდების ესრეთ ჯანმრთელი ადგილი? არც მამა პაპის სალოცავნი საღმე გაგვიშვებენ, ძრიელნი არიან — ჭირი მოჭამე იმათ სამართალსა — და საკა უნდა წავიდეთ ისევ მოგვნახვენ?

— როგორ მოგნახვენ?

— დაგვმიზეზენ და ისე.

— ამდროს ევროპიელმა რალაც ჩასჩურჩულა ქართველს და ამ უკანასკნელმა სთხოვა მთიულს:

— ძმობილო, არ შეიძლება ერთი შენ საჭ-
ლში შეგვაყვანო და გვაჩვენო როგორა სცხოვ-
რობთ?

— მობძანდით, თქვენ კვნესამე, — აგდო მთი-
ულმა ორთითი და გაგვიძლვა წინ: ღუთი-
სა სტუმარნი როდის გაიბრუნების კარიღვან,
მობრძანდით.

ამის სახლი კალოზე ერთ ლც ნაბიჯზე იყო
მოშორებული. როდესაც მივდიოდით ერთ პა-
ტარა ბილიკზე ამოემართენ მწკრივად არაგვის-
პირიდგან დედაკაცები, რომელთაც მხრებზე წყ-
ლით საფსე კოკებრ ედგათ, აი როგორ იყვნენ
მორთულნი ეს მანდილოსნები: ფეხებზედ ეც-
ვათ ქალამები, რომლებსაც ძირი ტყავისა ჰქო-
ნდათ და ზევიდამაც წითელი ბაწრები ჰქონდათ
გადახლართული, (ეს იმათი ჩვეულებრივი ფეხ-
საცმელია). ვველას ჰვეხებამდენ ფარავდა გძე-
ლი პერანგები, მაგრამ ისინი ყველა ერთიფერი-
სა ად იყო: უფრო მოწიფულებს (ხნიერებს) შა-
ვი სამოსლის პერანგები ეცვათ, ახალ-გაზდეებს
სულ წითელი შილისა, ზოგსაც თეთრი სამოს-

ლასა. პეტანგებს ზევიდამ ეცვათ ზოგს ტყაურ, ზოგს დაგლეჯილი ახალუხი და ზოგსაც რაღაც ჩითისა, რომელიც სახლებით ქათიბს მიუმზ-გავსებოდა და სხვაფრივ ახალუხს. თავებზედ ეხურათ ყველას თეთრი ლეჩაჭები თავსაჭ-რავებით წაკრული, მხოლოდ ზოგს ხნია-ნებსკი რაც მოხვედროდათ, ჩოხის, კაბის თუ ახალუხების ნაგლეჯები, ის მოეხვიათ. წინ სულ მოხუცებულები მოდიოდნენ და შემდეგ ახალ-გაზდები, აქ ასეთი ჩვეულობა ჰქონიათ რომ ახალგაზდებს თავისზე უფროსების წინ გავლა არ შეუძლიანთ — სირცხვილია. პატარძლებში იმ სოფლის, რა სოფელშიაც არიან გამოიხოვი-ლები, არამთუ უფროსების, თავისზე უნცროსე-ბის წინაც არ უნდა გაიარონ და ყველას კო-კები იმათ უნდა აუმსონ. ვიდრემდის ჩვენ და-გვიახლოვდებოდნენ ლეჩაჭის ყურები ზოგიერ-თა ახალგაზდა ქალებს მხრებზე ჰქონდათ გადა-ყრილი და მაისის ვარდივით გაშლილი სატრ-ფიალო სახეები მოჩანდნენ და როდესაც და-

გვიახლოვდნენ ყველამ აიხიეს პირი და ლეჩაქ
ქვეშ ქურდულად დამფრთხვალი მშველებივით
დაგვიწყეს ცქერა, მაგრამ იმათი ზოგის წყლი-
ანი შავი მიბნედილი და ზოგისაც ცქვიტი გაზე-
ლის თვალები ცხადათ ამტკიცებდნენ, რომ ისინი
მშვენიერნი ბუნების შვილნი არიან. მშვენიერი
ყველა სასიამოვნოა, მაგრამ ის სიმშვენიერე
სჯობს ხელოვნებითს, რომელიც თვით ბუნე-
ბით არის მშვენიერი, მასში უფრო ბევრს სია-
მოვნებას და ტრფიალებას ჰქონებს კაცი, მით
უფრო სტუბება მისი ესტეტიკური გრძნობები.
უნებურად მიიტაცა ჩვენი თვალები ამ ველუ-
რმა მშვენიერმა სქესმა და ველარ ვაშორებდით,
მაგრამ იმათ აქ აგვიქცივეს მხარი და შევიღნენ
თავთავიანთ სახლებში.

— აბა დიაკო, — შეპყვირა ჩვენშა მასპინძელმა
მთიულმა კარებიდამ თავის ცოლსა: დაგვიხვდებია
თუ არ? ღუთისა სტუმარნი გვწევიეს.

— მობძან-დით, — გამოგვძახა დედაკაცის ხმა
საიდლამაც.

წინ მასპინძელი შეგვიძლვა, იმას გუ-
ლადათ მიჰყვა ქართველი ყმაწვილი კაცი

ამას მე და მეც ეკრაპიელი მოგზაური. შევედით, მაგრამ ისეთი საშინელი ბოლი იდგა, რომ ერთმანერთს ვეღარ ვარჩევდით; ქართველი ყმა-წვილი შინ დარჩენილ ცხვრებს წევჯახა და ძირს დაეცა. ევროპიელი ცოტა ხანს კი მოგვ-ყვა, მერე გაჯავრებით სთქვა: «აქ, ხალხი კი » არა პირუტყვები ყოფილანო, მე მანდ არ შე-მიძლიან შემოსვლა, ამ ბოლში დავიხრჩობიო» და უკან დაბრუნდა. მეც, თუმცა ყელი და თვა-ლები ძალიან დამეწო, მ. გრამ შევყევსახლში, სა-დაც სკამები მოგვართვეს და შუაზე დანთებუ-ბული ცეცხლა-პირას დაგვსხეს. ვგონებ არიქ-ნება ურიგო, რომ მკითხველს რამდენიმე სი-ტყვით აუწეროთ -ეს სახლი: შუა ცეცხლზე რყო გადებული, ერთი ღიღი ხე, რომე-ლსაც ქვეშ წვრილი შეშები ენთო და იწოდა; ამას ორივე მხრივ კეცები ჰქონდა მიღმული და ორი კეციც კერის პირზე იდგა ნაცარ წაყრილი და ზედ დასტრიალებდა ერთი შალის ფართუკიანი დამკლავებული დედაკაცი, რომელსაც სხვათა შრრის სარტყელში ხარის გამხმარი კულიც ერჭო, ჩვენ წინ ზოგგან დაგ-

ლეჭილი ცხრის ტყავები, ზოგგანაც ნაბღის
ნაგლეჭები იყო დაფენილი და ზედ პატარა დაბ-
ლრან ძული ცმაწვილები ეყარნენ, რომელთაც
ბევრი ცეცხლთან ჯდომისგან ასტკრეცოდათ
ტიტველა კანჭები. კერის თავში და ბოლოში
თითო დიდობონი შევი ბოძები იდგა, რომლებიც
სხვა და სხვანაირათ იყვნენ აჭრელებულნი და
რომლებსაც სახლის თითო დიდობონი თავხე და-
ყრდნოდა. კერის თვის ბოძის უკან დიდი ვარ-
ცლი დღვა და იმ ვარცლის უკანაც სხვა და სხვა
ზოგი დამტვრეული და ზოგიც მტნრიანი და
ტურტლიანი ჭურჭელი ეყარა. შარჭენივ მხრივ
თავ ახდილი კუბოს მსგავსები რაღაებიც იყვნენ
რომლებშიაც თითო დაკონკებული საბანი ეჩ-
დო და ძირს თივა იყო გაშლილი. ეს გახლავთ
იმათი საწოლი. ამ საწოლის დასწრებივ იწყობა
ფეხ მსხუილი პირუტყვების (ხარების და ძროხების)
საწოლი. ამ საწოლებ შეა გარდი-გარდმო არის
გადებული პატარა ხევბი, რომელნიც აშორებენ
ადამიანის და პირუტყვების საწოლს ერთმანეთ
რთს, თორებ უიმისოთ ერთათ იქმნებიან შე-

ერთებულნი. მეორე მხრივ ამ საწოლების პირ-და-პირ, საღაც ჩვენი ქართველი დაეცა, ცხვა-რები ეყარნენ, რომლებზედაც ეს ალავი დამჭ-რდნებულია ზამთრის გასატარებელ ბინათა. სულ ბოლოში კერის პირ-და-პირ კიდევ კედელი იყო გასული; ამ კედელთანაც გოდრები იღ-გნენ, რომელთაც ეტყობოდა, რომ ქათმების ღამის განსასვენებელი ადგილი უნდა ჟოფი-ლიყოს ამ გოდრების გასწვრევი ერთი რაღაც. უშველებელი შავი კარები იყო ჩამოკიდებუ-ლი. შუადგილს ქონდა რამდენათმე ბანზე ამა-ლლებული საკომი, საიდამაც კომლი ადიოდა.

შესახებ სისუთთავისა უნდა ესთქვა, რომ ამა-თი ცხოვრება სრულებით გიგინის წესზე არ იყო: ნაგავი, მჭვარტლი, ჭოჭი, ჭუჭყი და სხვა უწმინდურობა შეადგენენ ამ სახლის უმთავრეს კუთვნილებას; ამას რომ დაუმატოთ პირუტყვე-ბის განავლის სუნიც, ჩვენ წარმოგვიდგება ის მდგომარეობა, რა მდგომარეობაშიაც უნდა ყო-ფილიყვნენ პირველ— მყოფნი კაცნი, ანუ რა მდ-გომარეობაშიაც წარმოგვიდგენენ მოგზაურნი

აფრიკის ნეგრებს და სხვა ველურ ხალხთ. ერთის სიტყვით შესაზარს და გულის ამამღვრეველს სურათს წარმოადგენდა ეს ოჯახი.

ჩამოცუცქდა ჩვენი ახავანი მასპინძელი — ჩვენ გვერდით პატარა სკამზე და დაგვიწყო შექცევას ხეა-და-სხეა საუბრებით. ჩვენც გავალვიძეთ სხეა-და-სხეა კითხვა შესახებ მათი ცხოვრებისა და წარსული დროებისა, რადგანაც ამ ხალხში ძველი დროების შესახებ ბევრი წყაროები მოიპოვება, იმან ბევრი რამ ჰყიამბო გულისსიმარტივით, ბევრი რამ გვითხრა სამწუხარო და გულის მომკვლელი, ბევრი კარგი რამგვითხრა, მაგრამ, სამწუხაროდ, მკითხველი კი ჩვენს დროებაში მწერალობით ვერას შეიტყობს, თუ თითონ თავისურით არ მოისმინა! ჩვენს პატივ ცემულს მასპინძელს არ ესმოდა თითონ. რა გულის კვნესას, რა დარღს გვიცხადებდა ჩვენ ის ინსტიკტით და ეს შენიშვნა უფრო გულს გვიკლავდა ჩვენ, აშვოთებდა და ამღვრევდა ჩვენ ძარღვებში სისხლს და სულ-

განაბულნი მხურვალის თანავრძნობით უგდებდით ყურს იმის გულის ცემას. გასაკვირველი რამ იყო ეს ჩვენი მგზავრი ქართვლიც, ამის ხასიათთან იყო შეერთებული რაღაც რამ ბუნებითი, რომელიც ვერც აღზრდას, ვერც სწავლას და ვერც სხვა სიცოცხლის ბრუნვას ვერ დაეხშო და რაკი დაიძროდა ეს «რაღაც რამ ბუნებითი» ისე აენთებოდა, რომ მისი თანასავრძნობი (*Симпатиии*) შეხედულობა შესაზარელი გახდებოდა. ეხლაც ამ ჩვენი მასპინძლის ბასმა აღძრა და სასიამოვნო მჭევრი თვალები სიხლით აემსო, შექმნეს ძარღვებმა მის სახეზე თრთოლა და — ერთის სიტყვით დეემგზავსა ჭაბუკს ლომს...,

თავის ბასში ჩვენი მასპინძელი ხშირად იმეორებდა სიტყვას «ლომისა ხეარსანთ მსხნელი», ამისათვის არ იქმნება მეტი, რომ ამაზე მაინც ვსთქვათ ორიოდე სიტყვა: ლომისის სახელი და მის ძრიელება ვვონებ ყოველმა ქართველმა უნდა იცოდეს, განსაკუთრებით იმათ, ვისაც მკითხავების ზე შთაგონება სწამთ, რადგანაც მკითხა-

ვები უფრო ცშირათ ამ ხატის მიზეზს ადებენ წოლმე თავიანთ მორწმუნე ქართველებს. მათს ში ბეჭრი შეგვხვდებათ დაჩარტახებული ურმები და ფურგუნები საქართველოს ყოველ კუთხიდაშ არაგვისკენ მიმავალი ლომისის დამის სათევლად და შესავედრებლად, — ეს წს ლომისა გამლავო, რომლის ძრიელებითანაც ეხლა გვაუწობთ მკითხველს.

ჩვენ გვინდოდა ამ სახელის (ლომისა) ფილიალობიური მნიშვნელობა შეგვეტყო და ამისთვის ბეჭრი ვალაპარაკეთ ეს ამაზე; თუმცა ამის ლაპარაკიდამ ამ სიტყვის მნიშვნელობა ვერ შეფიტყო, მაგრა სხვათა შორის ერთი ფაქტი გვიამბო, რომელშიაც არ შეიძლება რამდენიმე ისტორიული სიმართლე არ იყოს. აი ის ფაქტია ერთხელ აქაური მცხოვრებლები ზეარასანთ *) დიდი დამარცხების შემდეგ გადაუსახლებიათ თავიანთ ქვეყანაში და ეს წმინდა გიორგის ხატიც თან წაუღიათ. რამდენიმე ხნის შემდეგ ა

*) ზეარასანი სამთაჭროა სპარსეთში

მხარეში გაჩენილა საშინელი სიმშრლი და მკითხავების სიტყვით ეს მიზეზი ქართველებისთვის და იმათი სალოცავი ხატისთვის მიუწერიათ. ამის გამო ხვარასნის მთავარს უბრძანებია ამ ხატის საკირეში დაწვა და, როდესაც ჩაუგდეთ იჭ, მაშინ შიგ ცეცხლში წმინდა გიორგით მოსწერებიათ და ძალიან შეშინებულან; მერე ამოფრენილა საკირიდგან უვნებელად, მხოლოდ ცალი მხარე კი შესტკრუსია. ჩვენი თანამესაუბრე გვარწმუნებდა, რომ, ის მხარე ეხლაც შეტრუსული აქვთ. შიმშილს ზედ მოჰყოლია ჭირი და სხვა-და-სხვა ავანტყუობა, რომელთაც ძალიან უჟღეტიათ დამტკვევებელი ხალხი უკითხავთ მკითხავებისთვის შიზეზი და გრძალ უთქვამთ, ფიდრემდის ეგ ხატი აქ არის, ჩვენში შიმშილი და სნეულობა არ გადავარდებაო. მაშინვე გა მოუგზავნიათ, მაგრამ იმჯვე ღამეს იქვე მოფრენილა. უკითხავთ, რისთვის არ მიდისო? მკითხავს უთქვამს ეგ მინამ არ წავაო, შინგმ მაგის მორწმუნე ხალხს ტყველბიდამ არ გაამოავისუფრეთო. მაშინვე მთავარ-მართებელს იმათი გა-

შვება უბძანებია და მეორე დღესვე გამოუმგზავ-
რებია სულ ერთიანათ, მხოლოდ ერთი კოჭლი
ბებერი დედაკაცი, რომელსაც ალარ შესტლებია
წამოსვლა, აქ დარჩენილა და ლომისასაც ამის-
თვის თავი არ დაუნებებია.— ხო გავისტუმრეთ
ხალხიო, ეხლა მაინც არატომ არ მოგვშორდება
თავიდამ ეს ჩვენი დამლუპველიო, უკითხავთ ხვა-
რასანთ კიდევ მკითხავისთვის და იმას უპასუხნია,
რომ ერთი კოჭლი ბებერი კიდევ დარჩაო და
იმას შეჰყურებსო. მოუნახავთ ეს ბებერიც და
მაშინვე გამოუგზავნიათ. ლომისაც მაშინვე გა-
ფრენილა ერთ ხარის ნახირში, უპოვნია ერთი
ბულა მოზვერი, ჩამჯდარა იმის რქებ შუა და
გამოუწევია. მოზვერი, როგორც ფრინველი,
ისე თურმე მოფრინავდა დაუღლელად, მხოლოდ
სამ ადგილას დაუსვენნია. მთიულმა აქ ისაც
მოუმატა, რომ ვინც იცის ეს ადგილები, სადაც
მოზვერს დაუსვენნია, ლოცულობენო. მერე
მოსულა აქ, სადაც ეხლა ასვენია, ლომისა გა-
დაფრენილა რქებიდამ ადგილზე, მოზვერი ცოტა
ქვეით ჩამოსულა და მომკვდარა.

— აი, შენ კვრესამე ამისთვის, სძევს მაგას სახელად ხეარსანთ მხსნელი, — სთქვა მთიულმა, როდესაც გაათავა მოთხრობა.

ამ დროს ამისმა ცოლმაც ასწიება კეცები, ჩა-მოუშო მათზე წაყრილი ნაცარი ცეცხლში, საიდ-განაც, თუ უკან არ დაგვეწივა, უეჭველი იყო შიგ თვალებში შემოგვეყრებოდა. ამ კეცებიდ-გან სამ-სამი დიდი გაშავებული ქერის შოთი ააყენა, ამოიძრო სარტყლიდამ ხარის კუდი, იმით გაბერტყა იმინი, დააწყო ფეხებიან ხონ-ჩაზე, მოგვართვა ჩვენ და თითონ თაროსკენ გაბრუნდა კიდევ რიღასიც. მოსართმევათ. ჩვენ ავდექით და უთხრათ.

— დედი, თქვენ ნურას წუხდებით, ძალიან მადლობელი გახლავართ, ჩვენ არა გვინდა რა, უნდა გიახლოთ.

— აცათ, თქვენ კვრესამე, ინაყრეთ რამე, — გვითხრა წრფელად ჩვენმა მასპინძელმა.

— ავაიმედა, აგრემც მტლეთ დაგედებით, აცათ, პატარა ხავიწ შევიქ—, მოგვატანა დედა-კაცმა.

— ଏହା, ଏହା ମାତ୍ରଲଙ୍ଘକେଣେ ଗମିଲାଯାଏନ୍ତି.
 — ଏହାତ ପାର୍ବତୀ, ତୁ ଗଢିମିତା କ୍ଷୋରାଶାନତ ମନ୍ଦିର
 ନେଇଲି—ତିତିକ୍ଷା ଯାନ୍ତିର ସୁଲାଦି ମାନିବୁ ଥାବୁଣିତ, —
 ମୋଗ୍ରକାଳୀ ମାତ୍ରକିନ୍ତିରେଇମା, ରାମଜେଣ୍ଠିବୁ କୃତିକାନ୍ତି
 ଫାତ୍ତା-ଫାତ୍ତା ଉର୍ବରେଇଲା. ଏହି ଫୁରନ୍ତି ହିଁଏହି ଗାନ୍ଧେତ
 ପିତ୍ତାନ୍ତିର.

ଅଛୁବେଳି



სცენა საპატიო მოღვაწი

(სცენა წარმოადგენს საპატიო მოღვაწი ბნელსა და მე-
ტად მურალის ოთახს, სადაც ტესალები სხედან მოღ-
ვად და მდაბალის სმით «ჩაირაპას» მდერიან; ერთი
სათვალავს ამბობს და სსკები ბანს ეუბნებიან.)

«აქედამ და ციმბირამდე
ლილი ბიჯი იქნება;
ვინც იმას გადმოაბიჯებს,
მარჯვე ბიჭი იქნება!...

მაგრამ იქით წასულები
ალარეინ დაგვბრუნებია...
ეტყობა, რომ იმერეთი
ყველას დაუწუნებია!..

ტუსალს რომ მოიკითხავენ,
 წაუკითხვენ დაფთარსაო,
 ეტყვიან: «სიცხე გახურვებს
 აქ? იქ ნახავ ზამთარსაო!

ცოტა დაუდგრომელი ხარ,
 ჩქარი ხარ და ფეხ-მალიო,
 მაგრამ მაგაზედ ნუ ჰყიქრობ,—
 ეიცი მაგის წამალიო.»

რკინის საცმელს მოართმევენ,
 რბილათ ფეხებში უყრიან,
 ზურგზე საგზალს მოჰკიდებენ,
 თავსაც მძიმეთ დაუხრიან.

მოახსენებენ: •გავსწმინდეთ
 ჩვენ ჩვენი ანგარიშიო!
 ჩვენ შენი ხათრი ალარ გვაქვს,
 და ნულარც შენ გაქვს შიშიო!

«სიცილით დაადეჭ გზასა!
 რალა გაქვდ მოსაწყენიო?
 ქვეითათ მისთვის გისტუმრებთ,
 რომ არ დაღალო ცხენიო!»

«თოუფიან ჭუარსაც გაახლებთ,
სარდლობა დაგვშვენდებაო!
გზაზედ საც დაგიღამდება,
იქ არ გაგითენდებაო.

«მაშინ გვიბოძე სალაში!
გამოგვეთხოვე ყველასო!
ნურც შენს მსაჯულებს დასწყევლი,
თორემ აუტეხ ხელასო!»

«გამოეთხოვე ცოლ-შვილსა,
გამოეთხოვე მოყვრებსო!
ესალმე ადვოკატებსაც,
თქვენსა ვერაფრთ მომხრებსო!!»

(ათავებენ სიძლერას და დადხანს უგელა ჩაიფურუ-
ბულია. სძის არავინ იღებს. ერთი ცუსალი, ორმეტიც
აქამდე ფეხუარასთან იდგა და არაზერს მონაწილეობას
არ იღებდა სხვებიც სიძლერაში, ამოირსრებს და
ღრმების:) — «მაგაზედ უტკბესო და უსიამოვნესი
არაფერი გამლერათ ჩემმა გამჩენმა!.. რაღა თქვე-
ნი გულის ხეთქა მეჭირვება?... მაგრამ ეს სულ
შენი ბრალია, იაკობაშვილო! გარეთაც ჩემი

მტერი იყავი და აქაც აღარ შასვენებ!.. არ იცი,
რომ ხვალ ჩემი განკითხვის დღეა?

თავისი შემოსილი.

რომ ვიცით, ჩემო ხარისშეილო, კიდეც მი-
ტომ გიმღერით გამოსათხოვარს!.. რაც წესათ
გვაქვს დადებული შენთვის ხომ ვეღარ მოვშ-
ლით? ზასედანის წინადღეს ყველას უმღერით
ხოლმე ამ ძილის-პირებს!.. მეც მიმღერეს, მაგ-
რამ შენსავით კი არ მიკვინტავს!..

მოხუცი ტუსაღი.

შენ ეგება არა გწყინდა, ჩემო ძმაო; ყველა
ხომ ერთი არ არის! ხომ გაგიგონია—«კაცი და
გუნებაო, თორემ სამოცის წლის ბებერს რაღა
ეხრაგუნებაო?»

თავისი შემოსილი.

ეჰ, ჩემო ძმაო, ბევრს არ ეხრაგუნება, მარაშ
ძალათი ახრაგუნებიებენ!.. შენ, ჰეი, ხარაიშვილო,
დამიჯერე, ჭკუას მოეგე! ჯავრმა თავი არ წა-
გართვას, თორემ ცუდათ მოგივა საჭმე! მოდი აქ,
ჩენ უმღერებთ და შენ მოგვბანე.

ხარაიშვილი.

შენს ყველაყას მობანე შენ!

ଦୟାକାରୀଙ୍କ ପାଇଁ ମୁହଁରେ ଦୟାକାରୀଙ୍କ ପାଇଁ

რა გულზე ხარ, შე თხერო! კულტნების ბა-
ნი გვითხარითქო! მეტი ხომ არა მითქვამს რა?
მოიცა, შვილო, და ხვალ ნახავ. შენ სეირს: ბან-
საც გათქმევიებენ და მოძახილსაც. მაგრე ფლარ
გადიდგულებენ...

მოსული.

დაანებე ბიჭო თავი! ხომ ხედავ, რომ შენ
ხუნტრუცის გუნებაზედ არ არის? (წამოდგება და
მივა ხარაიშვილთან) რა გემართება, ბიჭო? მე მე-
გონა თუ კაცი იყავი და ქულიც გეხურა, მარამ
დედაბერი ყოფილხარ და თავზედაც ლეჩაქი გხუ-
რებია! — მანგრე როგორ წაეხდე? შენი საჭმე
ჯერ კიდევ ღმერთზედ ჰყიდია, — «მე მაშ
უნდა ვირეოდე, რომ ოცის წლით კარტეჩში
მაკვრევის თავი? ცი სამი ათასი

କାଣଙ୍ଗର ପ୍ରକଳ୍ପ.

“შენის საქმე, ჩემო ძმაო, სულ სხვა არის: შენის
საქმე გათავებულია და იმედიც დაწმენდილი
ჰაქვას. საბრალო მაშინ არის კაცის როდესაც მას
გულში ჭიმედობა და იმედიც ყრობანეთს ეჭიდე

ଦୀନ, ମାତ୍ରିନ ଶ୍ରୀଜନାଥସ କୁପିଳ ଗୁଣି, ତାଙ୍କେମ ହା-
କି ନିର୍ମିତ ଗାନ୍ଧୀଚୁଲ୍ଲେଖ, ମାତ୍ରିନ ରାଜ୍ଯାକ୍ଷେତ୍ରରେ ସାମ-
ଜ୍ଞାନତାତ୍ତ୍ଵର? ଏହି କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା
ମତ୍ତୁକୁଟ୍ଟିରେ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା
ଏହି କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

କାନ୍ଦାର ପ୍ରସରିତ.

କ୍ଷେତ୍ରକୁ ନାହିଁ କୁଳାଲିଦିକୁ ଅନ୍ଧାରୀରୀଙ୍ଗିକାବୁ, କାହାରୁ
ପୁରୁଷୁରୀରୁ ବାହୁଦିନେ କାହାରୁରୁ କାହାରୁରୁ କାହାରୁରୁ
ମାନ୍ଦୁରୁ କାହାରୁରୁ କାହାରୁରୁ କାହାରୁରୁ
ଏ ମାନ୍ଦିଲ ଉଚ୍ଚିରି ନୀ ଗାନ୍ଧୀସ. ବାର୍ଣ୍ଣ ଜାରୀ କମିନ୍ଦାଶୁଦ୍ଧ
ଅନ୍ଧାରୀରୀଙ୍ଗିକାବୁ କୁଳାଲିଦିକୁ ନାହିଁ କାହାରୁରୁ କାହାରୁରୁ
ବିନ ମାଲିନୀ ଗାନ୍ଧିକେଲେବୁଲି ପୁନତ୍ରେଲୁପୁଣି, ମାନ୍ଦରାମ
ମାନ୍ଦିଲ ଦାମାନ୍ଧିକେଲେବୁଲିପୁଣି ହୁବେବେବେ... ଅନ୍ଧାରୀରୀଙ୍ଗିକାବୁ
କାହାରୁରୁ କାହାରୁରୁ କାହାରୁରୁ କାହାରୁରୁ କାହାରୁରୁ

కాణాదెళ్లి

— ეთხოვე, მაგრამ ჯერ კი არსალა სჩანც! ვა
თუ უარი მითხრას, — მაღლობა ლმერთს! არ ვა
შეკვირდება ჩემი ბედისაგან!! — ერთი ეს მითხარი,
მამაშვილლებს, შენ ვამოცდილი ხარ და მიწა

შენგან მეც ვისწავლო და ხუმარ არა წარვდგე
სულში, შენ რომ მოგიყვანეს, როგორ მოგეძ
ცენ და რაები ჰგებოთხეს? მოხუცი მოხუცი მოხუცი
მომიყვანეს თუ არა, შემაგდეს ხარაჭებიან გა-
ლიაში და მიბძანეს; და დაჯექო!... ზალა სულ
მაყურებლებით გაიგეს ცოტა ხნის შემდეგ გა-
მობძანდენ მსაჯულები და სამივე წითელისტო-
ლის უკან დაბძონდენ. ერთი, რომელიც უფრო
მოყვანილი იყო და საშიში შესახედავი, შუაში
დასვეს. პროკურორი ცალკე დაბძანდა, მარჯვ-
ნის საკუთარ სტოლზედ, და თავის საკუთარი
კანისნებიც წინ დაიწყო. ჩემი ატუნკატი კი
შუაში გამოიჯვიმა ფალავანდივით და ხან მე-
მანგშნებდა თეთვალით «ჩუ გეშინია, აქა ვარო!»
და ხან პროკურორი უყვრისლებდა თვალებსა
«მაცრ მე შენო!» ემუქრებოდა ბოლოს შუაში
რომ მსაჯული მიჯდა, მიმან მურთხა ჩემს უინაო
ბა, გაცნობა მოინდობა, მამის ჭახელიც შეიტა,
და ყველა რომ მოვახსენე, ისიც მკრთხა და-
ნაშეულიხარ თუ არაოდ რასაკვირველია, იმა

არაენ იტყვის, რომ დედაჩემი კუდიანია! რათ
ვეტყოდი დანაშაული ვართქო. მაშინ წამიკით-
ხეს პროცესოვის განჩინება, კითხეს შოწმებს და
რომ გაათავეს, წამოდგა ის ჩემის ცოდვით საფ-
სე პროცესოვი და მოახსენა მსაჯულებს: «ამ
ჩემს მოჭედილს საყელოს ხომ ხედავთ, რომ
ხელმწიფესთან ნამსახური კაცი ვარ, პატივ-სა-
ცემიონ—და ახლა ეს ერთი თხოვნა ამისრულეთ
და ეგ კაცი მე მაჩუქეთო! აქ ხალხი მაინც ბე-
ვრია და მაგას იქ გავგზავნი, სადაც ხალხი ცო-
ტაა და მიწა კი ბევრიო». ამაზედ ჩემმა ატუნ კატმა
მიაძახა: «ვერ მოვართოთო!» და მერე მიუბრუნ-
და მსაჯულებს ამ სიტყვებით: «მართალია, მე არ
მაქვს მოჭედილი საყელო, მაგრამ მეც ხელმწიფის
პურ-მარილითა ვარ გამოზღილიო და მისი ერთ-
გულება მაქვსო; ცოტაოდენი პიტივი მეც დამ-
დევით და ეგ კაცი აქ დატოვეთ, ნუ გაგზავნით
ნურსალ, მე მაჩუქეთო!» ამაზედ მსაჯულებმა გა-
მოაცხადეს, მოლაპარაკების შემგედ, რომ, რა-
გქნათ, ორივე საპატივო კაცები ხართო და
გულს ვერცერთს ვერ დაგწყვეტთო! თქვენ ირ-

თმანეთს შეებაასეთ და რომელიც აჯობებთ კანონებით, ღმერთმა იმას მოგახმაროსთ უვა ტუსალიო!... ამა სეირი მათი ბრძოლა იყო, ბიჭია პროკუროვმა ჩემი გახამტყუნი თრი სტატია ათიანი მოიყვანა. ატუნკატმა კი პასუხათ ასიანი უთხრა; ცოტა შერცხვა პროკუროვს და იმდენი გაიჭიმა, რომ ძლიერ გაჭირვებით მოიგონა როგორც ძუნა და ათასიანი უთხრა; მაშინ ჩემმა ატუნკატმა ათო ათასიანი სტატია მიახალა გულზედ. სადღა წოუკიდოდა. პროკუროვი ისე შეწუხდა, რომ სირცხვილით ხმა ვეღარ ამოიღო. გაჩუმდა! მაშინ მსაჯულებმა ჩახედეს კანონის წიგნში და ნახეს, რომ თურმე ათი ათასიანი სტატია როდი წურებულა მათს წინგში, და ეს განჩინება შეადგინეს: რადგანაც აქაურ კანონის წიგნებში ამისთანა სტატია არ სწერია, ეს ტუსალი გაიგზავნოს იქ, სადაც ის ათი ათასიანი სტატიის წიგნი იყოს და იქიდამ გამოუშვან გამართლებულიო! ახლა გაგზავნით კი გამგზავნიან, ფიცი, მაგრამ იქიდამ კი დამაბრუნებენ? ატუნკატიც ასე მეუბნება.... (ამ დროს შემოდის ადვოკატი და უკელა იმას ესვევა განი).

ადგოგატი

გამარჯობა თქვენი! ზარაიშვილი რომელია თქვენში?

ხარაი შვილი.

მე გახლავარ, შენი ჭირიმე, ღმერთსავით თქვენი მოძლოდინე!

ხარაი შვილი.

შენა ხარ? ჰო!... აქამდისაც მოვიდოდი, მაგრამ სულში ზასედანია მქონდა; ერთი კურდია ადვოკატი ვიყავი და იმან დამაგვიანა. იმას კი ეუშველე, როგორც იქნა, მაგრამ, მისის უხერობით, კინელამ თავიც გაიუბედურა და მეც შემარცხვინა. კიდევ კარგი, რომ მოხერხებული ვარ, თორემ სხვა ადვოკატი რომ ყოფილიყო, ცელარას გაარიგებდა.

ტესლები.

როგორ, შენი ჭირიმე?

ადგოგატი.

როგორადა უხეირო რომ გამოვა ზოგიერთი კაცი; ცხენის მოპარვას ეწამებოდნენ და იმან არ დამიჯერა, გამოტყდა! ჯერ კი შევჩერ-

დი, შაგრამ მერე კი შათანც მოუხერხე გამართა
ლება. რა მიუხედავ ისე უძველესი მართლის
სახელი და ტუსაღები. თუ მარტო ვდა და
იმე! რასა ბრძანებთ! როგორდა მოუხერხ
დებოდა გამართლება? როგორც გამოტეხილა,
გაწყრომია ღმერთი და ის არღვე გათავებული
მისი პლიან — ჯალიანის ადვოკატმართა კნას?
უძველესი ზე თადგომები, უძველესი ზე
აროგორ თუ რაქნას? ადვოკატი მიტომ ჰქვი
ან ადვოკატს, რომ ყოლიფური უნდა მოახერ-
ხლა! დამნაშავე უნდა გამართლოს, თორებ
მართალი თავისითაც გამორჩელდება!

ტუსაღები

ველმერთმა დიდი დღე მოჯერეს, ჩემი შატომა,
ეგ ბეჯითის ბრძანება! ისე მარტო მარტო
და და და და ადვოკატი. და და და
რასა კვირველია! აი ეხლა ის ქურდი რომ
გამოტყდა, გამოძიებას თავი დაანებეს და გან-
ჩინების წერა დაიწყეს. ჰყარგავდენ ციმბირში,
მაგრამ მე აღარ ვქენი ვამტკიცებდი, რომ ეს
არ არის ქურდითქმა.., როგორ არ არის, თვით

თონ გამოტყდაო? არათქო, ვუთხარი, ჯერ ას
მიბრძანეთ: ცხენი აიკიდა ამ კაცმა ზურგზედ
და ისე მოჰკონდა, თუ ცხენს აჯდა ზურგზედ,
ცხენს მოჰყავდათქო? ვკითხე მსაჯულებს. რა
თქმა უნდა, რომ ცხენს მიჰყავდაო? მიპასუხეს;
მაშ ცხენს მოუპარავს ეგ და არა მაგას ცხენი-
თქო და გასაჯეთ და გაასამართლეთ ცხენი და
ამ კაცს კი თავი დაანებეთქო! ამ სიტყვაზედ
მსაჯულებმა ერთმანეთს გაკვირვებით შეხედეს.
პროკურორმა ხმა ვეღარ ამოიღო. შევიდენ
მსაჯულები მეორე ოთახში, მოილაპარაკეს და
გაამართლეს ჩემი კლიენტი.

ტუსაღები

ქრისტემ დიდი დღე მოგცესთ! ჰოი, შენი გა-
მჩენის ჭარიმა, შენი! სხვისგან შეეღას შენს ხელ-
ში გაფუჭება გვირჩევნია. — შენს იქით გზა
არცერთს არა გვაქვს! მოისმინეთ თქვენ ჩენი
გაჭირვება და თუ ხელ-მოსაკიდებელი ვიყოთ,
ნუ დაგვანებებრთ თავს! სხვის ხელში ნუ ჩაგვ-
ყრით და თუ აღარა გაგვეწყობოდეს რა, წინ-
დაწინვე მაინც გვიბძანები, რომ თავი მაინც
აღარ შევიწუხოთ, ტყუილი ხარჯი აღარა ვქნათ!

ადგომები.

კარგი! მაშ მოლით, დასხელით ყველანი და
თვითოუთვითოთა გამოგკითხავთ ყველას და გა-
დაწყვეტილს გეტყვით. მაგრამ მოძღვარსავით კი
უნდა მითხრათ! ისე როგორც ყოფილა თქვე-
ნი საქმე.

ტუსაღები.

კი, ჩემო ბატონი! რაღა დღისთვის დავუ-
როთ!

ადგომები.

მაშ კარგი! აბა შენიდამ დავიწყოთ! ვინა ხარ
შენ.

ქართლელი

თქვენ თითონ მოგეხსენებათ, ვინც გახლავართ,
შენი ჭიიმე!

აღ.

მე რა ვიცი! თუ მომეხსენებოდეს, ალარც კი
ტკითხავდი.

გქარ.

მე, შენი ჭიიმე, მეურმე გახლავარ, გოგიტა ბა-
სილიძე,

ად.

რათა ხარ დაჭერილი?

ქარ.

მაგას კი ნულარ შეითხავთ, ღმერთი გადლებ
გრძელებსთ! ნულა მომავონებთ მაგ საქმე-
სა?

ად.

აბა როგორლა გავიგოთ, თუ შენ არ გვეტ-
ყენ, რათ დაგიჭირეს.

ქარ.

რაზედ დამიჭირეს, ა შენ ხარ ჩემი ბატონი,
და იმაზედა, ი ჩემი ცოლვით სამსე, ი ბიჭი
რომ შამომაკვდა! აი იმას კი კითხოს ჩემმა ცო-
დვამ!

ად.

მაღლელამ კიდევ ვერა გამიგიარა! ეინ ბიჭი?

ქარ.

ეინადა ი ბიჭი! ნინიკაზედ მოგახსენებ, შენი
ჭიიმე.

ად.

გარკვევით მითხარი: ვინ იყო ის ნინიკა
და რათ მოჰკალი?

ქარ.

ნინიკა?

ად.

ჰო, ნინიკა ხს ნინიკა შენ რომ მოგიკლავს,
ვინ იყო? აკი მოგახსენეთ, ჩვენი ნინიკა გახდა თქო!

ას ამით ადამიანი ადამიანი იყო და
ახალმერთო! არ ვიცი ვინ იყო, და მითხარის
ვინ იყო და ან რა იყო შენი? დაგიჯინია ჩვენი
ჩვენი! ვინ თქვენი!

ქარ.

ჰო, მივხვდი, შენი ჭირმე! ნინიკა ძმა გახლ-
დათ ჩემი!

ად.

მერე რათ მოჰყალო? მტერობა გქონდათ ერთ-
მანერთში?

ქარ.

არა, შენ ხარ ჩემი ბატონი, მტერობა კი არადა
ჩვენითანა მოყვარული ერთმანეთის ძმანი სულაც
არა გხლებიათ ჩვენს კუთხეს.

ად.

აბა რათ მოჰკალი!

ქარ.

ღმერთმა ნუ იცის დედა-კაცის თავი და ტანი!
ჩემი დედა-კაცის ბრალია, იმასა ჰყითხეთ! ჰოიპე;
ჰოიპე. რა მახეში მე იმან ჩამაგლო!

ად.

შენ ჰეი, ჩემო ძმაო, თუ გინდა თქმა, მალე
მითხარი და გაათავე, სხვებსაც აცდენ და მეც
დროს მიკარგავ, თორემ მე სალ უნდა ვძებნო
შენი დედაკაცი! შენ უნდა მითხრა: რათ მოჰკალი და როგორ?

ქართველი.

მოგახსენებთ დალაგებით, შეი ჭიიმე: ხუთ-
შაბათი დღე იყო! არა, არა, ხუთშაბათი კი
არ გახდათ, ჰარასკევი იყო!.. მგონია ხუთშაბათი
იყო და აძარ მახსოვს კარგათ. ტფუ, დალაწვ-
როს ღმერთმა!..

ადგიკატი.

ეგ სულ ერთია, რა დღეც უნდა ყოფილიყო!
შენ ის მიანბე, რა იყო?

ქართველი.

კარგი, შეი ჭირე! ურთს დღეს პურის ჭამათ
დავ'ხედით მე და ნინჩები. უზხარით დედა-კაცე
დედაკაცო, ცოტა შეჭამალი გექნება და პირი
გაგვისველეთქო! წავიდა ი ლეთისაგან შეჩერებულ
ლი და ერთი ჯამი მახოხი მოგვიტანა ორთავ
ზიარათ. მართალი ნათქვაშია, მე და ჩემსა ღმერ-
თმა, რომ დედაკაცის გაჩენაში ღმერთი არ უ-
რევია, ეშვაკმა გააჩინაო, თორემ, რა ენაღვლუბოდა
ი ჩემი ცოლვით სავსეს ორ ჯამზედ დაესხა და
ისე მოეტანა ორივესთვის?... თითო არორი
ტაქანი რომ დავლიეთ, ი ბიჭს გაუხუმრე: ნი-
ნიკა, ჩემზედ მეტს ნუ სჭამ მახოხსთქო!
იმან იწყინა და უანება. დამიწყო, მეც შეგვინე;
იმან აიღო და არვი ზე ცხვირ პირზედ შამამას-
ხა ი მახოხი. მეც, ვერ დაუფიცავ, ცოტა ავ-
გული გახლავარ და ამოვილე ხანჭალი და ერთი
წაუქნიე წვერით ნელა... ი ჩემს ცოლვით
სავსე ისე წამოეგო ზედ, როგორც გოჭი შან-
ფურზედ. ჭიპარებაც ცელარ შოვასწარით იმ ჩემის
ცოლვით სავსეს. მერე მეც ჭერი ვიყვირე, მარამ

ჭინღა გააცოცხლებდა, შენი ჭიიმე? კაცის სი-
ცოცხლე ერთი წამისაა, მოვექსენებათ.

ადგილობრივი

ოს, ეგ დიდი დანაშაულობა არის! ეგ არის
კაენოს ცოდვა!

କୁରତଗ୍ରେଣ.

ରୀ ବିପରୀ, ଶେନି କ୍ଷିମିର୍, ଯୁଗେନିଲ୍ ପ୍ରାଦ୍ୱା, ତୁ
କ୍ଷେବନତ୍ତ୍ଵରିଲ୍ସା. ମେ କି ଅ ଉପ୍ରେଦ୍ୱର୍ବଳ୍ବାଶି ହାମାଗଣ
ଏ ପ୍ରାଦ୍ୱାରୀର ଶ୍ଵାଲମ୍ବା ଲା. ତିତାନାପ୍ର ଗାତ୍ରକ୍ଷିଲା ଲା
ମେପ ମାତ୍ରକ୍ଷେବ୍ସ. ଅରିବ୍ରେ ପ୍ରାଲ-ଶ୍ଵାଲିକ ଅକ୍ଷରାତ
ଗ୍ରୋରହେବା!.. ଅ ସାକ୍ଷମିଲାମ ରାମ ବିନମ୍ର ମିଳିଲିଲ୍ୟେ,
କ୍ଷୁତି ତୁମାନି ମିଳାରିବା ଅ ହ୍ୟେନ ମନ୍ତ୍ରକିରଣିଲ୍ୟେ ଲା
ମିଳିଲ୍ୟେ ମିଳାରିଲ୍ୟେ.

ନାନ୍ଦିନୀ

რას ამბობ, ჩემი ძმა? - ხუთ თუმნათ ხელის
მოკიდებაც ძნელია მაგ საქმისა.

କ୍ଷାଣତମ୍ବୀଲ୍ଲିଳ୍ର.

ათი იყოს, შენი ჭიმე, რა გაეწყობა! რაღა
ლღისთვის მინდა ფული.

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

ମାତ୍ର ଫୁଲରତ ମହିନେକିର୍ଦ୍ଦେଖି ଶାକମ୍ବେଳ କେଲି ଗଲାକୁ
ଅନ୍ଧରାକୁଆରିର ଡାକୁର୍ଗୁଡ଼ି ପାଇଁ କାହାରି କାହାରି

ქართველი.

ოღონდა ოქვენ კი იყისრეთ, და მეტსაც მოა-
გართმევთ, შეი ჭიიმე! გუთნეულს გავყიდი და
შეგისრულებთ ოცათა! ადგრძატი.

კარგი, კარგი, რაღა გაეწყობა, მე ფულის სი-
ხარბე არა მაქს, მაგრამ კარგ კაცს გევხარ, უნ-
და მოგიწყო ხელი. შეგიძლია ამირჩიო ადვო-
კატათ!.. ახლა შენ მითხარი შენი ვინაობა! (მიუბ-
რუნდება მეორე ტუსადს).

რაჭველი.

მე რაჭველი გახლავარ, არჩუაძე, ქვე ჭირი
მოგჭამე! ჩემისთანა უბედური საქმე, ჭი, ჯერ
ადამიან-ქრისტიანის შეილს არ მოსელია, ჭი:
ცოტა ფულის შოსაგებათ გადმოვდგი, ჭი, ფე-
ხი შინიდან და ერთი ალა-ხაზაინი ევიჩემე,
თვეში თუმნათ, ჭი; ყოლიფერი თანამდებობა
ჩემ ხელათ იყო ჭი: ლაქია-მსახური, პოვარ-შზა-
რეული და ხაბაზიც სულ მე ვიყავი. გატყდებო-
და რამე—მე გადამხდებოდა, ჭი, და თუ რამე
დეიკარქებოდა—იმის მოპასუხეც მე ვიყავი. ერთ

ლამეს ვინდაცა მეზავრები შემოუშვი შინ, ლამე გავათევინე, იმათ კი გოუწყრათ ჩემი ბრავალძის პირ-ყვითელი და ხელებ-გაშლილი წმინდა გი ირგი, ჭი. თურმე აკი, ბატონო, რაზმონიკები იყვენ; მე რას შევატყობლი? ცხვირპირზედ კი არ ეწერათ ჭი, იმ ლამეს ჩემი ალა-ხაზინი სულ ერთიანათ გაქურდეს და მოარე დღეს მე მტაცეს ხელი: შენ თუ არ ერიეო, ქვე რატომ არ უყურეო, ჭი. რა რჯული სამართალია ეს, ჭირი მოგჭამე: რომელი ქურდი აყურებიებს სხვას ქურდობას? თუ აყურებია, ქურდი ქვე კი ალარი იქნება ჭი, ბატონი იქნება! – ქვე თუ რამეს მიშველით, ახლა თქვენ იცით ჭი... ადგოგატი.

არა გიშავს შენ... აბა ახლა შენ მოჰყევი!...
(შეუბრუნდება მესამეს)

თხი.

მე, სუნი ჭილიმე, ასი ვაკლ კუდალოველი! მე სენი ჭილიმე, ელთი ბიწი მოკალი, ძალიან კაი ბიწი.

რათა? რა დანშაული ჰქონდა?

თხი

ლა დანაშაული ექნებოდა, სენი ჭილიმე? ისე
მოკალი, ტყვილა. სეხედე, რომ სორს მოდიოდა
და ძალიან კაი ნისანსი ამოსალები თყო; უნისნე
ე ჩემი სასხანა, სი წიპო ფჲკარი. ძალიან, ბატონია
ეს ცემი ჭატალა სასხანა ნისანი უყვარსა; ბუზი
არ აცილდება, მასინვე მოკლამს....

ადგილობრივი.

მაგ ერთის შეტი ხომ არავინ მოგიყლავს?

თხი

რასა ბძანებ, ბატონია ლაშვდენმა. სრვებმაც
სენი ჭილი წაიღეს!.. ლხ, ბევლი უა ბიჭობა
ქენის ბევლი მოვკოხწე თავი....

ანგელი.

იმე, ქვე რას ამბობს ეს ურჯულო? შენ კი
გაგიწყრა ჩემი ყოლაწმინდა ხეთიშობელი და და;
გლახვროს ჩემა სამას სამოცდა ხუთმა წმინდა უი-
ორგიმ! ქვე რა გიქნია, შე ურჯულო? ქისტია.
ნება მოგიყლავს თუ ურჯულოები?

თხი

აღა, სენი ჭილიმე, სულ კაი-კაი სენისთანა

იქნელელი კოლტოხელი დავკოხწე თავი! აი ბე-
ბა, ბევრი ჭაი ბიწობა ქენი ჩეი ყმაწვილობა!

რაჭველი.

შევ არ შეგხვდენია ჭი ჩემისთანა ბიჭი, თვა-
რა ის კი მოგიგრეხდა შაგ ცოდვილ კისერს,
ჭი ღვლერჭივით.... ბევრს არ გალაპარაკებდა!

ადგოგატი.

კარგი, კარგი! კმარა. რადგანც გამოტეხილხარ,
შენ აღარ გეჭირება აღვოკატი!.. ტყვილა ნუ
ამირჩევ.... შენ ვინდა ხარ? (მიუბრუნდება სხვას)

შეგრელი.

მე, პატონი? მერგელი გახლავარ, ხუხურა სუ-
ლგავა!

ადგოგატი.

უთუოთ ცხენის ქურდობაზედ იქნები დაჭი-
რილი, ამას კითხვა აღარ უნდა.

შეგრელი.

ვარ(არა), პატონი, მაგისთანა უაშლილ ქურდობა-
ზედ კაცი რავე დამიჭერდა? დიხაში მუდუსავით
ჩავძერები, წყალში ბატივით გავცურამ, ლობეს
კატასავით გისხაპამ, ტყეში ტურასავით ვიძერენ.

და გაქცეულს დადგანის წევარიც ვერ მომეწევა...

ადგომატი.

აბა როგორ დაგიჭირეს!

მეგრელი.

რაფა, პატონი, და ერთ სომეხს დუქანი გონი უხერიტე და შევძერი შიდ; რაც საშოვარი იყო მოვამგროვე, მარამ ამდროს, პატონი, ხმა-ურობა მომესმა; დავაპირე გამოძრომა, მარამ ირივე ნახვრეტებთან კაცები იდგენ: წინიღამ აფხოტები მოდგომოდენ და უკანიდგან სომეხი, და მე შუაში გამაკვეტეს; საღა წევიდოდი პატონი?

სომეხი.

მახლას, რა გინდოდა სომეხის დუქანი. ჰნურე გირჩევნია, აი, ჩემმა მზემა.

მეგრელი მარტი, პატონი, თუ მე ასთე მირჩევნია; სრც შენ გაწყენს მასთე ყოფა, ჩემმა მთვარემ.. შენ ჩემის თანა ტყვე ხარ.. გაბერილო სომეხო, ურჯულო!..

સંગ્રહકારી.

შენ რაღათა ხარ დაჭვრილი!

სომები

ତୁ କେବଳ କାହାର ପାଦରେ ଥିଲୁ ନାହିଁ । କାହାର ପାଦରେ ଥିଲୁ ନାହିଁ ।

సంక్లిష్టాను.

“ვინ არის? კარგია? უოთონ და ასები
სომები, მცხოვრი ის და მოვარდო
ძალიან, კნიაზის შჩემ: ტოვორუ უნდა კანონი
ისე ათამაშებს. ისე ჭიკეციყობს, ტოვორუ ბულ-
მულმა! მე სხვა აღვოკატმა არ მინდა და კავშირი
უარი რაჭებოდ ადგოგატიდ. მაგრა უკან
სადა გყავს ეგ აღვოკატი? ვინ არის!

სობექი.

თი აქ არი, კნიაზჯან (კიბაზედ იკრავს სელი);
აი, კნიაზ, სწორი ადვოკატი!

ადვოკატი.

კი, მაგრამ, თუ მაგ შენმა ადვოკატმა ჩემთან
ბეჭითად არ მოიღოვარაკა, ისე მარტო თავის
თავათ ვერაფერს გაარიგებს!... ეპრაელო, შენ
რაღა გინდოდა აქა? უნ ეპრაელი; და უნ აქ
ყოფა? — რაზედ მოუწვევიხართ?

ურა.

ჩემი დაბადების მადლმა — ე სულ ტყვილა უმ
რალოთ დამიჭირეს — ე. ღორთა იცოდეს — ე
უსამართლობა მიუვეს — ე, რჯულის მადლმა — ე
არა დამეშავებიოს რა — ე. ერთ საღაშოს — ე კნე-
ინებს დავებარებიე — ე; მეც ვიახელი — ე. მიბძა-
ნეს — ე საქონელი გვიჩვენეო; ერთმა კნეინა-
მაც — ე თავისი საჯდომი დამითმო — ე, დაჯეჭი და
ისე გაშალე საქონელი, გვიჩვენეო; მეც მადლი-
მოვახსენე — ე, დაუჯეჭი და უჩვენე — ე. ბოლოს
მიბძანეს — ე თეთრი საქონელი — ე მიტკალი გვი-
ჩვენეო. მე მოვახსენე, თეთრი საქონელი ერთი

კარგი შტუქა გახლავსთ — ე, ცოტა თავი კი
აქვს — ე წაჭრილათქო, თორემ სხვებ — ე დასაწყუ-
ნი არ იყოს — ე რჯულის მაღლმათქო, იმათაც
ნახეს, მოეწონათ ე, იყიდეს — მიმაზომინეს და გა-
მომიშვეს — ე. თურმე ნუ ბძანებთ — ე, ზომა შემ-
შლოდა — ე და არშინზედ თითო გოჯა დამეკ-
ლო ე. მეორუ დღეს — ე მისმა ქმარმა მიჩივ-
ლა — ე, თუ ცოლი გამიბრიყფა, არშინშიღაც მოა-
ტყუა — ე და საქონელიც დამპალიშამოაპარაო — ე.
ამისთვინ დამიჭირეს შვიდი დღის ვადით — ე,
რჯულის მაღლმა, ლორთა იცოდეს, სულ უბრა-
ლოთ — ე.

ადგოქატი.

— მეორეზედ ნუღა დააკლებ! თითო გოჯას,
თორემ უციმბიროთაც ვერ მორჩები! ახლა კი
კიდევ კარგათ გადარჩენილხარ! შენ ვინდა ხარ?
(სხვას).

იმერელი.

მე, შენი ჭირიმე, იმერელა გახლავარ, ივანიკ
ხელიკაშვილი, ქვემოური ყაზახი!

ადგოქატი.

კაცი მოჰკალი შენცა?

იმერება.

იმე! რას მიბანებთ, ღმერთი გადლეგრძელებს
ბატონო, კაცს ქე რავა მოვკლამდი, შე დალოა
ცვილო, ქათამი ხომ არ იყო? ფარსაგი სული
მონათლული ქრისტიანი, კაცს რავა გამოიმუ-
ტებს სასიკუთილოთ? ეშმაკი, კუდიანი, ქაჯი და
ჭინკაც არ მოკლამს კაცს, ისთე თუ გააფუჭებს
თვარამ, და მე რავა გევიმეტეფ ადამიანს? ჯვარი
აქაურობას (აფურთხებს). ჩვენ სოფელში ერთ
წელიწადში დიდი სიკუთილიანობა გახდათ, ჩემო
ბატონო ისთე ეყრებოდა ხალხი პანტასავით;
ოჯახი არ დარჩენილა, რომ კვტარი არ ყო-
ლოდეს ერთი მაინც. ხოლვერა არ იყო, ბა-
ტონებს არა გავდა, ვენაცვალე მათ ძლიერებას,
და ცივებ-ცხელების ნიშაწყალი სულ არ ჰქო-
ნდა იმ ძალვა სნეულებს. დევებენით შენი მტე-
რი დაბნეულა. უცეზდის დოქტური კი მოგვი-
ვიდა, მარამ მათი ამბავი თქვენც კი მოგეხსენე-
ბათ, თავი რომ ტკილდეს კაცს, ფეხზე ადებენ
წამალს და რომ მოკუთხება პროჩაით ეტყვიან —
იმათ წამლობა ფორმაა და ჩესტიოვის, სხვა

არაფერი. თქვენი თავი ნუ მომიკვტება, მე თი-
თვან ვნახე ჩოლოჭის ოში ერთი კაცი, ორივე
ხელები გაგდებული ქონდა და დოქტური რომ
მოვიდა, მაჯის ნახვა მოუნდომა: ფორმა შათი,
თვარა ჩსო კი არა არა, ბატონზ თუ კაცს თა-
ვი ან აქ გამომეტებული, ამთ წრაფა მიკარებს
საჭირო რო როგორ. ჩვენ დავანებეთთა ი დოქტურს
და დევეკითხეთ მყითხავს, იმან მოგეცა ღვთის
წყალობა, შართალი გვითხრა; თქვენ სოფელში
კუდიანები ცოდნილან გახშირებული და ისინი
ართმევენ კაცებს გულ-ღვიძლს და ბრუსაბძე-
ლაზედ მიაქთ ზაკუშეათ როკაპთანობა ისინი და
დალეთ და ალარავინ მოკვეტება!... დავბრუნდით
ჩვენ სოფელში, მოვაგროვეთ რაც იმ სოფელში
ბებერი იყო, წევიყვანეთ წყალზედ, შოუკარით
გაწრით ხელ-ფეხი და ისო შევაცურეთ მორე-
ვში; რომელიც დაძირა ის არ იყო კუდიანი და
რომელიც კი ეიფირფიტა, ის კი სწორეთ ბე-
ჯითათ კუდიანობის ნიშანი იყო. ისინი გამო-
უყვანეთ, გავახურეთ რეინის ჯვარი და დაფლა-
ლეთ. ბევრი უძახეს თავის კუდიანებს, გვიშვე-
ლეთო, მარა არა ჯვარის ეშინიათ კუდიანებს.

ადგოგატი.

სხვა რეინეულით რამეთი არ შეიძლებოდა
დაღადვა? და ამერელი?

ვეი პლან! უჯვაროთ არ იქნება, მაშინვე კამ-
ბეჩის ტყავს გადააფარებდენ კულიანების უხილაუათ
და როდი დეიწოდენ.... ახლა ბატონი, როცა
დარღვა გავათავეთ, გაუშვით ის კულიანი ბებრე-
ბი; მერე ისინიც გამოტყდენ და ახლა შეითხა-
ვები არიან.—ამ საქმისთვინ დამიჭვირეს, მართე-
ბლობაშ იწყინა, შენ პუტოვჩიკი ხარო, და გა-
ნა ქრისტიანული საქმე პუტოვჩიკობა არი? ახ-
ლა, შენი ჭირი შემეყაროს, თუ მიშველი—ყმათ
დაგესახლები!...

ადგოგატი.

კარგი! კარგი! შეგიძლია ამირჩიო. შენ ვინ-
და ხარ? შეგრელი ხარ?

გურული.

ვაი წავხდი! კილავ! რა მიგავს თხაპარია მეგ-
რელს?

შეგრელი.

რა მოგპარა, პატონი, მერგელმა?

გურული.

დედავ! რავა აბდლურათ ჩივი შენ! შენ სხეს
მოპარამ, თვარამ გურულს რავა გაუბედავ მოპარ-
ვას! ჩემ კონახში რომ მოხვილე, იცი რას გი-
ზამ ყაზილარო? ნიფხავს გახდი და მათი შეგი-
კოჭამ ხელებს!

მეგრელი.

თუ მაგრე ვაშკაცები იყოთ, პატონი, დადო-
ნი რათ ერეოდა გურიელს!

გურული.

ვინ გითხრა მაი საჯაყი? იგი დაგავიწყდა, ოც-
დახუთმა გურულმა რომ ათასი მეგრელი დე-
იფრინეს წინ, ისე რომ ერთი ყურშუმიც არ
გაუსვრიათ?

იმეგრელი.

ეს ისთე მართალია, თქვენ ნუ მომიკვდებით,
როგორც ალდეომა! მას აქეთ არი ჩვენში დაჩ-
ჩენილი სიმღერა; «ოცდა ხუთსა მეგრელ-კაც-
სა მაკე ტურა შეეყარათ; სანამ ტურათ გაიც-
ნობდენ, სული ხორცათ გეეყარათ!...»

ჭართველი.

ეგ ჟველა კარგი, გურიელო, მაგრამა ე თო;

ე რომ უკან ჩამოგიყიდებია, მელის კუდოვითა,
რათ გინდა ეგა?..

გურული.

რაიზა და მიზა, რომ შენისთანა ყაზილარს
თუ შევხდი, შევკრავ, შევკოჭამ ამით და ქობუ-
ლეთში ამოვაყოფეფ თავს! და მაშინ მკითხე, თუ
გულს გერჩის.

ქართველი.

შენმა მზემა, ასეთი არა ქნა, ღომით არ მიმიტ-
ყო.

გურული.

ქართველმა რომ ღომის ჭამა არ იცოდეს,
იგი ღომის რა ბრალია?... მაჭუტაძეს ერთი ქა-
რთველი თავადი ესტუმრა, სადილათ ღომი მია-
რთვეს — თურმე იმ აბდალამ ღომის ჭამა არ
იცოდა, ჩაკრა ხელი ღომში — თითები დეეწვა, პი-
რში ჩაიდვა — იგიც დეეწვა, გადაყლაპა — ყელი დე-
ეწვა, კუჭში ჩაუვიდა — იგიც დაწვა და ბოლოს
ქართველმა ნაბადი მოიხსნა, აგი ნაბადიც არ
დემეწვასო!... აგია თქვენი ცოდნა ა?!...

იმერელი.

მაგისთან ები გურულებზედაც კია, შენ ნუ
მოუკედე ჩემს თავს, ნათქვამი: გურული დაპა-
ტიფა ქართველმა, მარხვა დღე იყო და მუხუდო
მოუტანა გურულმა დახედა ჯამზედ, ნახა, რომ
თურმე ცარიელი წევნია, ფოჩი არსად არია ერ-
თი ორი მარცვალი კი დაცურამდა. თურმე მუ-
ხუდოს კაკალი წევნში. წამოვარდა გურული,
გეიკრა ფიშტოს ხელი და შეაყენა ჩახმახი.— რა-
თა მკლავო, უთხრა მასინძელმა! — შენ კი არა
ჰკლამო, უთხრა გურულმა, აგი დედა გაგლე-
ჯილი მუხუდოს მარცვალი ცურავს ვერ დევი-
მორჩილე, და ეგება რგი მოვჰკლა ფიშტოთი!

ქართველი.

შენი კი რალა მეცოდინება, ქორტოხელო,
შენა! შენ არმა ხიზილალას უწრეულესებლი
ქალაქმია, ის ალარ გახსომს!...
ადგოქატი.

კარგია, აწი კმარა! ღლაბუცს თავზე დაკნებეთ და
საქმეს შივყავით წელი: რათ დაუჭერიხართ, ვუ-
რულო?

ურული.

ჩაითხა და მიზა, რომ იგ ყაზილარი რომ მო-
ვცალი ქალაქში!

ადგოკატი.

რათ მოკალი?

გურული.

მე კი არ მოვკალი, მან მამაკულევია თავი
ტყე-ლათეი! ჩემდა მოვდიოდი გზაზე, დამხედა
ი ყაზილარი და დაშიწყო ყვირილი: «გურულო
უჲ! გურულო! ა გურულო!» და მანამდი მი-
ყვირა, სანამდინ კუჭი არ მომაყვანია. არ გვე-
ცი ხმა; ვთქ, ი: აბდალევი ვიცი, თავი რეზა გო-
უცვალოთქო; მარა ბოლოს ხელიც მიბიძგა.
მაშინ მეც კუჭი მომივიდა, ბიძგება მანგრე არ
უნდათქო უთხარი, უბიძგე ჩემი მაჭახელა,
ერეხვე გაპერილ მუცელზედ და ქოჩოსავით
გადავაგორე. ერთი ვაი-დედაც ველარ მოასწრო
იმ ყაზილარმა და თუ მეტი არ შეეძლო რე-
იზა მაკუჭიანებდა ი დედა გაგლეჯილი...

ადგოკატი.

ადვოკატი გყავს?..

ჭრული

გურული.

ადგოკატი რაიშა მინდა! კი აღარ ვფიცა
მის სიკედილს!..

ადგოქატი.

მაშ გაგგზავნიან!

გურული.

გამგზანიან ვეღარ გამოვბრუნდები? ისევ ჩა-
მოვალ რა!

ადგოქატი.

ვინ გამოგიშვებს ნებით.

გურული.

ძალით გავშები!

ადგოქატი.

მერე ყარაულები!

გურული.

ყარაულები! მე კი გაუშები გზიდან და იქ
კი აღარ დაუწყებ ყარაულებს ყუნცულს! საითა-
მდი ისინი გეიმძრეოდენ, მაქამდი მე დავტრაკა
და ქობულეთში ამოცუოფ თავს!... იქ კი ვირ-
ჩენ თავს. ფირალათ ერთი ბიჭი ვერმაჯობებს და
მართალია ჩემ სოფელს კი მოშორებული ვიქჩები,

მარამ იმ დედაგაგლეჭილის სიკვდილს კიდე
ჩემი ფირალობა აჯობებს!

ადგოვატი.

რომ მოგეწოონ და დაფიჭიროონ?

გურული.

დედავ, რას ჩივი კილავ? ჩემმა მტერმა თქვა
მაი! თუ იგინიც მე დამიჭერენ და მთლა პილ-
წი და წამხდარი ვიქნები და იგი იქნება! მა-
შინ მეც აღარ ვიქნები შესაბრალი!... და ანა-
სუნი ჩემ საქმეს!...

აკაკი.



სახალხო ღერმი *).

ქალში თქვა: სიზმარი კნახე დამდეგ ენგენისთვისასა;
ცა წითლად-უკითლად ელავდა, სეტუკასისკრიდა ქვისასა,
თავზედ მაქცევდა ჩარდახსა, დასურულ ყავარისასა;
წინა სანთელსა მიქრობდა, ჩამოსხმულ კელაპრისისასა,
ბალში ხეხილსა მიმტკრევდა, დარგულსა ალვის სისასა,
ნერა ვიცოდე, რა არას? სიკვდილს იტუკიან ქმრისასა.

*) ეს ღერმი გაუგონია ილ. ჭავჭავაძეს სოფტ
გარდენასში.

საქართველოს ისტორიის სულთანი

მეოთხე საუკუნე

I

მირიან მეფე.—საქართველოს ერის განა-
თლება ჭრისტეს საწმინდუბით.—წმინდა ნინო-
და იმის მღლვაწეობა.

მეოთხე საუკუნის დასაწყისში ქრისტეს მოს-
ვლის შემდეგ, საქართველოში მეფობდა მირიან
მეფე სასსანიდის გვარისა, სპარსეთის მეფის ჩამო-
მვალი. ის უჯდა უზრუნველათ მამა პაპის ტახტ-
ზე მცხეთას. გარეშე მტერი შეწუხებას ვერ უბე-
დავდა, რადგან მფარველათ ჰყავდა დიდებული
და იმდროს ყველაზე უძლიერესი სპარსეთის სა-
ხელმწიფო. მთის ხალხები ყველა შეშინებული
ჰყავდა, რადგან ფარნაოზისა და იმის მემკვიდ-

რეებისაგან დარჩენილი ბერძნულს წესზე გაწყობილი ჯარი მუდამ გარს ერტყა. ჯარს გარდა კავკასიის მთებით ყოველის შერით შემოზღულული ქვეყანაც არწივის ბუდესავით უშიშრათ იფარავდა შიგ ჩაბუდებულს ქართველის ერს თავის მეფიანათ. მეფე მირიანი ვაჭრობით გამდიდრებული შეექცეოდა ლხინს და ნადირობას; თაყუანს სცემდა ბრწყინვალე მზეს, სხვერპლათ სწირავდა ოთხ-ფეხს და ზოგჯერ პაწაწინა ყმა-წვილებსაც თავის უმთავრესს კერპს არმაზს და ზადენს, რომელთა სურათები სპილენძით, ვერცხლით და ჰქონდთი იყვნენ ხელოვნურათ გაკეთებულნი და ამართულნი მცხეთის მოშორებით მოკვრის მარჯვნივ მაღლობზე.

იქ, საცა გამოზის არმაზის წყარო მანგლისის ახლოს, არის ნაქალაქევი, სახელათ აზენი, ზაფხულში მშვენიერი საგრილებელი ალაგი, რომელიც იყო ძველათ დარჩენილი საქართველოს მეფეების სთვის საზაფხულო ადგილ-სამყოფათ და შესაქცევათ. მირიანის დროს ამ ალაგს ერქვა არმაზი, სადაც საუკეთესო კერპები იყო ამართული თუ-

ერთ საყუდარებით, ანუ უკეთ ვთქვათ საყდრებით. 318 წელს მკათათვეში ამ აღაგას მთელს საქართველოს სამეფო დედან იყვნენ მოგროვილნი დიდებული და მცირენი საერო დღესასწაულის გადასახდელათ და თავიანთ კერპების მსხვერპლის შესაწირავათ. ერი ფერხულით უვლიდა გარს არმაზის კერპს და იძახოდა «არალეს»*). მეფე, ჯარი და დანარჩენი ერი ყველანი მხიარულათ ატარებდენ ამ დღესასწაულს. მზე მეტათ აცხუნებდა და ერს სიმღერით და შექცევით ოფლი წურწურით სჭიოდა. სამხროპისას ცას შავი ღრუპელი გა

*) სომხის მეცნიერი ემინი აშხაბძე, რომ ძველათ ქართველებს და სომხებს სწამდათ ოში მოკლული გაცების გაცოცხლება «არალესების» შემწეობით. ეს ღმერთები, სომხების მწერლების სიტყვით, ჩამოგიდოდენ ზეციდგნ და იმდებს ლოკავდენ მკვდრებს, რომ გააცოცხლებდენ, მასე სათესელი აშხაბძეს, რომ ღმერთი ა დანი სწამდათ ქართველებს და იმის გერცს თაუკანს სცემდენა. მე ვთვისტობ, რომ ჩვენი ფურცელი სამღერა დარალე იმ გერცთაუკანისძცემლობდებას არის დამჩენილი.

დაეკრა — გაჩნდა საშინელი ჭექა-ჭუხილი. წამის წამის მეხი ეცემა შშვენიერ ჩუქურთმით ნახელავს ჭრაპებს და სულ ერთიანათ არმაზის სალოცველო ინგრევა. მთელი ერი შეძრწუნებულია, ყველანი იქით აქეთ შირბიან. არმაზის სალოცველოზე აღარავინ დარჩენილა ზამსხვრეულს ჭრაპებსა, და ერთ ფეხ-ტიტველა ახალგაზდა ქალს გარდა, რომელსაც დაუჩიქია, თვალები ზეცას აღუპყრია და ევედრება. ვინ არის ეს ახალგაზდა ქალი, რომელიც ამ მეღრეთ მოსვლის დროს აქ დაჩიქილი და ხელგაპყრობილი ღმერთს ევედრება. — ნუ თუ მხოლოდ იმას არ ეშინია მეზოს დაცემისა? — ის ქალი არის გულ მაგარი თავის სარწმოუნებით. იმას შტკიცეთ სწამის, რომ ეს ჭექა-ჭუხილი იმის ღვთისგან არის მოვლენილი კერპთაყვანისმცემლების მოსაქცევათ.

ის ამდროის გულმხიარულია და შტკიცეთ დარწმოუნებულია, რომ რაც გულში განუზრახავს უეჭველათ კიდეც აღუსრულდება. ეს ახალგაზდაა ისურეთიდგან ფეხით მოსული საქართველოში ჭრასტიანობის გასავრცელებლათ. შემცრთალმა

ერმა შენიშვნა ის ქალი იმ საშინელს მეხის ტე-
სის დროს და გულით დამორჩილდა იმის ზნეო-
ბითს ძლიერებას, თავგანწირულებას. ცოცელმა
ქართველმა კერპთაყვანისმცემელმა გულში გა-
იყლო ეს სიტყვები: სწორეთ იმ ქალის ღმერ-
თმა შემუსრო ჩეენი კერპებია... პმ დღესასწა-
ულობის შემდეგ, როცა ერთ დაიშალა, ნინოს
ამბავი მთელს საქართველოში განითქვა... მაგრამ
სანამდის საქართველოს ერის მოქცევაზე ვიტყო-
დეთ რასმე; საჭიროა ორივე სიტყვით აეწერო
ნინა წმიდის ცხოვრება.

ნინო იყო კეთილმსახური დედმამის ქალი;
მამა მისს ერქვა ზაბულონი. ცხოვრისდა კაპა-
დოკიაში და თავისთონ კი მხედრათ მსახურებდა
დიოცელეტიანის ჯარში. როცა ჯარიდგან და-
ბრუნდა იურუსალიმის პატრიარქის დაი შეირთო
ცოლათ და გაუჩნდა ქალი სახელათ ნინო. ეს
ქალი ჯერ კიდევ პატარა იყო, როცა დაობლდა;
ბიძამ მიიღო იმაზე მზრუნველობადა მისბარა ერთს
ეკულესიის მსახურს დედაკაცს, სახელად ჟარიას,
რომელმაც ჩინებულათ იცოდა საღვთო წერი-

ლი. ნინო კარგა დიდი შეიქნა და საღვთო წე-
რილშიაც ძალიან განვითარდა. ამდროს იერუ-
სალიმს მოვიდა ერთი კონსტანტიის კეისრის კა-
რზე ნამყოფი ქალი, რომელმაც მოიტანა ამბავი,
რომ კეისრის ცოლს ქრისტიანობის მიღება ძა-
ლიან ჰაურსო, მაგრამ ჯერ ვერ მოუხერხებია, რა-
დგან ზოგიერთი გარემოება აბრკოლებსო. წა-
რმოიდგინეთ იერუსალიმის ქრისტიანების სიხა-
რული, როცა ამ ამბავს შეიტყობდენ. ნინო
ზული კი იმდენათ აღელდა ამითი, რომ მაშინ-
ვე განიზრახა რომს წასვლა ქრისტიანობის
გასავრცელებლათ. ის წაჲყვა ზემოხსენებულს
ქალს რომს და იქ შეიგიდა ერთს საქალებო
მონასტერში, სადაც რამდენსამე ქალს დაწვრი-
ლებით ასწავლიდენ ქრისტეს სჯულს. ამავე მო-
ნასტერში იზრდებოდა შშვენიერი რიცხიმე.

იმპერატორს დიოკლეტიანს მოესმა რიცხიმეს
შშვენიერება და განიზრახა იმის ცოლათ შერ-
თვა. ეს მონასტრის ახალგაზდა ქალებმა შეი-
ტყეს და იმავ ღამეს გამოიპარენ სომხეთში. გა-
მოპარულებს შორის იყო ნინო, გაიანე, რიცხიმე

და სხვებიც, მაგრამ სომხეთშიაც არ მიეცათ ამ საწყლებს მოსვენება: სომხეთის შეფერ ტირიდა-ტმა დიოკლეტიანის სიტყვით დაიჭირა ისინი ნინოს გარდა, და რომ ვეღარ დაათანხმა რი-ფსიმე კეისრის ცოლობაზე, ყველა აწვალა. ასე ჰქონ-და მოწერილობა დიოკლეტიანისაგან. ამსაქმით შეშინებული ნინო სომხეთიდგან გამოიქცა და მოვიდა ჯავახეთს. იქიდგან მგზავრებს წამოყვა-ურპნისის ქალაქამდის. აქ ნინომ ნახა, რომ ქა-რთვლის ერთ იყო კერძმისახური და თავის ღმე-რთების დღესასწაულობისთვის მიღიოდენ მცხე-თის შახლობლათ არმაზისა და ზალენის თაყვანის-საცემლათ. ნინო გამოჰყა მგზავრებს და მოვი-და იქ, საცა ერთ იკრიბებოდა. დღესასწაულობის შემდეგ ნინო მიადგა კარს მეფის მებალეს და ის ჩვეულებრივის სტუმრის მოყვარეობით და ხუდა შორეულ ქვეყნიდგან გადმოვარდნილს საკუ-რველს ახალგაზდა ქალს. ცოტა ხანს შემდეგ ნინომ მოარჩინა ერთი დედაკაცის შეილი, რო-მელიც თავის დედას გამწარებული დაჰქონდა კარ-და-კარ და ყველას ეკედრებოდა მორჩენას.

ნინომ დედმამას უთხრა: «განკურნებულ არს ზეციერი მამის სახელითო.» იმ ყვაწვილის სახლობა ამის შემდეგ შეიქნა გულით ქრისტიანი. მცხეთის ქალაქში ნინოს დიდი ხმა დაუარდა ექიმობისა. მირიან მეფის ცოლი დიდი ხნიდგან შეიქნა დავრდომილი ავათ მყოფი. იმის მორჩენას არა გაეწყორა. ბოლოს მეფის შოღარეთ უხუცესმა რაბბინმა აბიათარმა ურჩია მიეყვანათ საეჭიმოთ უცხო ქვეყნიდგან მოსული დედაკაცი, რომელიც თავის ღვთის სახელით ჰკურნებდა ყოველს ავათმყოფს. ნინომ მეფის ცოლიც მალე წამოაყენა ფეხზე, მოაქცია და შემდეგ ცოლის შემწეობით თვითონ მირიანიც თავისკენ მიიმხრო. მეფემ შეკურიბა პატივცემული კაცები მოსალაპარაკებლათ ამ მძიმე საქმეზე. საქართველოში ძველიდგანვე წესი იყო ერთს უფროსების დაუკითხავათ მეფე ვერას მოიქმედებდა. ყველას მოსწონდა კეთილ მსახური დედაკაცის სარწმუნოება, მაგრამ მამა-პაპის სჯულის დაგდებას მაინც ვერ ბედავდენ ბოლოს ერთმა საკვირველმა შემთხვევამ სრულებით და-

არწმუნა მეფე და ერის წარმომადგენლები; რომ
ქრისტეს სარწმუნოება უფრო ჭეშმარიტი იყო
იმათსაზე.

ქართლის ცხოვრებაში აი რა სწერია: კერთ-
ხელმეფე და იმის ხლებულნი დიდებული ერის-
თვები წავიდნენ თხოჭის ტყეში სანალიროთ;
უეცრათ უას შავი ღრუბელი გადაეკრა და ასე
დაბნელდა, რომ კაცი თითს თვალში ვერ მიი-
ტანდა; ატყდა ამასთანავე მეხის ტეხა და ჭექა-
ქუჩილი, ყველანი იქით აქეთ გაიფატნენ, დარჩა
მეფე მარტო, შეშინდა და რაღგან ნინოს ქადაგე-
ბით გული შერყეული ჰქონდა, თვალ-წინ
წარმოუდგა იმისი სიტყვები, და კიდევ უფრო შე-
შინდა. იმან მკრთოლვარე ხმით შეჰვიცა ნინოს
ღმერთს, თუ ამ სიბნელისგან გადამარჩენ, შენი-
თაყვანის-მცემელი გაფხდეო ცოტა ხანს შემდევ
ღრუბლები გაიფანტენ და მზემ ისევ გაანათლა
ჭეყყანა. მეფე დაბრუნდა მცხეთას მცინარე სა-
ხით. ერმა უკვე იცოდა იმის ამბავი და მხიარუ-
ლათ გამოეგება, ნინოც იმათ შორის იყო. რო-
გორც მირიანმა დაინახა კეთილმორწმუნე დე-

დაკაცი ცხენითგან გადმოხდა, თავი დაუხარა და
მიიღო იმისგან კურთხევა. ასის შემდეგ ერი იმ-
დენათ მომზადებული იყო, რომ მოუთმენელათ
ელოდა ქრისტიანობის მიღებას. მირიანმა გაგზა-
ვნა ელჩები კოსტანტინე იმპერატორთან, სოხო-
ვა ეპისკოპოსი და ღვდლები ერის მოსანათლა-
ვათ. კოსტანტინემ გამოგზავნა საქართველოში
ამღვდელოება სახარებით და წმინდა ნაწილე-
ბით. იმათ მოსელის დროს მირიანმა შეჰქრიბა
თავის სამეფოთგან ყველა ერისოვები და მცხე-
თის მცხოვრებლები სიამოვნებით მოინათლა
მოკუარში.»

მეფის სიტყვით მშვენიერი ხელოვნებით ნაკე-
თები კერპები დაინგრა, იმათი საყდრები ზოგი
სულ გაცემდა, ზოგი ეკკლესიათ გადაკეთდა.
მტკვარს გაღმა რომ მაღალი ბორცვია — ეხლა იქ
ჟელი ჯვარის ეკკლესია — იმაზედ წმინდა
ჩუქურთმით და მდიდრულათ ნაკეთები არმა-
ზის კერპი იყო უწინ ამართული, რომლის ოქ-
როს და სპილენძის შემკულობას, როცა ამო-
მავალი მზის სხივები ეცემოდენ, ჩირალ-

დანსავით შუქით აპრიალდებოდა. ქართვლის ერთ დილის მზის ამოსვლისას ქალი და კაცი დიდი და პატარა ავიდოდენ თავის სახლის ბანებზე და მუხლმოყრით თაყვანს სცემდენ შუქით გაელვარებულ კერპსა. ყველას სწამდა, რომ მზე თავის სურათს განზრახ ამკობდა შუქებით მაღალი მზისვე საქებლათ, რომელიც იყო ცხოვრების მომცემი, გამთბობი და განმანათლებელი მთელი ქვეყნისა. ქრისტიანობის შემდეგ ერმა ველარ ნახა მთაზე ამართული საყვარელი კერპი, დაიწყო ჯავრობა ამ სიტყვებით ფეილას უნდა ვსცეთ თაყვანიო.» ბრწყინვალე კერპის მაგიერათ ამართეს ხის ჯვარი, მაგრამ მდაბალი ერი მაინც უკმაყოფილოთ დარჩა და ამბობდა: «მაგისთანა ხეები ჩვენს ტყეებშიაც ბევრია.» მოგვები სარგებლობდენ ერის უკმაყოფილებით და კიდევ დიდხანს ჰყავდათ მტკიცეთ მდაბალი სოფლის ერი ზენდის სარწმუნოებაზე. მირიან-მეფემ წარჩინებული ერის მონათვლის შემდეგ მოაჭრევინა ტყე თავის ბალში და იქ ეკკლესია აგებინა. ამნაირმა წარმატებამ

წმინდა ნინო კიდევ უფრო გაამხნევა; მისცა
იმდენი სულის სიმაგრე, რომ ალანეთის კარი-
ლან მოკიდებული მესხეთამდის, კავკასიის მთის
ტერიტორიაზე უკელა ალაგები სულ ფეხით
მოვლო და ქადაგებდა ქრისტიანობას. ამ სახით
ქართველები შეიქნენ ქრისტიანებათ იმ დროს;
როცა ჯერ კიდევ საეკლესიო წესი არ იყო
დადგენილი, ის დააფუძნა ნიკეის წმინ-
და კრებამ 325 წელს ქრისტეს შემდეგ.
ამ წესის შემოღებით საქართველო ეკლესია
შეიქნა ანტიოქიის საპატრიარქო.

II

საქართველოს მდგრმარეობა ქრისტიანობის შე-
მღვდებამდის.-ზენდის სარწმუნოება. — რა მიზეზი
იყო, რომ საქართველოს ერთმა ასე ადგილათ მიღო-
ჭრისტიანობა-სარწმუნოებისოვის ბუძოლის.

საქართველოს ერთ დიდი ხნიდგან იმყოფე-
ბოდა აღმოსავლეთის განათლების ქვეშ. მეორე
და მესამე საუკუნეში ქრისტეს მოსვლამდის გა-
ლიკიტა იმის მოსაზღვრე და ტომობით მონათე-

საკუნე სომხეთის ერი, როგორც განათლებით, ისე
პოლიტიკური მნიშვნელობით. რომაელები ეძე-
ბდენ იმათ მეგობრობას: სპარსეთის ერს მხო-
ლოდ სომხების შეფესთან, დიდ ტიფრანთან,
მეგობრობით აქვს დიდი გული და იმის შემწე-
ობით იბრძვის. ასურეთის შეფესთან ანტიო-
ქოს დიდთან. ზენდის სარწმუნოებას და სპარს-ბე-
რძნულს განათლებას როგორც სომხეთში. ისე
საქართველოში აქვს ძირი გამდგარი. მოგვები
ანუ ზენდის სარწმუნოების მღვდლები შეადგე-
ნენ მაღალ წოდებას; იმათ ხელშია ერიც და
უმაღლესი განათლებაც. სომხის შეცნიერი ეზ-
ნიქი გოგოი, რომელიც ცხოვრებდა შეხუთე
საუკუნეში ქრისტეს შემდეგ და რომელიც ებრ-
ძოდა მოგვებს ქრისტეს სარწმუნოებისთვის, ათ
როგორ გამოგვიხატავს ცეცხლის თაყვანის მცე-
მლების, ანუ ზენდის სარწმუნოების მცნებას.

«სულ პირველათ, როცა ჯერარც ცა და არც
მიწა არც სხვა რაიმე კმნილება ცასა და ქვეყანასა,
ზედა არ იყო გაჩენილი, სუფევდა ერთი არსება სა-
ხელათ დერუანია, რომელიც ითარგმანების

«სვედ ანუ დიდებათ». იმან სწირა შსხვერ-
პლი ათას წელს და ბოლოს გაუჩნდა ერთი
ჯე, რომელსაც ეწოდა ორმუწი ანუ ჩვენებურათ
არმაზი, მან შემქმნა ცა და ქვეყანა და ყოველიერ
აჩსება. ათასის წლის მარხვის შემდეგ ძერუანმა
იწყო ფიქრი და სთქვა: «რა სარგებლობისთვის
ვიმარხე ამდენსანს: ვაი თუ არ მეყოლოს
შეილი ორმუწი და ჩემმა მარხვამ ტყუილათ
ჩამიაროს!» ამ ფიქრში რომ იყო, იმან იგრძნო
თვის გვამში ორმუწის და არიმენის ჩასახვა
ორმუწი გაუჩნდა მარხვის შესრულებისთვის და
არიმენდ იმის გამო. რომ ეჭვი იქონია. სცნა
რა ეს, ძერუანმა სთქვა:» გვამსა შინა ორნი ძენი
მესხენ; რომელი პირველ მეჩვენოს. იგი ვქ
მნა მეფედ». რა სცნა ორმუწ მამის აზრი, არი-
მენს ახარა: — მამა ჩვენმა ძერუანმა სთქვა,
ჩვენ ორში რომელიც პირველ მას ეჩვენოს,
იგი იქმნეს მეფედ. რაკი ეს შეიტყო არიმენმა
გაარღვია მამის გვამი და პირველათ წარუ-
დგა იგი. მამამ ვერი ცნოდა ჰკითხა: «ვინ ხარ შენ?»
— არიმენმა მიუგო: «მე ვარ ძე შენი.» ძერუა-

წმი უთხრა: «ძესა ჩემსა უდის მშვენიერი სუნი და
ბრწყინვალეა, ხოლო შენ ხარ ბნელი და მყრალი.
ამ ლაპარაკში ორმუწის დაბადების ფაშიც მოი-
წია, რშვა ნათელი და სუნნელოვანი და წარუ-
დგა მამას. როგორც კი დაინახა, ძერუანმა სცნა-
თვისი შეიღი, რომლისთვისაც იმარხვა, აიღო
ხელში რომ კვერთხები ეჭირა და მსხვე-
რპლს. სწირავდა, მისცა. ორმუწს და უთ-
ხრა: «აქამდის შენთვის ესწირავდი მსხვერპლსა,
აწ შენ შესწირე ჩემთვის.» შემდეგ მისცა თავისი
კვერთხები და აკურთხა. მაშინ არიმენ წარუდგა
მამას და უთხრა: «აკი ამისთანა ალთქმა მიეცი,
ორს ჩემს შეიღი რომელიც პირველათ მოვა
ჩემთან, მეფობას იმას მივსცემო.» რომ თავისი
ალთქმა არ დაერღვია, ძერუანმა არიმენს უთხრა:
«იყავ შენ ცრუ და ცოდვილი, მოგეცეს შენ-
მეფობა ცხრა ათას წელს. ცრრა ათას წელს
შემდეგ ორმუწ იყოს მეფედ და რაც ინებოს,
ის იქმნას». შემდეგ ორმუწმა და არიმენმა დაიწყეს
აჩსებათა გაჩენა. რაც ორმუწმა გააჩინა,
იყო კეთილი. და მართალი; და რაც არიმენ-

მა შეჰქმნა, იყო ბოროტი და წყეული.» ორშუ-
წი წარმოედგინათ დღეთ და მზის სინათლეთ
არიმენი ლამეთ, სიბნელეთ. ორმუწის გამომხატ-
ველი იყო ცეცხლი, რომელსაც ზენდის სარწ-
მუნოებისანი თაყვანს სცემდენ; ხოლო არიმენი-
სა სიბნელე, რომელსაც სწყევლიდენ და კი-
ნოდათ.

როდესაც კაცის გონებამ გამოიხატა ქვეყნი-
ერობა ამნაირი აფი და კარგი ქმნილებით გაფსებული
და იმათი გაჩენა მიაწერა ორს ერთმანეთის მოწი-
ნააღმდეგე ძალას: «ბოროტს» და «კეთილს»,
იმის შემდეგ მრავალი ძველი სახელმწიფოების
დაწყობილება დაარსდა ზემოხსენებული მცნების
თანახმათ. როგორც ბუნება, ისე კაცების გაჩე-
ნაც თარს ღმერთს: «ბოროტსა» და «კეთილს» და-
ბრალეს. ძველს სახელმწიფოებს სწამდათ, რომ
კაცებში ზოგი ცეთილია, ზოგი ბოროტი; ერთი
ნაწილი კაცობრიობისა კეთილის ღმერთისგან
არის გაჩენილია, მეორე ბოროტისაგან. ზენდის
სარწმუნოების მიმყოლოთ სწამდათ, რომ ქვე-
ყნის ბედნიერება მხოლოდ მაშინ იქნება შესა-

ქლები, როდესაც ბოროტნი არსებანი დაემორ-
ჩილებიან კეთილსა, ამ შენების თანახმად ძველს
სახელმწიფოებში უსამართლო საზოგადო დაწ-
ყობილება დამკვიდრდა. გაკეთდა მაღალი და
დაბალი წოდება, დაჭალი წოდება მიაჩნდათ
არიმანის ქმნილებათ, მაღალი წოდება კი ორ-
მუწის შეილებათ, ამ სახით მაღალი წოდება ბუ-
ნების კანონათ რაცხდა, რომ ისინი ბატონე-
ბათ ყოფილიყვნენ და თავი ერჩინათ დაბალი
წოდების შრომით. ამ ზემოხსენებულს სარწმუ-
ნოებაში გაზღილს თვითონ დაბალს ხალხსაც
სამართლიანათ მიაჩნდა ეს დაწყობილება
და თუნდ ისე შეევიწროებინა, რომ სახლკა-
რიანათ აეკლო მებატონეს, ან რომელსამე თა-
ვადს, ხმას ვერ ამოილებდა, რადგან სწამდა,
რომ კეთილი არსება სჩაგრავდა ბოროტს ქმნია-
ლებას. რამდენიმე სტუკუნე და ათასი წელიც
გავიდა, რომ საზოგადო დაწყობილების კანონი
უმცირესს ნაწილს აწუხებინებდა უმრავლესს ნა-
წილს კაცობრიობისას. კეთილშობილი შთამო-
მავლობის კაცი ბოროტშობილს, ანუ მუშა

სოფლელს კიდეც გასცარცავდა, დაატყვევდა
ბდა, სახლ-კარიანათ აიკლებდა, მოკლავდა
კიდეც, მაგრამ ამისთვის სახელმწიფო ვერას
ეტყოდა იმას, რაღგან ყველას სჯეროდა,
რომ ბოროტი კეთილისავან უნდა იჩაგრებო-
დესო. ინდოეთში კშატრის წოდებისასა, ანუ
მხედარს რომ პარი, გლეხი მოეკლა, კა-
ნონი ვერას გადაახდევინებდა. ამისთანა უსა-
მართლოების ქვეშ კვნესოდა მთელი კაცობრი-
ობა რამდენსამე საუკუნესდა ათასის წელის, უ-
დრე არ დაიბადა ისეთი კაცი, რომელმაც გა-
მოიხსნა კაცობრიობა ამისთანა საშინელს უსა-
მართლოებისავან.

იესო ქრისტე ნაზარეველი იყო და ებ-
რაელებში ნაზარეთი მიაჩნდათ მონების და
გლეხების საცხოვრებლათ. იქ სახლობდა და-
ბალი წოდების ური; ამ წოდებიდგან იშეუ-
ჩეუნი მხსნელი. ღვთისა და ბუნების კანო-
ნის ნებაც ის იყო: სამართალი ყოველთვის გა-
ჭირებულებშია. იესო ქრისტეს სთქვა: «ჩვენ
უველანი ღვთის შვილები ვართო, ბოროტი და

კეთილი ჩვენ ხელში არის, გვინდა ვიქნებით კე-
თილი, გვინდა ბოროტი. აქლემი უფრო მაღა-
გატევა ნემსის კურწში, ვინამც მდიდარი შევა
სასუფეველშიო». დაჩაგრულს კაცობრიობას რომ
მოესმა ამნაირი მცნება, მაშინვე შერაცხა ის
ლეთის შვილათ და აღტაცებით მაეგება ამ ახალს
სარწმუნოებას, რომელიც ჭაღაგებდა თავისუფ-
ლებას, თანასწორობას ლეთის წინაშე და სა-
მართალს. დადგა ქვეყნის განახლების დრო.
ახალ სარწმუნოების მიმყოლნი თავის მოქმე-
დებით და სამართლით აკვირვებდენ მაშინდელს
ქვეყნიერობას. ისინი იყვნენ გლახაკის მფა-
რველნი, უსამართლოების მტერნი და ყოველი
კეთილის საქმისთვის თუ საჭირო იყო კიდეც
იწამებოდენ; თავის სისხლიც არ შურდათ
ამ დიდი საქმისთვის, და ჯილდოს მოელო-
დენ საიჭიოს. იმათის აზრით სასუფეველი მო-
წამების იყო. ამისთანა თავუანწირულს კაცებს
და იმათს სამართლიანს მოქმედებას რა დაუდ-
გებოდა უძლეველი. მართლაც რამდენათაც
უფრო სდევნიდენ და აწვალებდენ ქრისტიანებს,

იმდენათ უფრო მრავლდებოდენ ამ სარწმუნოების მიმყოლნი. ყოველი წვეთი სისხლი ქრისტიანებისა სიმართლისთვის დაღვრილი ათას კაცისგულს იგებდა. ელიშე ვართაპეტი მეხუთე საუკუნის ისტორიკოსი მოგვითხრობს სპარსეთის უმთავრესის მოგვის წერილიდგან, რომელიც სომხეთიდგან მისწერა იეზლიგერდ მეფეს, შემდეგ ამბავს:

«ჩვენი წინაპრებისგან გამიგონია: მეფეთ მეფის-შაფუ II*) დროს როდესაცამ (ქრისტეს) სარწმუნოებამ იწყო გავრცელება სპარსეთში და იმას საზღვრებს იქით აღმოსავლეთში, ჩვენს უმთავრესსა სჯულის მდებლებს იმდენათ შეეშინდათ, ზენდის სარწმუნოება სულ არ მოისპოსო, რომ ურჩიეს მეფეს ქრისტეს სარწმუნოების მოსასპობათ გრძანება გამოეცა თავის სახელმწიფოში. რამდენათაც უფრო ცდილობდა იმის მოკეთას, იმდენათ უფრო მრავლდებოდენ ქრისტეს თაყვა-

*) შაფუ მეორე ავიდა ტახტზე 305 წელს ქრისტეს აჭეთ.

ნის მცემლები. ქრისტიანობამ კუშუნების (მონგოლების) მიწამდის მიაწია და სამხრეთით თითქმის ინდოეთამდის გავრცელდა. — არც უდაბნო, არც დაშენებული მაზრა არ მოიძეოდა ქვეყანაზე, რომ ქრისტიანებს თავის შონასტრები და სალოცველოები იქ არ გაემართოსთ. ბოლოს მეფემ ბრძანა ყველა ეკკლესიების დაკეტა და ზედ მეფის ბეჭდის დაკვრა, მაშინ ქრისტიანებმა თავიანთი სახლები გააკეთეს ეკკლესიებათ. ეს კიდევ არაფერი; იმათ თქვეს, რომ ყველაზე უფრო წმინდა ეკკლესია თვით ჩვენი თავიაო. ის ყოველი თიხისა და ქვის ეკკლესიაზე უკეთესათ მიაჩნდათ. მეხლომეების მახვილი დაბლავვდა და ქრისტიანებს კი არ მოსწყინდათ თავიანთი თავების დახრა მოსაკვეთათ. მცარცველებს მოსწყინდათ იმათ სიმღიღრის და საუნჯის ტაცება; ქრისტიანები კი მაინც თან და თან მდიდრდებოდენ. ბოლოს მეფემ ნახა, რომ ქრისტიანები ისე სიამოვნებით მისცეიოდენ სასიკვდილოთ, როგორც დამწყვდეული ცხვრები საფარებოთვან და გასცა ბძანება, რომ ვისაც რა

საზომუნოება ჰქონდეს, ის აღიაროს და აღარ
იქნეს ქრისტიანების დევნაო».

სომხის ისტორიკოსი აგაფანგელოსი ამბობს,
რომ კოსტანტინე დიდის მონათვლამდის (311წელ)
ქაისტეს აქეთ) სომხეთის სახელმწიფოს დიდიხანის
მიღებული პქონდა ქრისტიანობაო. ევროპის მეც-
ნიერებში სენ მარტენმა (*) პირველათ დაამტკი-
ცა, რომ სომხების სამეფო 276 წელს ქრისტეს
აქეთ უკვე აღიარებდა ქრისტიანობასაო.

ამ სახით მესამე საუკუნიდგან დაწყებული სა-
ქართველოს საზღვრავდა ქრისტიანი სახელმწიფო.
ერთის მხრით და მეორეს მხრით სპარსეთის სა-
ხელმწიფო, რომელიც გავსებული იყო ქრისტი-
ანებით და ქრისტიანი მქადაგებლებით. რა დიდი
კითხვა უნდა, რომ ქრისტიანი სომხები და სპა-
რსეთის ქრისტიანები გუნდებათ მოვიდოდენ
საქართველოში წმინდა სახარევის საჭადავებლათ.

(*) დამატება აღმოჩავდეთის იმპერატორის Lebeau (Paris, 1825 წ. ტომი, I, 176 დ
77 გვ.)

ეს კიდევ არაფერი: ქრისტეს წვალებიდგანვე განითქვა საქართველოში იმისი სახელი და მოღვაწეობა კაცობრიობის განსათავისუფლებლათ. საქართველოდგან იყვნენ ებრაელები იერუსალიმს წასულნი, რომელნიც შეიქნენ იმის წვალების მოწამე. როდესაც ისინი დაბრუნდენ საქართველოში მცხეთის მცხოვრებლები ისეთის თანაგრძნობით ისმენდენ ამბებს ქრისტეს ცხოვრებისას და იმის წვალებას დაბრუნებულის ურიებისგან, რომ ერთი დედაკაცი ელიოს ებრაელის და სასოებისაგან კიდეც მოკვდა. რასა კვირველია, ამისთასა შემთხვევა დიდი შთაბეჭდილებას აღძრავდა ხალხის გონებაზე და აფარებინებდა: «სწორეთ მართალი ყოფილა ის ჰაცი და ჰეშმარიტი დეთისგან მოვლენილა ქვეყნის განსათავისუფლებლათაო». ამას გარდა თვითონ საქართველოს ერის გონებასაც უფრო ეთანხმებოდა ქრისტეს შენება, რომელიც ქადაგებდა კაცების თანასწორობას დეთის წინაშე. საქართველოს ერს არ მოსწონდა ზენდის სარწმუნოება, რომლის წყალობით გაჩნდენ იმის

ნიადაგზე აზნაურები და მსახურები, მეფება და
მონარბა. ეს ახალი ქრისტეს სარწმუნოება უფრო
შეეთანხმებოდა იმის ბუნებითს ჩვეულებას, ზნეს
და მქადაგებლებს. ყოველთვის უფრო დიდის
თანაგრძნობით შეხვდებოდა, ამას გარდა რო-
მის და სპარსეთის სახელმწიფოებს კავკა-
სის მხარე საექსორიო აღგილათ მიაჩნდათ,
სადაც ჰერიკი ქრისტიანებს როგორც ამ
ჭამათ ჩვენიდგან ციმბირს გზავნიან დანაშაულებს,
ბაშის და იანეთის მახლობლათ, რიონის მდი-
ნარეში არიან ჭალაკები, რომელთაც
აქამომდე ეძახიან საქსორიას (ესე იგი დანა-
შაულების გასაგზავნს აღაგე). ამსახით საუკეთესო
ქრისტეს მქადაგებელნი, მეცნიერი კაცები ლვა-
თის-მეტყველებაში და საერო სწავლაში აგრე-
თვე ექიმობაში ზედმიწევნილნი მკურნალნი მთე-
ლი სამი საუკუნის განმავლობაში არ დასცხებო-
დენ ჩვენში ქრისტეს სარწმუნოების ქადაგებას.
საქართველოში მოკვდა რომის ეპისკოპი კულ-
მენტი, რომელიც იმპერატორმა ტრაიანმა გა-
მოაგდო სამეგრელოში. აქვე მიიცვალა მშვე-

ნიერი ნასწავლიდკაცი პონტოელი პალვი. ბოლოს
როდესაც მეფე ამზასპე გააგდეს ქართველებმა,
თავის უსაძართლოებისთვის და სომხის მეფის
ნათესავი რევი შევიდა საქართველოს ტახტზე,
იმან სომხის მქადაგებლებით მთელი საქართვე-
ლოს ერი მოამზადა ქრისტის სარწმუნოების
მისაღებათ.

მრავალი ქართველები გამოჩნდენ თავის სა-
რწმუნოების წინააღმდეგნი. იმათ აღარ სწამდათ
თავის ღმერთები, და ცეცხლის ქურებს კა-
ცის შარიდით აქრობდნენ; ბევრი ორმიწის გა-
დენის კერპებსაც დასკინოდა. ყველას აცრუებუ-
ლი ვქანდა გული ზენდის სარწმუნოებაზე და
დიდის პატივისცემით უყურებდენ ქრისტიანებს,
რომელნიც განირჩეოდენ წმინდა ცხოვრებით
და თავისუფლების მოყვარეობით. აი, ამითი
აიხსნება, რომ მეოთხე სეუკუნის დასაწყისში წმინ-
და ნინომ ასე ადვილათ წევეთი ქრისტიანის სი-
სკლის დაუღვრელათ მიაღებინა მთელს საქარ-
თველოს ქრისტიანობა ერი მომზადებული იყო
ამ ახალი სარწმუნოებისათვის. ამ შდგომარეო-

ბაში მხოლოდ ისეთი კაცი უნდა გამოჩენილი-
ყო, რომ თავისი გულშეურყეველი სარწმუ-
ნოებით ეთქვა ერისთვის, თქვენი სარწმუნოება
ცრუა, მოიქეცით, და ერი მოიქცეოდა. ამი-
სთანა კაციც მალე გამოჩნდა. ის იყო ერთი ახალი
გაზღა დედაკაცი, სახელათ ნინო, რომელმაც
სხვა კეთილ ნიჭებს შორის ექიმობაც კარგათ
იცოდა და პირველათ მეფის სახლობის გული
ამ საშუალებით მოიგო ქრისტეს სარწმუნოე-
ბისთვის.

მირიანს შემდეგ მეფობდა იმისი შვილი ბა-
კარი. (342—364 წ.) — ბაკარი ყმაწვილობილ-
განვე იყო წასული საბერძნეთს დიდის კოსტანტი-
ნე იმპერატორის კარზე და ჰქონდა სწავლა
მეცნიერება შეუვარებული. საღვთო წერილში
კარგათ გაწვრთნილი იყო. როდესაც ტახ-
ტზე შევიდა, იმის გულის წადილი ის იყო, რომ
ქრისტეს სარწმუნოება დაემკვიდრებინა ერში.
ამისგამო იმან დაიბარა საბერძნეთიდგან მეცნი-
ერი და სასულიერო მწიგნობრობაში განვითა-
რებული კაცები. ყოველს ლვდელს მიუჩინა თა-

ესი მრევლი, აუშენა უკულესია და უკულესიას-
თან გაამართვინა შეკლა, საღაც ასწავლიდენ
ქართულს ენაზე საღვთო წერილს და საერო
სწავლას, ამას გარდა ბერძნულს და ასურულს
ენებს. იმისვე მეფობაში მოვიდნენ ქრისტეს სი-
ტყვის მქადაგვეჭლთა გუნდნი მოციქულების
მაგიერი კაცებთ და ბაქარ მეფის შემწეობით
მოაკციეს მთიულები, აფხაზები, ხევსურები და
სხვა. ამას გარდა ბაქარმა განიზრახა არანელე-
ბის (*) მოქცევა. ამ ქვეყნის მმართველათ იყო
ბაქარის სიძე ფეროზი, ზენდის. სარწმუნოების
აღმსარებელი. როგორც ერი, ისე იმის მმართ-
ველი წინააღმდევი გახდენ ამისა და ფეროზმა
ითხოვა სპარსეთის მეფისგან შემწეობა. ამ დროს
სომხებიც შეეცილენ ბაქარს მეფობაზე: საქარ-
თველოს ტახტი რევის შვილებს იკუთვნისო.
ამსახით აღიძრა ომი საქართველოსა და სპარ-

(*) არანის მაზრა ესლა ლორის საპრისტაოს და
მუღაწლის მაზრას შეიცავს სპარსეთამდის. ასელა
ამ ქვეუნებში თაორები ცხოვრობენ.

სელებს შუა სარწმუნოებისთვის, რომელსაც პი-
რველათ მიეცა პოლიტიკური მნიშვნელობა. ეს
ომი დაბოლოვდა ამნაირათ. არანის უფრო დიდი
ნაწილი სპარსეთს დარჩა. მეორე ნაწილი ამ ქვე-
ყნისა გაქრისტიანდა, თვითონ ფეროზი მოიქა-
და ბაქარმა გაქრისტიანებული მოაზნის. ქვეყნის
ნაწილი მდინარეს ხრამსა და ალგეთს შუა მისცა
მას საერისთავოთ. სომხებთან ცალკე პირობა
დასკვნა, რომლის ძალით რევის შვილებს შეიცა-
კახეთი და ისინი უნდა დამორჩილებოდენ ბაქარს,
როგორც საქართველოს ერისთვები:

ფილალეგიური განხილვა

ქართული ენის

ენა არის უშთავრესი თვისება კაცისა, რომლი-
თაც ის განირჩევა სხვა ცხოველთაგან. როგორ
წარმოსდგა ენა? — აი, პირველი საკითხავი აში დრო
ის მეცნიერებისა. იმათი ძიება ამ კითხვის პასუხს.
შეიცავს, მაგრამ ჯერ ვერავინ მიმხვდარა ნამ-
დვილსა. საენო მეცნიერება ჯერ ვერას იტყვის
იმაზე, თუ როგორ დაბადებულა სიტყვის ძირე-
ბი, თუმცა ენის ძიებას ძველიდგანვე შეუდგენ
უოველი ქვეუნის მეცნიერები. სულ ჭველის,
ძველათ ინდოელები იჭვლევდენ ლექსთაწყო-
ბის კანონებს და, როგორც ამბობენ, ინდოე-
ლების გრამატიკაში იპოება თითქმის უველა ის
წესები, რაც იცოდენ წარსული საუკუნოების
გრამატიკოსებმა. ინდოელების შემდეგ ბერძნები
ცდილობდენ თავისთავათ გრამატიკულ კანონები

ბის გამოკვლევას. იმათ თითქმის არ სცოდნიათ, იყო თუ არა რაიმე გრამატიკული სწავლა ინდოეთში. არისტოტელმა იცოდა, რომ ენაში არის სხვა და სხვა წყობის სიტყვები: სახელი არ-სებითი, ზმნა, კავშირი, რიცხვითი სახელი—მნი-ლობითი და მრავლობითი. მაგრამ იმან არ იცოდა, თუ გრამატიკულს ფორმებს რა მნიშ-ვნელობა ჰქონდა აზრის შედგენაში. ამ შემთხვე-ვაში პერგამის და ალექსანდრიის ჭალაქის მეც-ნიერებმა დიდი საჭმე ჰქნეს. ისინი ძალიერებული ჰქონდნა აზრის და სახელი უწოდეს მრა-ვალს გრამატიკულს ფორმებს, შეისწავლეს, თუ რა წესით იცვლებიან სიტყვები აზრში, რომ გა-მოხატონ ყოველნაირი შიმართობა (отношениe) და დამოკიდებულება საგნებს შორის. ერთი სიტ-ყვით იმათ მოამზადეს სრულათ გრამატიკის მა-სალა. შერე გრამატიკის მასალები დაწყო რიგი-სა და წესისამებრ ერთმა მეცნიერმა დიონისი ფრაკიელმა, რომელიც ცხოვრებდა მესამე სა-უკუნეში ქროსტეს მოსვლის წინათ რომის ქა-

ლაქში და იქ ასწავლიდა ბერძნულს ენას. ამ, ამ განზრახვით შეადგინა იმან რომაელების თვის ბერძნული გრამატიკა და შიგ შეკრიბა ყველა გრამატიკული წესები და ცოდნა, რაც იმის დროშის გამოეკვლიათ საბერძნეთის მეცნიერებს. ამის შემდეგ გრამატიკას ბევრი არა შემატებიარა, თუმცა საბერძნეთის შემდეგ რომაელები იკვლევდენ ენის კანონებს; იმათ მიჰყენენ ევროპელები და განაგრძეს ძველი მეცნიერების შრომა, მაგრამ მეთვრამეტე საუკუნემდის ენის ძიებას ძირითადი კანონები მაინც არა გამოუკვლევიარა. ანტონ ჭათალიკოსის გრამატიკა და პლატონ იოსელიანისა დიონისი ფრაკიელის გრამატიკულს წესებს გვასწავლიან სხვასკი არაფერს. ენის შესწავლა მეთვრამეტე საუკუნემდის მეცნიერებათ არ ჩაითვლებოდა. ძალიან დიდი ღვაწლი ამ მეცნიერებისათვის დასდგა ერთმა ევროპელმა ფილოსოფოსმა ლეიბნიცმა, რომელიც სხოვრებდა მეჩეთმეტე საუკუნეში. მანამდის შველანი დაწმუნებულნი იყვნენ, რომ ებრაული ენა იყო თავი ენა კაცობრიობისა და სჯე-

როდათ, რომ ამ ენიდგან წარმომდგარა მოელი ქვეყნის ენებით. ამის პასუხათ ლეიბნიცი, ან, რას ანბოჭს: «ვისაც ებრაული ენა მიაჩნია შოლი კაცობრიობის დედა ენათ, ის სწორეთ იმის თანა კაცა ჰგავს, რომელიც ამტკიცებს ხს წერბი და ტოტები ხის ფესვებიაო, ან ჰეონია, რომ საღმე შეიძლებოდეს ხის ნამორების განედლება და იმათი ხეთ გადაჭცევა. ამისთანა აზრების შეთხეზა შესაძლებელია, მაგრამ ისინი წინააღმდეგნი იქნებიან ბუნების კანონების და მოელი ქვეყნის დაწყობილებისა, ესე იგი ამისთანა აზრი ღვთის სიბრძნის წინააღმდეგი იქნებოდა». ლეიბნიცმა გამართა მიწერ-მოწერა მაშინდელს წარჩინებულს კაცებთან, რომელნიც იყვნენ წასულწამოსულნი სხვა და სხვა ქვეყნის კიდეებზე ლეიბნიცის გრულისთვის აგროვებდა სიტყვებს რუსეთის იმპერატორი, იეზუიტები ჩინეთის ქვეყანაში იმისთვის შრომობდენ. სხვა და სხვა ქვეყნების ელჩები, შვანერები, თავადნიდა დიდებულნი ყოვლის ქვეყნისა სულ ლეიბნიცმა დასია ამ საქმეს, შეკრიბა მრავალი ენის სიტყვები და შემ-

ლეგ ჭაიწყო ერთნაირი აზრის სიტყვების შედა-
რება და ენის წარმოების ძიება.

იმან ჭირველ აცნობა შეცნიერებს, თუ რა
დიდი მნიშვნელობა აქვთ ენის ღიალექტებს ანუ
ენაცულებს ერთისა და იმავე ერთსას, ლექს-
ო-წყობის ასახსნელათ. მაგრამ რაც ამ დიდმა
შეცნიერმა ვერ შესძლო, ის მოათავეს წარჩინე-
ბულმა ჩვენი დროის შეცნიერებმა ბოკმა,
გრიშმა და სხვებმა. ბოკმა განიზრახა გრამატი-
კულის ძიებით შედარება ერთმანეთთან სანსკრი-
ტულის ენისა, ზენდის, ელლინურის, ლათინურის,
ლიტვურის, სლოვენურის, გოთურის და ნემეცუ-
რისა. იმან შეაღვინა შედარებითი გრამატიკა აშ
ენებისა და ამის შემდეგ ენისძიებაც სწორეთ
ნამდვილ მეცნიერებათ შეიქნა. ამ ზემოხსენე-
ბულის მეცნიერების შრომით გამოჩნდა, რომ
ენა არის ბუნებითი კუთვნილება კაცობრიობი-
სა. იმას ვერ გაკეთებს ვერც ერთი ფაცი, ვერც
მთელი ხალხი და ვერც მთელი კაცობრიობა ისე;
როგორც მაგალითად ჩვენ შეგვიძლიან სტო-
ლისა და სკამის გაკეთება. ენა იზრდება, ესე იგი

კრებული

იცვლება ბუნების კანონისამებრ და კვდება კი
დეცა. რანაირათ გაჩნდა ენა? ამას ჯერ ვერავინ
მიმხვდარა ზედმიწევნით; მაგრამ იმის უცლი-
ლების უმთავრესი კანონები კი იციან ამ ქამათ.
საუნო მეცნიერებას შეუტყვია, რომ ენა იზრდე-
ბა რამდენიმე მარცვლებისაგან; რომელთაც
ეწოდება ლექსის ძირებითა მერე გვიხსნის, თუ
როგორ შედის თანდათან ოწარმატებაში, ანუ
უკეთ ვთქვათ როგორ იზრდება. როდესაც ამ
მეცნიერებამ შეადარა მრავალი სხვა და სხვა ერის
ენები, იმან ბევრს იმათგანში შენიშნა ერთნა-
ირი აგებულება—ერთნაირი წესი ლექსთაწყო-
ბაში, ერთნაირი გრამატიკული დაწყობილება,
ერთნაირი ძირები და ამასთვის ესენები რიგო-
გათ დაწყო. რომელთაც ერთნაირი კანონები
და გრამატიკული წყობა ჰქონდა, იმათ მონათე-
სავე ენები უწოდა.

თითო ერის ენაში ყველა სიტყვები რომ და-
შალოთ, სულ რომ ბევრი იქნეს, სამას, ათხას
ლექსის ძირი თუ იქნება, მეტი არა ზოგი ძირი
რებია ხმაბაძნი (звукоподражательные), ესვ რფი

განიმეორებენ იმ ხმებს, რაც ბუნებაში ისმის
და იმისგან შეაღენენ სიტყვებს, მაგალითად:
ჩქრ. ეს ხმა ისმის, როდესაც მთიღვან მდინარე
ჩამორბის და შიწაზე ეცემა. ჩქრ არის ძირი.
იმისგან შეღვენილი სიტყვები ჩანჩქერი, ჩქრი-
ალი. ჭრუ.—ჭრიჭინი, გრხ—გრუხუნი, კრ—
კრიალი და სხვა. თავდაპირველი ძირები სულ
შემასმენელობითნი, ანუ სახეითნი არიან, ესე იგი
აღნიშვნენ ან რასმე მოვლენას, ან მოქმედებას,
ან საგანს, ან ნიშანს, ან თვისებას. ეს ძირები
არიან ერთმარცვლოვანნი: ან მარტო ერთი
ხმოვანი ასოა, ან ერთი უხმო ასოც თანდას-
დევს. ძირები არიან სამგვარნი: პირ მ შო, შ ე-
დ ე გ ი და მ ა ს შ ე დ ე გ ი. პირმშო ძირი მხო-
ლოდ ერთი ხმოვანი ასოსგან არის შემდგარი, ან
ზედ კიდევ ერთი უხმო ასოც დაერთების. მაგალი-
თად: ზორისძირი სიტყვისა ჯდომა, კა—კაცისა,
ჭრუ—ჭვისა და სხვ. შედევი ძირი იმას ეწოდება, საცა
ერთს ხმოვანს ასოს თვეში დაბოლოში უხმო ასოვ-
ბი დასდევს: კან—კანი, ლოდ—ლოდი და სხვ.
მას შედევი არიან ისეთი ძირები, სადაც ერთ ხმო-

კონტაქტი

ვანსა ასოს ადევნებული აქვს რამდენიმე უხშო.
ასო — ყრუ — ბრმ — ყრუ, ბრმა. აქედგან სი-
ტყვა ბოროტი წარმოსდგა და სხვ.

როგორც ერთი კაცი, ისე მთელი ერი თავიდ-
განვე ბევრს რასმე გრძნობდა ბუნებაში: ზე-
დავდა, ისმენდა, გემოს და სუნს ტყობულობდა —
ერთი სიტყვათ უამოსცდიდა შრავალს გვარს
შთაბეჭდილებას. ამ შთაბეჭდილებათა გამოსათ-
ქმელათ ის სიტყვის ძირებს ბევრნაირათ და-
უწყებს ცვლას და ამნაირათ იშისი ენა თან-
და-თან იწყებს ზრდას. შემდეგ ერი შრავლდება,
გვარები მიღიმოდიან, სხვა და სხვა საჭმის კე-
თებას იწევებენ, განსაკუთრებულს გარემოებაში
დგებიან და აქიბადება ახალი სიტყვები უწინ
დელი ძირებისაგან. თითო გვარის ენა სხვაფერ-
დება და წარმოსდგება დასაკუტებები, ენაც უ-
ლები — (შარქუა). შემდეგ წარმოფილებინოთ,
რომ ამ ერთი ტომის ერს ვინმე მტერი
დაემუქრა პაკლებათ, მაშინ თემები ერთმანეთს
უკავშირდებიან, მოხდება ხშირათ ყრილობა მო-
სალაპარაკლებლათ, თუ როგორ უნდა მოიჭეონ

ჭტრის მოსაგერებლათ, იმათში ერთი რომელიმე
უფრო კარგი მოლაპარაკე ჭაცი გამოჩნდება. ის
ილაპარაკებს ისე რომ ყველა თემების გასა-
გონი იყოს, შემდეგ თან და თან ვიწყდება იმათი
ოემის განსაკუთრებული სიტუაციიდა, ხმარობენ
ლაპარაკში იმ სიტუაციებს, რომელნიც ყველა თემებს
ესწისთ, რომელნიც ყველასთვის გასაგონია. ამ
სახით თემებში რომლისამე გვარის ენა წამოისწევა,
წინ, უფრო ბევრი დაიწყებს იმითი ლაპარაკს,
როდესაც ერთად არიან შეყრილნი და ამ სახით
ენა მუშავდება, წერა-კითხვა, სწავლა იწყება იმ
ენაზე, ერი თან და თან ნათლდება და იშისი
ენა ლიტერატურულ ენათ იქცევა. მაშინ ეს ენა
მიიღებს თავის საკუთარს გრამატიკის წესებს და
შორდება თავის დალეკტებს, სათემო ენებს,
ანუ ენაცულებს. დიალექტებისაგან აღარ იძენს
ეს ლიტერატურული ენა ახალ-ახალ სიტ-
ყებს და ამისთვის ენა დგება ერთ დონაზე, იმას
გრამატიკული ფორმები მაგრდებიან. მაშინ
ამ ენას ჰქვიან ლიტერატურული, კლასის
კურსი ენა. როდესაც ეს ენა აღარ იკარებს

ოავის დიალექტების ახალ სიტყვებს და იმათს
ცოცხალს ლექსთაბრუნვას, — მიაჩნია იგი ენის
გამრყვნელთ, ამის შემდეგ ეს ლიტერატურული
ენა, ადრე თუ გვიან, დაეცემა. იმას ლაპარაკში აღ-
რავინ ხმარობს, მხოლოდ ძველს წიგნებში. რჩე-
ბა და იმის მაგიერათ ახალი ცოცხალი ენა წარ-
მომდგარი ენაცულებისაგან დაიწყებს წარმა-
ტებას და ლიტერატულათ შემუშავებას. ამნაი-
რი შემთხვევა მოუვიდა ჩვენს ძველს და ახალს ენას.
ძველი ენა ჩვენი ძალიან შემუშავებული ენაა, მა-
გრამ იმაზე აღარავინ ლაპარაკობს. ეს ენა ადრი-
დგანვე აღარ აქცევდა ყურადღებას სხვა და
სხვა თემების სიტყვიერებას, არ სარგებლობ-
და იმ დიალექტებით, რომლითაც ლაპარაკობ-
დენ ქართლში, კანეთში, იმერეთში, გურიაში,
ჯავახეთში. ამის გამო ჩვენი ძველი სამეცნიე-
რო ენა დროსა და დროს განმავალობაში მძიმე
გასაგონი შეიქნა ცოცხალი ხალხისთვის და ამ
ფამათ ის თითქმის პლარც არავის ესმის. ახლა
არსდება ახალი ენა, რომელშიაც არის შერთუ-
ლი ყველა მაზრის ენები, ესე იგი ქართლის კა

ლოც, კახეთისა და იმერეთისაცა. აი, ეს ენა ყველას ესმის და ჩქარაც იზრდება; როდესაც ლიტერატურულათ კარგათ შემუშავდება ეს ახალი ენა, ის არას ღდეს არ უნდა დავაცილოთ ჩვენს სათემო ენების კილოებს ანუ დიალექტებს, თუ რომ გვინდა მუდაშ ცოცხალი ლიტერატურული ენა გვქონდეს და ისე არ მოკვდეს, როგორც ძველი ლიტერატურული ენა მოკვდა. როგორც ზღვა მდინარეებით და ხევებით ირთავს ახალს წყალს, ისე ლიტერატურული ენა ნიადაგ უნდა საჩვებლობდეს ყველა თემების კოლოთი და ამ სახით ლიტერატურულს ენას ყოველთვის კავშირი უნდა ჰქონდეს. თავის დიალექტებთან, მუდაშ ითვისებდეს იმისგან ახალს გამოთქმას, სიტყვებს და ლექსთაწყობას. ერთ ცოცხლობს, წინ მიდის, გონების წარმატებაშია; ამისდაგვარათ იმისი ენაც წარმატებით იცვლება და ეს წარმატება ცოცხალი ენისა ნიადაგ კვალს უნდა აჩენდეს ლიტერატურულს ენასაც. ენის დაყოფა ენის მეცნიერებაშ გამოიჩინა მრავალი ენების აგებულება და ნახა ზოგი:

ერთ იმათში ისეთი განსხვავება, რომ არც გრამატიკული ფორმებით, არც სხვა თვისებით ერთმანეთს არ ჰყვანან. ამისთვის იმან დაჲყო ენები თავის აგებულებისამებრ სამ წყებათ.

1. პირველი წყების ენებში ყველა ძირები შემასმენელნი არიან, ესე იგი აღნიშვნენ საგანს, მოქმედებას, თვისებას და ეს ძირები არ იცვლებიან. ამისთანა ენებს ჯერ გრამატიკა არა აქვთ ამისთანა ენებში კანონები არ არის. არც ზმნას, არც სხვა სიტყვის ნაწილებს არავითარი ცვლილება არა აქვს. მაგალითად ჩინურს ენაზე რომ გინდოდეს ამ სიტყვის თქმა: «შინ არისო» ასე უნდა თქვა: სახლი შიგნით — უ — ლი (უ — სახლია იმათებურათ და «ლი» — შიგნით), ეს ორი ძირი სიტყვა ერთად შეერთდება და გამოხატვენ ზემოხსენებულს აზრს, თუმცა არც ერთიან სიტყვათაგანი არ იცვლება. მოვიყვან მეორე მაგალითს: ეო — და — ნი (მე — შენ — გცემ), ნი — და — ვი (შენ მე მცემ), ვი — შენ — ცუდი კაცი შენ — ვი — ეს ვაცი ცუდია. ჯე ენაში არც ბრუნვაა, არც კანკლედობა, არც სხვა რაიმე ცვლილება.

თუ გინდა სხვა და სხვა აზრი გამოხატო, სიტყვები უნდა გადააგდებადმოაგდო, როგორც ზემოთ ვქმენით, და იმის და გვარათ აზრიც იცვლება. ამ ენაში ყველა სიტყვის ძირები ერთ მარცვლოვანები არიან და იმისგამო ამ უნას ეძახიან ერთმარცვლოვანია.

2. რომელს ენაშიაც წმინდა შეუცვლელს ძირს მიემატება სხვა და სხვა დაბოლოვება მრავალნაირ გრამატიკულ ფორმების გასაკეთებლათ, იმას ეძახიან მისმა ენას. ამნაირ ენები ქვეყანაზე ძალიან ბევრია. მონგოლები ჩანუთათრის მონათესავე ზალხები სულ ამგვარი ენებით ლაპარაკობენ. რაც აზიაში და ეეროპაში თათრის ტომის ერნი არიან, ყველანი ამ ენებზე ლაპარაკობენ. სხვათა შორის განათლებული ვენგერის ერიც იმაზე ლაპარაკობს. ამ ენებში ძირი სიტყვა ყოველთვის უცვლელათ რჩება; ვერავითარი დაბოლოვება და გრამატიკული ცვლილება ამ ძირს ვერ შესცვლის და ვერც გადასცვლის. ის სიტყვაში მარ-

გალიტივით ბრწყინავს ყოველთვის. ამ ძირს მიკეთება სხვა და სხვა ნაირი დაბოლოვება და ეს დაბოლოვებაც ან მკვახედ გამოითქმის, ან ნაზათ—ეს თვითონ სიტყვის ძირზეა დამოკიდებული. მაგალითად, განუსაზღვრელ სქესისთვის თურქულს ენაში ორი დაბოლოვება არსებობს: «მ ე კ» და «მ ა კ». გელმეკ (სვლა, სიარული), იაზ-მაკ (წერა). მრავლობითი რიცხვისთვისაც ორი დაბოლოვებაა: «ლერ» და «ლარ». ევ-ლერ—სახლში, ატ-ლარ—ცხენები. თუ ძირს ნაზი ხმა აქვს, მაშინ თვითონ ბოლოცუ ნაზი მოეკიდება და თუ ძირს მკვახე ხმა აქვს, მაშინ ბოლოცუ მკვახეთ დაბოლოვდება..ნაზი ხმა არის ასო ე, და ასო ა—მკვახეა.

ამ სახით ზევით მოყვანილს სიტყვის ძირში: «გელ» ხმოვანი ასო ე ნაზია, ამისთვის დაბოლოს ვებასაც ნაზ-ხმიანს მიიკერებს და გამოვა „გელ-მეკ“; მეორე ძირში იაზ ხმოვანი ასო ა მკვახეა და ამისთვის დაბოლოვებასაც მკვახე ასოიანს იკრებს: «იაზ-მაკ». აი, ამ ენებს აქვთ გრამატიკა, თუმცა ძალიან ლარიბი.

3. მესამე გვარის ენები ისეთია, რომ ორი ძი-

რი ერთად შეერთდება რომელიმე სიტყვის შესაღ-
ვენათ და ეს ორივე ძირი ტყდება, ცვდება,
ილესება და იმდენათ იცვლება, რომ იმათვან
შემდგარს სიტყვაში ძნელათლა გამოიკვლევს
კაცი ნამდვილს ძირებს. მხოლოდ მეცნიერები თუ
გამოსძებნიან იქ ძირებს, თორემ უბრალო კაცს
არ შეუძლია და ბევჯერ ისინიც უარს იტყვიან
ხოლმე ნამდვილ ძირის მონახვაზე. როცა ამა-
ნაირათ გადიცვლება ხმები, იტყვიან, რომ სიტ-
ყვა ფონეტურათ ანუ ხმითეწვალაო. ამისთა-
ნა ენებს ეკუთვნიან ინდოეთისა და ევროპული
ენები, სპარსული, სომხური და ჩვენი ენაც ამა-
თი მონათესავეა. საზოგადოთ ამ ენებს ეძახიან
ფლეჭსიურს ენებს.

არის ტომის ენები ყველანი ეკუთვნიან ფლე-
ჭსიურს ენებს, ესე იგი ენა ზრდილა ხმისწვა-
ლებით და დიალექტურის განახლებით.

დიალექტურს ანუ ენაცვლითი განახლებას
იმას ვეტყვით, როდესაც სხვა და სხვა მაზრაში
რომელსამე სიტყვას უწინ ესეთი მნიშვნელობა
ჰქონდა და მერე, როცა გურები სხვა და სხვა ხეო-

ბებში ჩაესახლენ, ერთმანეთს ხშირად ვეღარ ხედავდნენ, სიტყვას სხვა მნიშვნელობა მიეცა.

დიალექტის განახლების გამო ერთსა და იმავე ხალხში ზოგიერთ ძველს სიტყვებს ივიწყებენ და იმის მაგიერათ ახალი სიტყვები იბადება, რომელიც უწინ არ ყოფილა, და მეორე გვარი კი იმის მაგიერათ ისევ ძველებურ სიტყვას ხმარობს.

მაგალითად იმერული, ქართული, კახური, გურული, არიან ქართული ენების დიალექტები და იმათში დიალექტურის განახლებით არ, რა მომხდარა:

გურიაში დარჩენილა ქელი სიტყვა «მოჭილა» ქართლში ეს სიტყვა მომკვდარა და ამის მაგიერათ ხმარობენ «მოკრიფა».

იმერეთში იტყვიან ხელიოსანი

ქართლში — მაშასახლისი.

იმერეთში — ყაძახი

ქართლში — გლეხი და სხვ.

შაქს მილლერი ამბობს საშუალო ამერიკაში მყოფი ეკრანის მისინერები ცდილობდენ

შედგინათ იქაური ენების ლექსიკონი და უკულა სიტყვას თითოეული ენისას გულსმოდგინეთ წერდენ და აგროვებდენ ხოლმე. ათის წლის შემდეგ, როცა იმავე ქვეყნებში დაბრუნდენ, ნახეს, რომ იმათი შედგენილი ლექსიკონი აღარ ვთჩფოდა და ჟელი სიტყვები სულ ენის მორეცს დაეძირა და ახალი სიტყვები კა ცოცხალს ენაში თავზე მოქაულიყვნენ. გარეგანი სახით ენა სულ შეცვლილიყო.

თვითონ ერთი იშ მისიონერთაგანი; სახელათა ვალდეკი ამტკაცებს, «1833 წელს საფუძვლი ანათ შედგენილი ლექსიკონი ათის წლის შემდეგ ვეღარ ვიხმარეთ ენის გასაგონათაო». — ის ველური ხალხები, რომელნიც მარტო საქონლის მწყემსობით იტჩენენ თავს, ისე ადვილათ იცვლიან ენას გვარობაში, რომ ამერიკის იდოუთლების სხვა და სხვა თემის ენები იმდენათ გადაცვლილან, რომ ფრანცუზული და ნემენცური ენა უფრო დაახლოვებულია ერთმანეთზე, ვინამც ეს სათემო ენები. მაგალით მისნი და დელაუერები ამერიკაში ისეთი

მონათესავენი არიან ერთმანეთისა, როგორც
ჭართლელები და იმერლები. როგორც ჩვენ,
ისინიც ასე მეზობლათ ცხოვრებენ, მაგრამ არა
მცოცავ ერთმანეთის ენა აღარ ესმისთ, ასე გა-
სიჯეთ, თვლაც გადუსხვაფერებიათ.

ხმისწვალებას ეძახიან იმისთანა სიტყვის
ცვლას; როდესაც ერთი ხმები იცვლებიან შე-
ორე ხმებათ, ან მთელს სიტყვას თავისი შინა-
ახსი, თავისი აზრი ეკარგება და უბრალო გრა-
მატიკულ დაბოლოვებათ ხდება.

აი, რას ამბობს მაქს მილლერი ენაში გრამა-
ტიკულ დაბოლოვების გაკეთებაზე.

ხმის წვალებას დიდი მნიშვნელობა აქვს ენა-
ცვლის (*нартие*) გაკეთებაზე. «თვალი გადაფავ-
ლოთ იმ ენებს, რომელნიც გრამატიკოსებს
უფრო დაწვრილებით განუხილავთ და მაშინ დაფ-
რწმუნდებით, ხმისწვალებას რანაირათ გაუ-
კეთებია. გრამატიკული დაბოლოვება ავილოთ
ფრანციული ენა, ფრანცუზის გრამატიკოსები ამ-
ბობენ, რომ ენა-ცვლის გასაკეთებლათ უნდა
მიუმატო დაბოლოვება *ment* (მანტ): მაგალით

სიტყვილგან bon (ბონ) წარმოსდგება *bonnement* (ბონემანტ), vrai (ვრე) — *vraiment* (ვრემანტ). ეს დაბოლოვება არ იპოვება ლათინურს ენაში (რომლის დიალექტი ანუ ენაცული არის ფრანცუზული ენა, მაგრამ ჩვენ იქ ვპოვებთ ამისთანა სიტყვებს bona mente (ბონა მენტე) — კეთილის აზრით. ოვილის (თომაჟლი წარჩინებული პოეტია) თხზულებაში ვკითხულობთ «*Insistam forti mente*» (ინსისტამ ფორტი მენტე) — მე ჩემს სიტყვაზე დავდგები ლონიერის აზრით, ამ სახით ლათინურის ენის ზრდაში, ანუ იმის გადაკეთების დროს ფრანცუზულს ენაზე მოხდა შემდეგი ცვლილება: იმ სიტყვებში, რომელნიც «ფორტი მენტის» მგზავსნი არიან, მეორე სიტყვის აზრი აღარავის ავონდებოდა და იმავე დროს იმის მკაფიოთ გამოთქმაც დაიკარგა. — მენტეს მაგიერათ ფრანცუზები ამბობდენ მანტ. — «მენტე», რომელიც არის ლათინურათ შოქმედებრი ბრუნვა, წარმოებული სიტყვილგან «მენს», შეიცვალა ამ სიტყვათ *ment* «მანტ» და დარჩა, როგორც უბრალო დაბოლოვება სიტყვებისა, ასე

გასინჯე, იმ სიტყვებშიაც, საცა პირვანდელი
მნიშვნელობა ამ დაბოლოვებისა რომ მოვიგო-
ნოთ, მაშინ იმის ხმარებაც შეუძლებელი იქ-
ნებოდა. ჩვენ თუ ფრანციზულათ ვიტყვით
ჩაქუჩი ძირს ეცემა მძიმეთ — lourdement (ლურ-
დემანტ), — სრულებით არ მოგვდის აზრში,
რომ ჩაქუჩის მივუწერთ მძიმეს აზრს და ფრან-
ციზულათ ვამბობთ «ჩაქუჩი ეცემა-მძიმე აზრით».
ძნელი გამოსაკვლევია ამ კანონის ძალით ესე
იგი ხმისწვალებითი დაცემით რამდენათ უნდა გა-
დასხვავერებულ იყვნენ ენები და იმათი საზოგადო
ძირი რამდენათ უნდა გადაკეთებულიყო.

ამისამაგავსი მაგალითები ჩვენს ენაშიაც ბევრია. უ-
წინ ჩვენში იხმარებოდა: «სახლსა შიგან». სიტყვას
«შიგან» ჰქონდა თავისი აზრი და ნიშნავდა შუალა-
გობას. მერმე ამ სიტყვის მიკერება დაიწყეს ყოველს
სიტყვაზე, როცა გვინდოდა გამოგვეხატა საშუალო
ალაგი ნივთისა, ანუ საგნისა. თუ გვინდოდა გვე-
თქვა ტყეში ვართ, სულ ძველათ ვიტყოდით
«ტყე შიგან», ესეიგი ტყის ოჯახობა უარლო მერე
ამ სიტყვას «შიგან» თვისი საკუთარი მნიშვნელობა

დაეკარგა და ამისდაგვარად თვითონაც გამოთქმა-
ში შეიცვალა: ახლა «შიგან» მაგიერათ ვამბობთ
ში — ეს სიტყვა მიეკერება ყოველს სიტყვას,
როცა გვინდა გამოვხატოთ, რომ მოქმედება ხდე-
ბა სავნის შიგნით. ამსახით «ში» გახდა უბრა-
ლო გრამატიკულ დაბოლოვებათ; ხმის წვა-
ლებისამებრ გადიცუალა და იმისი პირვანდელი
მნიშვნელობა სრულებითაც თავში აღარ მოგვდის.

ვინ იფიქრებს, რომ ჩვენთ სიტყვა დღეს და
ფრანციული *aujourd'hui* წარმოსდგება ერთი
ლათინური *huius d^eies* (დღეს) და ნაცვალ
სახელისაგან *his* (ლის). ვინ იტყვის თუ სიტყვა *иже*
(იშია) — სახელი, *такъ* (ზნაკ — ნიშანი) და ქართუ-
ლი სიტყვები გნება და ცნობა ერთი სანსკრი-
ტული ძირიდგან არის წარმომდგარი.

განვიხილოთ ფილოლოლიურათ ეს უკანასკნე-
ლი სიტყვები. რუსულს სიტყვაში ხმა *и*(ია) ძველათ
წარმოითქმოდა *ен* (ენ), ასე რომ ახლანდელ *иже*
(იშიას) მაგიერათ *имень* (იმენ) ითქმოდა. ეს სიტ-
ყვა და ლათინური *nomen* (ნომენ) ერთი ძირის
არის, ნემენცურათ *naimen* (ნახმენ). სანსკრიტუ-

ლათ naman(ნამან) — ყველა ეს სიტყვები წარმოსდგა
ძირი სიტყვისაგან cognomen (კოგნომენ). ამ სიტყვის
ძირი კი არის gna (გნა), რომელიც ნიშნავს ცოდნას,
რუსულათ პატა (ლათინური ასო g: (გ) რუსულ: ზ(გ)იცველება) და ჩვენებურათ გნება. მაშადამე ეს
gna (გნა) არის ძირი რუსული სიტყვების უმა (იმია),
პატა (ზნათ), ჭართული სიტყვების: გნება, ცნა,
ცნობა და ლათინურის cognomen (კოგნომენ).
აქ საჭიროთ ვრაცხავ რამდენიმე ერთნაირი ძი-
რები კიდევ მოვიყვანო ჩვენი ენისა და სხვა ინდო-
ევროპულთა ერთა სიტყვებისა. დავიწყოთ თუნდ
სიტყვისგან ერთი. ამისბოლოვანი ერთი ერთ იხმარება,
როგორც ხალხი, ის ხალხი, რომლისგანაც წარ-
მომდგარან ევროპიელები და ინდოელები თა-
ვიანთ თავს ეძახიან არიებს, როგორც ჩვენ ქარ-
თველებს ყველას ვუწოდებთ ერს. ხოლო ეს
სიტყვა აღნიშნავს სანსკრიტულათ — კეთილშო-
ბილს; ქართული სიტყვა ათი, სანსკრიტულათ dasati (დასათი) ანუ sati (სათი) უფრო ცხადათ
ჩნდება ბერძნულს სიტყვაში eikati (ერკათი, ესე იგ)

ორი ათია. საკუთრათ ათი, სომხურათ *տաս* (ტას), ბერძნულათ *dis* (დიზ), ლათინურათ *decem* (დეცემ), სულ ერთი ძირიდგან არიან წარმოებულნი *). ქართულათ *ქალი*, ზენდურ ენაზე *qanha* (კანჰა); ასო «კ» იცვლება — «ქ» და «ნ» იცვლება — «ლ», ასე რომ ზენდური *qanha* (კანა) და ქართული *ქალი*, ანუ *ქალი* ერთი ძირისგან არის წარმოებული. ან გლიურათ *dauhter* (დაუხტერ), სანსკიტულათ *duhitai* (დუხტიარ), სომხურათ *դուպար* (დუსტარ), ქართულათ *ლაქა*, ჩეხურათ — *dcvi* (დსი, ცი) და გურულათ *ციცა* ერთი ძირისგან არის წარმოებული. ანგლ. *tear* (ტეარ) — ფრანკულათ *larme* (ლარმ). ამორივე სიტყვის ძირი იპოება ქართულს ძველ სიტყვაში ტრამალი — რომელიც ნიშნავს ოხვრას, ტირილს, ოხრათ დარჩენილს ქონებას. ტრამალიდგან გადაკეთდა — ცრემლი; მაშასადამე ამ სიტყვაშია ძირი. ან გლიურის სიტყვისა — ტეარ (ტირილი) და ფრანკულის სიტყვისა — ლარმ.

*.) იხილე *Лекции по науке о языке. Макс Мюллеръ. З 2 გვერდი.*

(იგივე ცრემლი, ტირილი). ფრანციული სიტყვა *aujourd'hui* (აფურდჰუი – დღეს). საკუთრათ ნიშავს დღევანდელს დღეს, ან ამდღეს.—ეს ფრანციული სიტყვა განიყოფება ორ სიტყვათ აუjour (აფურ) და *d'* hui (დ' ჰუი). *Jour* წარმოსდგა ლათინური სიტყვიდგან *diurnus* (დიურნუს), რომელიც იტალიურათ ითქმის ჯურნუს და ფრანციულათ ფურნუს; ამ სიტყვას კი ბოლო მოკვეცია და გამხდარა ფურ. ხოლო – სიტყვა დ' ჰუი წარმოსდგა ლათინურის სიტყვიდგან *haec dies* (პეტ დიეს) — ეს დღე. შეცემითი ბრუნვა იქნება *hunc diei* (ჰუიკ დიეი), რომელსაც ლათინუბი ხმარობდნენ *hodie* (ლოდიე, ანუ ჰოდიე), ხოლო ლოდიე და ჩერნებური — დღე — ერთი და იგივე ძირია; მაშასადამე ფრანციული სიტყვა *aujourd'hui* (დღეს), ლათინური *hodie* (დღეს) და ქართული «დღეს» სულ ერთი ძირისგან არიან. შესანიშნავია, რომ სომხური ასო *հ* (Յ), რომელიც უდრის ჩერნს ჲ ბერ ძნულს ენაზე იცვლება ყ (Յ) და ჩერნებურს ენაზე ფ; ასე რომ სომხურად *հետ* (het — ჰეტ).

ბერძნულათ pes (პეს), ლათინურათ pedis (პედის) ქართულად — ფეხი ერთი ძირისგან არის წარმომდგარი. ქართულათ ხუთი, მევრულათ — ხუნთი, სომხურათ հինգ (ჰინგ), ბერძნულათ pentē (პენტე), ოუსულათ ვაქტა (ვარატა) ერთი ძირიდგან არის. სომხურათ հուრ (ჰურ), ბერძნულათ περί (პირი), ქართულათ ხურს, ხურება, აღმნიშვნელი ცხელის ნივთისა, ანუ ცეცხლისა ერთი ძირიდგან არიან. ამ მაგალითებიდგანაც ცხადათ დაერწმუნდებით, თუ ფონეტური ანუ ხმისწალებითი დაცემა ენაში რამდენათ სცელის სიტყვებს.

როდესაც ზემოხსენებულნაი რათ დაშალეს სიტყვები, აღმოჩნდა, რომ ეკროპის სხვა და სხვა ენებს ინდოელებს, სპარსელებს, სომხებს და ამათ ჩვენ ქართველებსაც მიუმატებთ, გამოუჩნდათ ენაში მრავალი სიტყვები, რომელთაც ძირი ერთი და იგივე აქვთ; ამასგარდა როდესაც განიხილებს ამათი გრამატიკა და შეიტყეს რომ ლექსის ცილილებას და ლექსთა თხუზვას სულ ერთნაირი კანონები აქვს: როგორც გრამატიკული დაბოლოვება, ისე ზმნის ბრუნვა ერთნაირათ წარმოებს. აქედგან მიხვდენ, რომ ამ ერებს ოდესზე ერთად უცხოვრიათ, ერთი მონაცესავე ხალ-

ხი, ერთი ტომის ერი ყოფილა და მერე როცა
გამრავლებულან, წასულ-წამოსულან, სხვა და სხვა
ქვეყნებში დამყუდრებულან, სულ სხვა და სხვა
გარემოებას ქვეშ ყოფილან რამდენიმე ათასი
წელი და იმდენათ გადასხვაჟერებულან, რომ
ეკებიც სულ სხვანაირები შექნილან და ერთი
ტომის ერისგან მრავალი სხვა და სხვა ტომის
ერები სხვა და სხვა ენებით ფაკეთებულან.

მეცნიერებს ჸედმიწევნით გამოუკვლევიათ,
რომ სულ ქველის ქველათ, მაგალითად ათი ათა-
სი წლის წინათ ეს ერი ცხოვრებულა კასპიის
ზღვის აღმოსავლეთით. საშუალო აზიაში არის
ერთი მაღალი მთიანი ქვეყანა, სადაც გინდუ-
კუს მთებია აყუდებული და ჸემოხსენებული
ერი იქ ცხოვრებულა. ისინი თავის თავს ეძახ-
დენ «არიებს» ჩვენც ეგრე დაუქახოთ ამ ჩვენს წი-
ნაპრებს. მერე როდესაც ისინი ფამრავლებულან,
ერთი ნაწილი არიებისა გადასულა ინდოეთში
და იქ ინდოელებათ ფაშხდარან.

მეორე ნაწილი ამ ერისა ფაზმოსულა ჩვენს
კუნ, გამოუდიდებული კასპიის ზღვის სამხრეთით და

რუბანდის კარი და დამკვიდრებულან კავკასიაში, ბოლოს აქაც რომ ვეღარ დატეულან; წასულან აქედგან და დაუსახლებიათ მთელი ეპროპა და სარმატის თვალ-გადაუწვდენელი მინდვრები, რომელსაც ახლა სამხრეთის და დასავლეთის რუსეთს ვეძახით.

ფლექსიურს ენებს შეადგენენ არის გვარის ანუ ინდო-ევროპიელი ენები და სიმის ტომის ენები. ამ ენების სიტყვებში განიჩევან არი ელემენტის შემასმენელობითი ძირი და ნაცვალსახელობითი ესე იგი სიტყვის ძირი, რომელიც აღნიშნავს ან სახელს რაიმე არსებობისას, ან იმის თვისებას; ან მოქმედებას?.. ამას ჰქვია სიტყვაში შემასმენელობითი ელემენტი. ნაცვალ სახელობითი ძირი პიროვანს ნაცვალსახელებს აკეთებს.

სიმის ტომის ენებს ეკუთვნიან: ებრაული, არაბული და სხვ. ამ ტომის მონათესავე ენები გრამატიკული წყობით ძალიან განიჩევიან ინდო-ევროპულ გვარის ენებთან. ინდო-ევროპული ენები იმათზე ბევრათ უფ-

რო შეცვლილნი არიან ფონეტურათ ანუ ხმის. წვალებით. მაგრამ ამასთანავე ეს ენები ბევრათ უფრო მდიდრები და განათლებული ენები არიან.

ამ ტომის ენები განიყოფებიან რამდენმე ნათესაობათ

1. ინდოეთის ენების ნათესაობა. ამათში პირველი აღაგი უჭირავს სანსკრიტულს ენას. იმაზე ლაპარაკობდენ ინდოელების წინაპარნი და ეს ენა პირვანდელს არის ენაზე ბევრათ უფრო დახლოვებულა, ვინამც სხვა ენები. სიტყვა სანსკრიტი ნიშავა წმინდას – ანუ კურთხეულს, ამიტომ რომ ამ ენაზე ძველი ინდოეთლების სარწმუნოება არის აღწერილი და გამოხატული. ფილოლოგისთვის ეს ენა მეტად ძირფასია, ამიტომ რომ ამ ენაში შენახულა ის გრამატიკულნი ცვლილებანი, რომელნიც სხვა იმაზე უფრო ახალს ენებში ჰაკარგულან. ამ ენაზე თუმცა ახლანდელი ინდოელები აღარ ლაპარაკობენ, მაგრამ არც ერთი განათლებული ინდოელი არ მოიძებნება, რომ ეს მწიგნობრული ენა არ იცოდეს. ამ ემათ ეკროვე-

ლი ფილოლოგებიც მიჰყვენ იმის შესწავლას, რადგან იმის უცოდნელათ საფუძვლიანი საენო სწავლა არ მოხერხდება.

2. პერანის ნათესაობა. ამ ენებში პირველი ადგილი უჭირავს ზენდის ენას, ანუ ძელს სპარსეთის ენას, ოომელზედაც ზოროასტრის სარწმუნოება არის დაწერილი. ახლა ეს ენაც მკვდარია: ამ ნათესაობას ეკუთვნის ფეხლიური ანუ ფარსის ენა, ოსური, სომხური და ქართული.

3. ელლინის ნათესაობა. ძველი ბერძნული ენა.

4. ოომანის ნათესაობა. ლათინური, ოტალიური, ფრანციული, ისპანიური და სხვ.

5. კელტის ნათესაობა.—გალლური, კიმბრის ენა და სხვ.

გერმანიის ან ტევტონის ნათესაობა:—ნემეცური, ანგლიური, შვედური და სხვა.

სლოვენური ნათესაობა. რუსული, პოლშური, ჩეხური და სხვ.

II

ქართული ანბანის ისტორია.

საქართველოს მატანე აშბობს, რომ ჩვენი
შედრული ქართული ანბანი ფარნაოზ შეფერ
შემოიღო მესამე საუკუნეში ქრისტემდის. ჩვენ
აქ არ შევალთ იმის განხილვაში, ახლახდელი
შედრული ასოები შემოიღო ფარნაოზმა, თუ
ისინი სულ სხვა ასოები იყვნენ*). ეს კი ვიცით, რომ
ქართველებს სულ ძველიდგანვე ჰქონიათ აზრის
გამომხატველი ნიშნები, მაგრამ ეს ნიშნები არ
აკმაყოფილებდა სრულიათ ქართულ სიტვიერე-
ბას და ამისგამო მეოთხე საუკუნეში სომხის
მეცნიერმა მესრობმა ქართველის მეცნიერის ჯა-
ყელის შემწეობით შეავსო ჩვენი ანბანი ჩმ ხმე-
ბის ნიშნებით, რომელნიც ძველ ასოებს აკლ-
და. ამის შემდეგ ქართული ანბანი შეიქნა ძა-
ლიან ვრცელი და თითქმის ყოველი ხმის გა-
მომხატველი, არამც თუ მარტო ჩვენი ენისა,
სხვა ენებისაც.

*) ამისი განსილენა შეცნიერებულით და უფრო და-
წერილებით იქნება ღდესმე შეგვემთხვეს.

ქართული ასოები განიყოფება ხუთნაირ ხმე-
ბათ: ხმოვანათ, ორხმოვანათ, გვერდ-ხმო-
ვანათ უხმოთ და საოხრავათ.

ქართული ენას ხმები

ხმოვანი ასოები. ყოველს სიტყვას აქვს
შინაარსი და სახე, სმენა და გამოძახება. სიტ-
ყვის შინაარსი გამოხატავს ანუ შეგვასმენს რას-
მე არსებას ანუ საწვავს (pontificis). გამოძახება
არის შემდგარი ხმების კრებისგან, რომელ-
ნიც არიან ხმოვანნი და უხმონნ. მაგალითად:
სიტყვა კაცი—შეგვასმენს ისეთს არსებას, რო-
მელსაც ორი ხელი აქვს, ზეზე დაღის და სიტ-
ყვის ნიჭი აქვს. ამას ვეძახით—ს მენას; და ეს
სმენა გამოიხატება ორი ხმოვანი ასოთი. ა, ი
და ორი უხმო ასოთი კ, ც. ამ ხმების კრებას
ვეძახით «გ ა მ რ ძ ა ხ ე ბ ა ს». ხმები იბადებიან
ზოგი ყელში, ზოგი ხახაში, ზოგი კბილებისა
და ენას შუა, ზოგი ტუჩებში.

ჩვენ ენაშია სამი ძალიან გარკვეული ხმოვანი
ასო: იბადება ყელის მახლობლათ! ა—ხახაში და

უ—ტუჩებში რომელი ენებიც აღნე შესულან
წარმატებაში და მერე შეჩერებულან, იმათ ამ სამი
ხმოვანი ასოს მეტი არა აქვთ; მაგალ, არაბულს
ენას. მაგრამ რომელნიც თავიდგან შეცვლილან
და აქამომდე წარმატებით უკლიათ, იმ ენებში
სხვა ხმოვანებიც გაჩენილან, მაგალ. ა და ი—შუა
გაჩენილა ე, ა და უ-შუა—ო, ამის დამამტკიცე-
ბელს საბუთებს ვაოებთ ფრანცუზულს მართლ-
წერაში. იქ ა (ა) და ი (ი) ერთად ai წარმო-
ითქმის, როგორც e (ე). ა (ა) და u (უ) ერთად
au (აუ) წარმოითქმის o (ო). ამის გამო ეს ასო-
ები ყველა ენებში აღვილათ იხმარებიან ერთმა-
ნეთის მაგრერათ.

მაგალ. მაიტანე—მოიტანე, წავიდეთ—წევი-
დეთ—იმერეთ. მამა—მეგრულათ — მუმა და სხვ.
ჩეენს ენაში უწინ ხმარობდენ უა, უც, ჰ. ამ
ასოებს და იმის ხმებს ეძახდენ ორ ხმოვან ათ.
ახლა აღარ ხმარობენ და დაფიტუებულია. მაგ-
რამ ქართული ეტიმოლოგიური პიებისთვის
ეს ასოები ძვირფასი ნიერები არიან და არა-
სოდეს არ შეგვიძლიან დავივიწყოთ, რადგან უამ-

ასოცია ფილოლოგიურათ ქართულ ენის შესახებ
წავლა ძნელია.

მაგალითად ქართ.—«ქვა», მეგრულათ «ქუა», უ-
წინ სწერდენ «ქუა». ეჭვი არ არის, რომ ძევლით ჩეენ-
ჲა წარმოსთქვამდენ ამ სიტყვას «ქუა», როგორ
ახლა მეგრელები ამბობენ და არა «ქვა». ეს ვა,
ეტიმოლოგიური ფართულება გვიჩერებს, რომ «უ»
იცვლება «ვ» და «ვ» იცვლება «მ». მაგ. ძევლებურათ,
წერება ახლა «წერვათ» ისმის. პირველი პირთ ამ
ზრდისა იქნებოდა უწერაუ, რომელიც გადა-
კეთდა ამ ქამათ «ვწერავ», ანუ ვწერამ. შაშა-
ლამე «უ» იცვლება «მ» და რაკი ეს გამოვიკვლი-
ეთ, მაშინ ამაზედაც დავრწმუნდებით, რომ რუ-
სული სიტყვა რამე (კამენ) — სანსკრიტული
kman (კმან) — და ქართული ქუა — ქვა ერთი ძი-
რისაგან არის წარშომდგარი და ეს ძირი ან «ქუ»,
ან «კმ». უნდა იყოს, არ, რა დიდი მნიშვნელობა
აქვს ჩეენს უ და სხვა ორხმოვან ასოებს. ეტი-
მოლოდიური ძიებისთვის, ორხმოვანის ასო-
ების საფუძველი არის «უა». როდესაც ეს ასო სიტ-
ყვაში იცვლება «ე» და «ი», მაშინ იწერებიან ზე-

მოხსენებული ორხმოვანები. მაგალითად: ქუა, ქუცი, ქუცი, ქუცი და სხვ. *)

*) 1859 და 1860 წ. ჩვენს ლიტერატურაში აღიძნა ბრძოლა ამ ორხმოვან სმებზე. გაკეთდა ორი ჰარტია ძველ მართლწერის მიმეოლთა და ასალს გაზღვდობას შეა. ძველი მართლწერის დამცველი ამბობდენ, რომ ორხმოვანი სმები უნდა ვიხმაროთ, რადგან ჩვენ მამა-პაპებს ძველ მწერლობაში უხმარით. ასლის შემომღები ამბობდენ, რომ უიმათოთაც რომ კარგათ იწერება, რათ შევიწყინოთ თავიო. რამ-დენათაც უფრო გამარტივებულია, მართლწერა, იმდენათ უფრო კარისათ. მაშინ საქმე ამით გათავდა. შემდეგ, როდესაც უფრნალი «საქართველოს მოამბე» გამოვიდა 1863 წელს, უფ. დავით უითოიანმა და სწრა-ერთი სტატია: ქართული გრამატიკის მასალები», სადაც განიმუშავდა თგივე საბუთები, რაც მოწევავდათ ახალმწერლებს: რათ გვინდა ორხმოვანი ასლები, რადგან უიმათოთაც კარგათ იწერება ქართულს ესაზე. ამ ჩვენი სტატიიდან მკითხველი ცხადათ შეიტყობის, რომ არც ერთს ნამდვილი საბუთი არაჭერნათ ხელში, არც ერთს არ სცოდნია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს ქაში რომელიას ასევებს და რისმაქნისნი არიან. მართლწერამა ადარ არიან საჭირო, მაგრამ ეტიმოლოგიური მნიშვნელობა უღიერეთვის დადი ეჭხებათ.

გვერდების მოკლე ხმოვანი, როგორც რუსული შ. მომეტებული ნაწილი ქართული სიტყვებისა შეეღათ თავდებოდა ამ ასოთი «ე». მაგრამ დროსა და დროს განმავალობაში ეს ასო შემოკლდა, გაკეთდა მოკლეთ, მაგალითად: კუდ, ხბოდ, ქალად და სხვ. შემდეგ ეს მოკლე ასოც ისე დამოკლდა, რომ აღარ ისმის და წერაშიაც აღარ უსმენ, ასე რომ ხბოდს მაგიერათ ამბობენ ხბოს, კუდს მაგიერათ «კუს» და სხვ.

ამის შემდეგ ძალიან ადვილი ასახსნელია ერთგვარი ფონეტური, ან ხმის წვალებითი წარმოება ჩვენს ენასა და სხვა ინდო-ევროპიულს ენებს შუა, მაგალითად რუსულსა და სომხურს ენას შუა, საცა დაბოლოვება თან და თან შემოკლებულა და ბოლოს სულაც გამჭრალა. იმის მაჩვენებელი ახლა რუსულში მხოლოდ ეს ასოები არის: ზ, ჩ, რომელნიც სრულებით არ გამოითქმიან თავის თავათ: ჯъдати (ჯდატი) — (церк. славян.) ожидать(ожидат), будити(ბუდიტი) — будить(ბუდით), творити (ტვორიტი) — творитъ (ტვორით) და სხვ.

სომხურს ენაში და მაჩვენებელი დარჩენილა ასო ლ
გვერდხმიანი. *) მაგალითად: **ძერიტოს მხას ხყელ** (წ 26-
ლრუთიუნიცა), ჩვენს ენაში ეს ასო ახლაც საჭიროა
წერაში, +რადგან ბევრი ისეთი სიტყვები შემოდის,
რომელშიაც იპოება ეს მოკლე ხმა: მაგალითად:
«ნიუიორკ», რომელიც უნდა იწერებოდეს «ნეუ-
ფორკი» და სხვ. ასო. ვ, ანუ შემოკლებული კ.
ცალკე ხმათ არასოდეს არ დაისმოდა უწინ. ის და-
სდევდა იმ სიტყვებს, სადაც უ (უბრჯგუ) იყო
ხმარებული და იხმარებოდა, როგორც ფრან-
კიული e (მოკლე კ.)

ცალხმა ასო ები ხმოვან ასოებს მის-
დევს ცალხმა ასოები, რომელზეც ისე ცხადათ
გამოიტქმიან თავის თავათ; რომ თითქოს ხმო-
ვანათ ხდებიან ესენი არიან: ნ, ლ, რ, ქართულს
ენაში ბევრი ისეთი სიტყვებია, სადაც საჭირო იყო
თეხი უხმო ასო რყრის თავს და ამისთანა სი-

*) სომხური მაგალითებისთვის გამოვაწჩენ აგუ-
ლისის ანუ ქურთელების ენა, რადგან ამ სომხურის
დალუქტები ეს ასო ლ (o) ისე შემოკლებულა,
რომ აღარ ისის გამოხქმია.

ტუვებში უკუკელათ ცალხმა ასოც უწევება და
ისინი ასრულებენ ჩმოვან სისხს და მაგიერობას.
იმათა შემწეობით სიტყვას ცხადი გამოთქმია აქება.
მაგალითად: ბრწყინვალება, ბრმა, დროვინვა
დოკუ აქ ასო «რ» რომ არა აუს, ამდენი აუსმო
ასოების გამოთქმა შეუძლებელი იქნება, ასე
რომ ცალხმა ასო «რ» რომ არა აუს ხმოვანათ ჭრუბა.
— ასო «რ» სომხურს და სანკცირატულს ენაში მარ,
თლაც და ხმოვან ასოთ რომიცება «ბრმა» აქედა
გან წარმოსდგა სიტყვა «ბოროტი». პირველ სიტ-
ყვაში ისეთი აწეულია ჩრდა ამით ასოთი «რ»,
როგორც მუორე სიტყვაში ხმოვანი ასოთი «ო».
— ცალხმა ასოებს ისეთი დაახლოებული კაფ-
შირი აქეთ ტრთმანტოში; რომელთვითმეორს
მაგივრობას შერებიან სიტყვებში და ხმის წრა-
ლებისკან ისამებრ ურთის მეონეზე იცვლე-
ბა. მაგალითად «წელის» მაგივრათ ამბობენ «წენი»
— აერუნუ — აერული; თმია — თნდა და ასწვ.
ლული — რული; წვლილი — წვრილი და სხვ. ასე
როდეს სტრუ ლრა ხმოვანი ასო ცხვება ცერომი-
ნებს, მაშინ ასო «რ» ან «ს» ჩაერთვის იმათ შო-

რის და სიტყვა უფრო ტკბილი გასაგონი გამოდის. ვაწერიებ—ვაწერინებ; ვაწერიებიებ—«ვაწერინებინებ»; «არაოდეს» მაგიერათ/ამბობენ «არასოდეს» და სხვ.

შიშინა ასოები: ჟ, ჩ, შ, ჯ, ჭ. ამ ხახის ხმებს გამოთქმაში კბილებიც ეხმარება. ამისთვის ამ ასოებს და კბილის ასოებს თვისჯბა აქვთ. როდესაც ყმაწვილი პირველათ აიღგამს ენას, ის ამ ხმების მაგიერათ ხმარობს კბილის ხმებს.

«ჟ» მაგიერათ «ზ», «ჩ»—«ც», «შ»—«ს», ჯ-ძ. მაგალითად: ვაჟი—ვაზი. ფაჩიჩები—ფაციცები, შენ—სენ. ჯოჯო—ძოძო. შემდეგ ეს კბილის ასოები თან და თან ხახის ასოებათ ხდებიან.

შენიშვნა. ლათინური ხმა გ, რომელიც უდრის ჩვენებურს «გ», იტალიურათ წარმოითქმის, როგორც «ჯ». ქართულშიც არის ისეთი სიტყვები, სადაც «გ». გადაკეთებულა ჯ.. მაგალითად გიორგაძე—ჯორჯაძე. დავორგილი—დაჯორჯილი.

სასულე ხმები: ჰ, ღა. ჭ: «ჰ» ხშირათ «ღ» და «ხ», მაგიერათ არის. უცხო ენის ხმა ჩ «ხ» ჩვენს ენაზე ყოველთვის სასულეს ხმათ ჰხდება; მეორე პირი ყოველ ზმნისა უნდა იწყებოდეს ასოთი «ღ» ან «ხ»; მაგრამ «ხ» მაგიერ ისმის ჰ. მაგალითა «ღწერ» ანუ «ხწერ» (იმერეთის დაბალს ხალხში იხმარება). ლიტერატურაში ამის მაგიერათ ანბობენ «ჰწერ» და სხვ.

ბაგური უხმო ასოები. ასო «მ» თუმცა ცალხმა არის, ამასთანავე ბაგური ასოც არის, ესე იგი იბადება ბაგუთა ანუ ტუჩების შემწეობით. ასონი: ბ, ვ, ჰ, ფ აგრეთვე ბაგურნი არიან. ეს ასოები, როგორც ერთსა და იმავე ალაგას დაბადებულნი, არიან მონათესავე ხმანი და ერთი მეორის მაგიერათ გამოითქმიან სხვა და სხვა სიტყებში, მაგალ: მრავალი, ბრეული (იმერულია), რუსულათ ვასილ — ქართულათ-ბასილა; ვცდილობ, ვსწავლო «ბ» ისმიან, როგორც ვცდილო «ფ». ვსწავლო «ფ» — ბერძნულა ხes(პეს)-ქართულათ ფეხი და სხვ. ლიტერატ. ვკრეფა «ვ» — მდაბიურათ ვკრეფა «მ». ხმოვანი ასო უ, რომელიც არის

ଶାଘୁରି ନେତ୍ରଲ୍ୟୁଦା କେ ହୋ—ହୁଏ ବର୍ଣ୍ଣାବଳୀ—ବର୍ଣ୍ଣାବଳୀ.

თვისება ბაგურსა და ცალხმა ასოებს შეს,
როგორც სხვა ინდო ევროპულს ენებში, ისე
ჩვენს ენაშია.

მაგალითად: ფრანციულათ general (ქენერალ), generalissimus (ქენერალუ, ან ქუნერალ); ლათინურულათ ამ-
la (მაღა—ფრანციულათ გადაკეთდა manus (მაუ, ან
მო). ჭართულათ მსმელი—სვავი; მკვლელი—მო-
მაკლავი, მცველი—მცვავი-და სხვ.

კბილხახისა, კბილენისა და კბილური უხმო ასოები.

კულტურული მადა კულტობრივი ენაში იცვლება ა. მაგალით ყორანი — თოახ (კურაქს) და უძველესი უკიდენ ის ის მეტ ძველი და უძველესი და უძველესი მანქონის — მაგიურობას შეცემისან სისტუმებში და უცხოუნებში.

კბილურიას ასოების ს, ჭ, ც, წ, ძ. ეს
ასოებიც ერთმანეთის მაგიურობას შვრებიან, გარ-
და ამისა ასო «ც» და «წ» ხშირათ «ტ» მაგიე-
რათ იხმარება. მაგალითად სწავლა — სტავლა
(იმერეთში). ბრუტიანი — ბრუციანი და სხვ.

აი, ეტრატი, რომელიც გვიჩვენებს ზემოხსენებულ უხშო ასოების გადასცვლას ერთმანეთში.

ଶାନ୍ତିକାଳ	ପ୍ରମାଣିତ କାର୍ଯ୍ୟ	ବିଷୟ	ବିଷୟକାରୀ
ଶମ୍ଭୁବାହି	ଶମ୍ଭୁବାହି	ଶମ୍ଭୁବାହି	ଶମ୍ଭୁବାହି
ଶମ୍ଭୁବାହି	ଶମ୍ଭୁବାହି	ଶମ୍ଭୁବାହି	ଶମ୍ଭୁବାହି
ଶମ୍ଭୁବାହି	ଶମ୍ଭୁବାହି	ଶମ୍ଭୁବାହି	ଶମ୍ଭୁବାହି
ଶମ୍ଭୁବାହି	ଶମ୍ଭୁବାହି	ଶମ୍ଭୁବାହି	ଶମ୍ଭୁବାହି

ეს სამი უმთავრესი გუარი უხმო ასოებისა
განკულტებიან შეკვაწეთ და ნაზათ. თავიდან
იწყებიან მკვაწენი და რაც უფრო დაბლა მწკარში

ზის ხმა იმდენათ უფრო ნაზია, უკანასკნელი
ხმები ყველა ნაზები არიან.

აქ ერთგვარი მონათესავე ხმები ხაზებსა და
ხაზებშვა არიან შეერთებულნი.

ფილოლოგიური დწესებანი.

1. ერთგვარი ხმები ერთმანეთის მაგიერობას
შეტევიან.

2. სხვა და სხვა გვარის ხმები ერთმანეთის მა-
გიერობას ვერ იქმენ.

3 შიშინა და კბილის ხმები ერთმანეთზე
იცვლებიან: ჭ იცვლება წ. ჭიაკოკონა (ქარ-
თლში) — წიაკოკონა (იმერეთში), ვწერ ჭართუ-
ლათ — ვჭარ (მეგრულათ). ბრწყინავს იმერულათ,
ბრჭყინავს (ქართულულათ) და სხვ.

4. ც და წ იცვლება ტ, ლათინურის მგზავ-
სათ. ბრუციანი—ბრუტიანი, სწავლა (ქართულათ)
—სტავლა (იმერულათ) და სხვა.

5. ხახის ხმები: ღ, ხ, ჭ იცვლებიან სასულე
ხმათ ჭ.

6. ლ, ხ და ჰ უდრის ევროპულ ენის h (ხ) (სიტყვისძირების საძიებლათ).
7. ც უდრის ევროპულს ენის ch (სხვ ანუ ჭ)
8. ჯ უდრის ლათინურს ენაში di (დი), იტალიურს g (ჯ), ფრანგიულს j (ჟ).
9. ძ უდრის ევროპულს z (დზ) და s (ს) უდრის.

ხმების შეერთება სიტყვების საკეთებლათ.

ყველაზე უფრო ადვილათ შეერთდება სხვა და სხვა გვარის უხმო ასოებთან ხმოვანი და ცალხმა ასოები. ერთგვარის ასოები ერთმანეთთან ძნელად შეერთდებიან, იმისგამო რომ რამდენათაც დაახლოვებულია პირის ნაწილები ერთმანეთზე, იმდენათ უფრო ძნელია იმათი ერთად შენძრევა. სასულეს და ხახის ნაწილების ერთად შენძრევა ძალიან გაჭირებულია, მაგრამ ხახისა და ენის წვერის ერთად შენძრევა კი ძალიან ადვილია. მაგალითად: «ლ ხა ამ ორი ასოს გამოთქმა ერთად საძნელოა, მაგრამ «ლრ» ან «ხნ» ერთად გამოთქმა კი ძალიან ადვილია. აი, ამ ფიზიოლოგიურის კანონის ძალით სხვა და სხვა გვარი ასოები შეერთდებიან ხოლმე ერთად და

ერთგვარნი კი სულ არა. ან თუ შეერთდება
ძვირათ და მაშინც ერთი იმათვანი იქარგება.
«მბან ებელის» მაგივრათ ისმის «ბან ებელი».

ჯმასტყარდა როდესაც ერთად დასმულს მარცვ-
ლებში ორი სტყა გვარის ხმოვანი ასლებრია დასმუ-
ლი, მაშინ პირველი ხმოვანი ასე შესცვლის მეო-
რეს თავისებურ ხმოვანათ. მაგალითად იტყვიან,
«ჩერად»; მაგრამ ამ სიტყვას წინ რომ «უ-დაუ-
სყათ, მაშინ «უჩემდო» კი აღარ ითქმის, ა—შეი-
ცვლება ამ და ითქმება უჩემოდ ასეთ «ო»
უფრო ნათესავია ასეთან «უ» ფინგრი ასო
«ა». ამგვარათე ითქმება «უწყალად» მაგრერათ
«უწყალად» და სხვ.

ამისთანა ურთი ხმოვანი პსოს ჰელმოშვილ-
ბას, მეორეზელ ვეძახით ეს მაგ ზაფრან ბას.
დაუდონ აულიანი და დაუდონ ფარებ ფარებ
და დაუდონ ფარებ და დაუდონ მარე და დადებ

ხსნულებ დაფი და სტების წარმოება.

ბუნების მოყვალენათა მეცნიერება, ანუ უკეთ
ვთქვათ ფიზიკა გვასწავლის, რომ ყოველი ხმა
იბადება სხეულის ნაწილების თართოლვით, ან

დაკვრით. მაგალითად ჩანგურის ძაფის ანუ სიმს როდესაც ხელს შემოჰკრავ ის დაიწყებს თრთოლვას და ხმა ისმის. ჩანგურის ძაფის მგზავრათ ყოველი სხეული შემოკვრით თრთის, ესე აგა იმის ნაწილები დაიწყებენ ჩქარა ნძრევას და მაშინ ხმა გვესმის ქვა, ხე, რკინა, მინა, ცხოველის ტაში და სხვ. ყველანი ხმას გამოსცემენ, როდესაც იმათ შემოჰკრავ ასამე. ჩმასთანავე მეცნიერებას ესეც გამოუკვლევია, რომ ცარიელს ალავში, ესე იგი სატა ჰაერი ან იმყოფება, იქ რაც უნდა ძალიან შემოჰკრა სხეულს, ხმას არ გაიღებს. მაგრამ როდესაც იმ ცარიელს ალავში ჰაერს შეუშევებ, მაშინ შემოკვრისათანავე ხმაც მოისმის. აქედან ცხადათ სჩანს, რომ ხმა გბადება ჰაერის შემწეობით. როდესაც ნივთს ხელს შემოჰკრავ, იმის ნაწილები თრთოლას დაიწყებენ და ამასთანავე ათრთოლებენ ანუ უკეთ ფთქვათ შეანძრევენ. ჰაერის კამარას ეს დანძრეული ჰაერის კამარა შედის ყურში და შეანძრევს ჩვენს ყურის ნაწილებს და მაშინ ხმასაც უგრძნლობთ. ამ გამოკვლევის შემდეგ ცა-

ცის ხმის დაბადებაც აღვილი ასახსნელია. ფიზიოლოგია გვასწავლის, რომ კაცის სასულეს თავზე, ქნის ძირში მოწყობილია. ერთი პატარა დაფი ანუ ბარაბანი, რომელზედაც, როგორც დაირაზე, თხელი კანებია გადაკრული, მაგრამ ეს კანები შუაზეგაჭრილნიარიან და კანები შეადგენენ თითქმის ჩანგურის ძაფებს ანუ სიმებს. მაშასადამე ამათგან ხმის გამოცემა რომ გვინდოდეს, ისინი უნდა შევანძროთ. ხელით რასაკვირველია ვერ შევანძრევთ, მაგრამ ამისთვის საკმაოა ჰაერი. როცა ამოვისუნთქებთ, ჰაერის კამარა ამოდის ზემოხსენებულს დაფის სიმებსა და სიმებს შეა. თუ ცოტა ჰაერი ამოვისუნთქეთ, მაშინ ის ვერ შევანძრევს. ზემოხსენებულს თხელი კანის სიმებს და ხმა არ ისმის, თუ ძრიელ ამოვისუნთქეთ, მაშინ ერთბაშათ ბევრი ჰაერის ამოდენა მისწიმოსწევს ამ კანების ძაფებს, ისინი დაიწყებენ თრთოლას და ჩვენ ხმა გვესმის. რაკი შევიტეო ხმისწარმოება, ახლა ესეც უნდა ავხსნათ, თუ რისგან წარმოსდგება! სხვა და სხვა ზმები, რომელთაგან შესდგება ყოველგვარი სიტყვები?

ერთსა და იმავე ხმას მრავალგვარათ სცვლის თვითონ პირი თავის ნაწილების მრავალგვარი მოძრაობით.

სასულედგან დაწყებული ტუჩებაშის რაც ალაგია, იმას პირს ვეძახით. პირი ისაზღვება უკან ენის კლიტით, ზევით სასით, ქვევით ყბით და წინ ტუჩებით. პირში ძევს ენა და კბილები, რომელნიც არიან უმთავრესნი ორგანონი ხმების წარმოსაშობათ. ენა ხმას სცვლის და კბილები კი ზარსაცით უკრვენ. ამით ყოველი ხმა მკაფიო და ტკბილმოსასმენი ხდება. მაგალითად «რ» გამოსათქმელათ უნდა ავათროთოლოთ ენისწვერი და მოვკრათ სასას; «მ» გამოსათქმელათ ტუჩები უნდა მოვარტყათ ერთმანეთს. ამგვარათვე იბალებიან სხვა ხმებიც. რა პირის ნაწილიც შეინძრება, ხმაც იმის შესაფერი იბალება. არც ერთს ევროპულს ენებს სომხურ ენას გარდა არ შეუძლიან ისე მრავალნაირათ შეანძრიოს პირის ნაწილები სხვა და სხვა უხმო ასოების დასაბადებლათ, როგორც ქართულს ენას. ვერც ერთს ევროპულს ენებში ვერ ვიპოვით საზოგადო ხმებსგარდა იმ ხმებსა, რომელნიც იპოებიან ქართულში. ქართულს ენაში არის ყველა ევროპული ენების მდუნე (უხმო) ხმები და ამასგარდა

უველა სიმური ენების მდუნე ხმებიცა. სასულელ-
გან დაწყებული ტუჩებამდის თ რა ხმები იბა-
დება: ჭ, ჟ, ჰ, ბ, ღ, გ, ჯ, ჸ, ლ, რ, ჺ, წ, ც, კ, წ, ც,
ს, ფ, შ. მ. ალნა პირის ნაწილიც არ დარჩენილა
ყანყრატოზგან მოკიდებული, რომ სასას არ მირ-
ტყმოდეს სულ ერთი მეორის შემდეგ ხმების გა-
მოსახატველათ. მაშასადამე რაც სხვა და სხვა ენე-
ბში ხმებია დაკარგული, ქართულში იპოვება.
ამისთვის ამ ენისთანა დამაკავშირებელი ენა
არის ტომის ხალხებში არც ერთი არ არის.
ქართულსა და სომხურს ენებში უნდა ეძიოს.
ფილოლოგიამ ის სიტყვის ძირები, რომელნიც
საზოგადონი უნდა ყოფილიყვნენ სიმურის ენე-
ბისთვისა და ინდოევროპულს ენებისთვის. გა-
ბედვით შემიძლიან ვთქვა, რომ ქართული ენის
ძიება ფილოლოგიურს შეცნიერებას თხვის გა-
მოსაკვლევ კანონებისთვის ბევრს დამამტკრ-
ცებელს საბუთებს შესძენს, უჩვენებს უფრო
ცოცხალს სურათს თანდათანითი ხმების ცვლი-
ლებისას და დიდს წარმატებას მისცემს შემდეგში
ზემოხსენებულს შეცნიერებას.

ՏԵՐԵԳՈՅԻ ՊԵԿԱԳՅԱՅ ԿԵՂՑՈ ԹՅԱԲԸ ՊԵ-
ՋՈՅԱ ԲՅԱԲԵՋՈՅՈ:

Высшій курсъ русской грамматики... В. СТОЮНИНА.
Изслѣдованіе о діалектахъ армянскою языка.

К. ПАТКАНОВА.

Лекціи по науکѣ о языке . . . МАКСА МЮЛЛЕРА.

ԹԱՅՑՅԵԱԾ ԵԺԱՑՄԱՆՑՅՈՒՑ ԾԱՅՐՅԱՅՆ.

Теорія Дарвина и языкоизпаніе. Писмо Шлейхера
къ д-ру Эри. Генкелю (съ таблицею).

О значеніи языка для естественной исторіи человѣка.
ст. А. ШЛЕЙХЕРА.

Культура первобытнаго индогерманскаго народа. ст. Авг.
ШЛЕЙХЕРА.

Историческая Грамматика русск. языка, I и II Ч.
БУСЛАЕВА.

Grammaire comparée des langues Indo-Euro-
péennes, par Fr. Bopp.—traduite par Michel Breal.

ო მ ა მ ს ნ ხ ი

ნ ი კ ი ლ ი ზ ბ რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს ა *)

ტ ე რ ი რ ე ბ ი მ ღ დ უ დ უ ნ ე ბ ი ,
ჭ ა ლ ე ბ ი ბ უ ჩ ე ნ ა რ ე ბ ე ნ
ს მ ი რ ი ი ლ ა მ ა ზ თ ა კ ი დ ე თ ა .
მ ჩ ე წ ე უ რ ა დ მ დ ი ნ ა რ ი ს ქ ს ნ ი ს ა თ ა .

მ ი მ ე რ ე ს ა ლ ე ბ უ ლ ი მ ი რ ე ა რ ე მ ღ დ უ ნ ი თ ჭ ა ლ ი ს მ წ ნ
ჭ ა ლ ი ს ;
მ დ ი ნ ა რ ი ს პ ი რ ზ ე დ ჭ ა ლ ი ს ი გ ი ბ ე ლ ი თ ა ჩ ა ნ გ უ რ ი ს
მ პ ე რ ი მ ე ლ ი ;
გ ი შ რ ი ს ა თ ა ნ ი ს ა შ ა ლ ი ს ჭ ა ლ ი ნ ი ა ნ ს პ ე ტ ა კ ს ს ა ც მ ე ლ ი ს ა
დ ა დ ა მ ლ ე ბ ი ს ი გ ი ს ა გ ვ დ ე კ ა დ ც ხ ა რ ე თ ა ც ხ ე მ ლ ი თ ა მ დ ე
ნ ე ლ ი ;
« ა ვ - ე ხ ა ნ ღ ა ! ლ დ ე ს დ ა წ ე ს ც რ ს რ ე თ ,
მ რ ა ს ვ ე ს რ ი თ ე ს დ ე ნ ს უ ლ ი !

(*) ე ს ლ ე ქ ს ი , რ ე გ რ ა რ ც გ ვ ა ს ს ლ ვ ს , ა რ ს ა დ ა რ ა
უ რ ვ ი დ ა დ ა ბ ე ჭ დ ი ლ ი .

რა განვით, რომ შეიძურეთ
უბიწოდ სიყვარული!

გულის სწორო ერთიას ცილით
აგრე როგორ შეიცვალე,
რომ ტრივაბა ჩვენი ამ სწორ
მას აგრე მსწავივლ ანაცვალე?

თუ კერ მცნობდი, რად მეტყოდი,
შენი ვარო საუკუნოდ?
სიყმაწვილეს რად მიღსენდი,
თუ მოქალაკდი ასე უდროდ?

რად შემიზუარ მე გლახეგული
უმანკო და უზრუნველი;
რად დამიშენე მე უგავილი,
უმაწვილობის კერ უძღელი?!

ეს ნუგაშ-მცემს, საუკარელო,
რომე არის სხვა სოფელი.
დადეს ჭისწია, რომ ვარ უბრალო,
მოვედ, მოვედ, მუნ მოველი!»

ჭისდუმდა და მეცა კიცანი
შეთევან ჭაროვანი,
შეთევან ნაქები გულით,
ნაქები მშვენიერუბით!

ნეტა რა ქარმან დაზურო მისის სიცოცხლის ევ
გრძი?!?

მეც ამატით მის მხვედრმან, შაგრამ ვერ გაცი წე
გეში

შეთევან შეა ქსანშია მარად შეერთო ლელვილი,
მსოდოდ ისმოდა სახელი ამიღარისა ზვირთებში!



თ ხ ს ე ნ თ

თ ხ ს ე ნ თ ლ ე ქ ს ი თ ა გ ა ნ თ ე მ უ ლ ი ს ა ს ა ლ ს თ პ ლ ე ბ ა დ ა მ ე ნ ა ხ ი რ ი ს ნ ა მ მ თ ბ ი თ ა კ ლ ე მ უ ლ ი ნ ი გ ყ ი ფ ი ა ხ ი ს ა გ ა ნ თ ბ ი ლ ი ს ი 1872 წ ფ ა ს ი ე რ ი თ ი შ ა უ რ ი

— ჰარიქა! კიდევ არსენა! ეხლოა არ იყო დ ღ რ ი მ ე ბ ა შ ი ა წ ა ფ ი კ ი თ ხ ე თ «ა რ ს ე ნ ა ს ა გ ა რ კ ვ ე ვ ა ! მ ე ს ტ ვ ი რ ი ს ლ ე ქ ს ე ბ ს ა რ ბ ე უ რ ა ჩ ი ჩ ი ნ ი უ ნ დ ა , ა ლ ა რ ფ ა ც ი თ რ ა ც ა რ ი ს მ ე ს ტ ვ ი რ უ ლ ი «ა ჭ ი ა ბ ა ჭ ი ა » ? რ ა ს ა ლ ა პ ა რ ა კ ლ ა , ე რ თ ი მ ჩ ი ხ ა რ ი თ , თ ქ ვ ე კ ლ ლ ო - ბ უ ზ ე ბ ო , ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ ო , პ ა ტ რ ი ლ ტ ე ბ ო , თ ქ ვ ე ... თ ქ ვ ე ... ბ ა კ ა კ ი ე ბ ო , გ ო გ ი ტ ე ლ ე ბ ო ! შ ა უ რ ი ა ნ ი წ ი გ ნ ი დ ა უ ბ ე ჭ დ ი ა თ დ ა ა ბ ა ჲ ა ... მ ო პ ყ ვ ე ბ ი ა ნ ე ს ა ს ე რ ა , ი ს ი ს ე რ ; შ ა უ რ ი ა ნ წ ი გ ნ ი ს გ ა მ რ ი « მ ი ლ ი ი ნ ე ბ ზ ე » დ ა ი წ ყ ე ბ ე ნ « ფ ი ლ ლ ი ს ო ფ ი ს ი მ ა ს », — ი ტ ყ ვ ი ს ზ ი გ ი ჩ ე ე ნ ი დ ა რ ბ ა ი ს ე ლ ი , დ ა მ ჯ დ ა რ ი გ ო ნ ე ბ ი ს

მკითხველი და დაცინვით ამოუშვებს ცხვირით ფშვინვას.

— ერთი დახედეთ პირველსავე გვერდზე პირველს სტრიქონს! პირველი ლექსი (სიტყვა) «მაირ» გაშორებულია მეორე ლექსისაგან «სიტყვით» და არ შეუერთებიათ დეფისით. ესეცა, ლექსი «სიტყვით» დაუწერიათ ვინჩით (ე) და არა უნით ბრჯგუთით (უ)! ეს რა წერაა, ეს რა ბეჭდვაა, რა ადამია, რა ჯიუტობაა და გადა რჯულებაა! ცხარეთ ისროლს ამ სიტყვებს გამწარებული უნ ბრჯგუს მოდარავე. —

— ამ სახით რასა იქ, შენ უბრალო მკითხველო, რო ბუზანკალიფით არ გისვენებს ეს უნ ბრჯგუ! დაბზუის, დაბზუის, დღე-ღამე შინა და გარეთ დაბზუის თავის მოძმე კე-ჟეთი, ცეე-ზოეთი და რას არა ლჲაპარაჲკობს. მართალია «ბრჯგუ» (*); მაგრამ ხომ იცით ბრჯგუებს ჩოგჯერ რა ენა აქვთ. ხანტისხან იმათკენაც უნდა მივიხედოთ

(*) ბრჯგუ ნიშნავს გვიან მოქმედს ისილე საბაროებს. ლექსივონი; აგრეთვე ნიშნავს გრანება დახლუნებულს.

და ჩვენც სიტყვა - მიუბრუნოთ - ის ტე-ჭოები, კე-ხები დაბზუვიან, მარტო დაბზუვიან. ათი წე-ლიწადი რომ ერთი რამ ბზუოდეს: უნ ბრჯგუ ვიე, ვიე უნ ბრჯგუ, უნ ბრჯგუ ვიე, ვიე უნ ბრჯგუ:.. წარმოიდგინე, შე უბრალო მკითხუელო, რა სმენაღა შეგრჩება, რა თავმრუ უნდა დაგასხას; რა თავის პატრონი უნდა იყოს, ამ უნ ბრჯგუს ბზუ-ალა კაცი. ყოველივე ბრჯგუობაზე არის დამყა-რებული: კაცის დაფასებაც, ხალხისაც მწერ-ლებისაც და ნიჭისაც. ვისაც უ არა სწამს ის ენის გამრყვნელია, ვისაც ხირომანტია (ხელის-გულზე ხაზების გამოცნობის სწავლა) არა, სწამს, ჟარწმუნოების, ზნეობის გამრყვნელია და უსწავ-ლელია; ვინც კაცის ღირსებას კაცის ნიჭითა და საქმით აფასებს, ცრუპენტელის ეძახიან. რა სასწორი აქვთ კაცის ღირსების ან მწერლობი-სათვის, რა საზომი აქვთ? მხოლოდ უნ ბრჯგუ და ხირომანტია, ამ ხირომანტიის სწავლას თუ რომელიმე წიგნი დაუმატეს, იცოდეთ რომ ძა-ლიან ახლო უნდა იყოს ხირომანტიასთან; და მეტი რო არა იციან რა, რასაკვირველია, ყოველივე

ქრებული

სჭა ამ ეშმაკურ სწავლაზე უნდა იყოს დამყარებული. თუ საკუთრად სალიტერატურო ნაწარმოებზეა ლაპარაკი, მაშინ ხომ აღა-შამადგანის დროინდელ მცენერმეტყველობის თეორიის მოსექტნიან და იმითი ჰილმვენ თხზულებასა. პირველი და უკანასკნელი სალიპარაკო იქნება უნ ბრჯგუ, ესე იგი ასოების და სიტყვების ქექა და აზრების სრულიადი დაუდევნელობაც არ ამიტომაც იმათ ბზუგლს ზოგჯერ ჩვენი წიგანაც უნდა.

ეს დალოცუილები იმას კი არ ჰქოქრობენ, რა უნ ბრჯგუს დროა, როდესაც მთელი ანბანი ხელითგან გვეპარება; რა დროს სიტყვების ქექა, როდესაც წერა კითხვა ისე ჩქარა არა ვრცელდება. ხალხში, როგორც სასურველია და სა-ნატრელი; რა დროს დეფისები და ტრენერია, როდესაც ჟელი მწერლობა ლპება და თავვე ბის კერძათა ხდება? ნათქვამია: მეტისმეტმა სიწმინდემა, ტრაპიზონი (თუ ტრაპეზი) დააჭურია სწორეთ ჩვენი საქმეთ. შემწეობისა და დახმარების ნაცვლად, ბზუიან და ბზუიან ეს კაცები. არც არას თითონ აკეთებენ და სხვას კი უძრავიან და მართვის მიზანი არ არის მართვის მიზანი. არც არას თითონ აკეთებენ და სხვას კი უძრავიან და მართვის მიზანი არ არის მართვის მიზანი.

ჟენ საქმესა? რატო ზევენც არა ბზუითო! აი
ლოლიკა, აი მსჯელობა!

მაგრამ ჩვენ 『არსენას』 დაფშორდით. თუ უნ
ბრჯგუს მოდარაჯენგ პრაფრად ჩაგდებენ არ-
სენას ლექსს ერთი ყიდულობს და კითხულობს და-
დის. აღტაცებითა. ერთი, ეს უწმაწური ხალხი
აღტაცებაშია. ხუთ დღეში ქალაქში ათასი წი-
გნი გაიყიდათ! ამა უწმაწური რომ არ იყოს
აჭი - ბაჭის ასე დაიტაცებდა?! ეს ხალხი რო-
გორც მოგეხსენება დარბაისელს გონება დამჯ-
დარ მკითხველს ურას დასდევს, არც არა ანტონ
კათოლიკოზის რიტორიკას, არც უნ ბრჯგუს,
ოდხოდ კი საგულებელი რამ მოიპოვებოდეს
რამე ნაწერში, ოლონდ იმის მარტივს გულს
და სულპ ემოციებოდეს, იმისი შესათვისებელი
და გასაგონი სიხარული ან მწუხარება და ან იმე-
ლი რამ იყოს, თორემ სხვა წყალს უზიდნია.

რისაგანა სწარმოებს ესრეთი მაღე ჭაყიდვა
არსენას ლექსებისა, რამ უბრალო მესტვირულ
გლეხურ ლექსებისა? რა არის მიზეზი, რომ
მოელის საქართველოში არსენას ლექსები ასე

გავრცელებულია და ყოველგან მღერიან? რა სოფელი იყოს, რომ არსენას ლექსი არ იცოდნენ? მეფე ერეკლეზედაც არის გამოთქმული ლექსები, მაგრამ უფრო ქართლ-კახეთში და მთიულებში. ეს არსენას ლექსი კი მთელს საქართველოში შავის ზღვიდგან მოყოლებული ყველგან მოდებულია.

— ჰაიცინებს დარბაისელი მკითხველი და იტყვის, ერეკლე მეფე და არსენა! გაგიგონით, ამისთანა შედარება! კაცმა როგორ დაყენოს ერთათ სახელ განთქმული საქართველოს მეფე და გავარდნილი ყაჩალი!

ნეტა აგრე მოკლეთ არ იცოდე სიტყვის, მოჭრა, ჩემო დარბაისელო მკითხველო. მერე ვინ ადარებს ერთმანერთსა? ერთი სხვაა და მეორე სხვა.

მაგრამ თავი დავანებოთ დარბაისელ მკითხველს და უილაპარაკოთ მე და შენ, უბრალო მკითხველო ჰირველათ მე და შენ უნდა ვიცოდეთ და ბზუილის მოყვრებმაც უნდა შეიტყონ, რომ რით ვაფასებთ, როგორ ვაფასებთ

ყველაფერს და მათ შორის სიტყვიერების ნაწარ-
მოებსა.—

ყველა მწერლის და თხზულების გასაშინჯაჭი
სასწორ-საზომი ის არის, რამდენათ ჰქატაუს და
გამოსთქვამს მწერალთ ანუ თხზულება რომლი-
სამე დროს და ხალხის ბუნებითს წადილს და
სურვილს, ბუნებითს ლტოლვილებას.

რა არის ყოველის ადამიანის და ყოველის
ხალხის ლტოლვილება, საწარელი? საწადელი ის
არის, რომ ყველანი სიკეთეში ვიყვნეთ. ყველას
გვინდა ჭამა-სმა, ჩაცმა-დახურვა; სიცივე არ
გვაწუხებდეს, სახლი გვინდა თავშესაფარებელი.
გონებასაც აგრეთვე გონებითი ჭამა-სმა, ესე იგი
სწავლა და განათლება უნდა. რაღანაც ეს წა-
ლილი აქვს ადამიანს რასაკვირველია ცდილობს
თავის სიკეთესა. მაგრამ პირველ ჭამში, რაღ-
განაც კაცი მოუხერხებელი და ძალიან სუსტი
რამ იყო, ამ თავის სიკეთეს ისე შოულობდა,
რომ სხვას უშენდიდა. არ იცოდა ისე როგორ
მოახერხოს. საჭმე, რომ თითონაც ირგობს და
სხვებსაც არ დაუშალოს. ამ გარემოებას სწო-

რეთ ადარებენ საცეკვარ-სატან ცაო დარბაზსა. უნც კარ ცეკვაობა იცის, დარბაზში ისათამა შობს და ცეკვაობის უცოდინარი, ძალიან განიერ დარბაზშიაც უნდა ჩამოეცალოს, რადგანაც არ იცის თამაშობა, არ იცის ხერხი, გაოსტავ ტებული არ არის. ან უნდა მოუცადოს და ან უნდა მიუჯდეს მოუნტული ერთ კუთხეში ქალალდა და ითამაშოს და იქნება ბევრიც წა-ეგებინოს. შემდეგში რაკი ცოტათი ისც გაოსტატება, ისიც ისწავლის ცეკვას და შეერევ მოთამაშეთა.

ადამიანის ცხოვრებაც ესე ყოფილა უნც გაოსტატებული და გაქნილი იყო; სიკეთეშიაც ის იყო; სხვანი ჭი რაც ხელს არ აძლევდა, იმას ჩადიოდნენ, ავებდნენ. ამ გვარათ ცხოვრების ლხინი დასაწყისიდამვე. მოიშალა მრავალნი ლხინის. ქერჭე აღარ იყვნენ; მრავალნი იმ აზრს მიაწყდნენ, რომ ლხინი ცეკვაობის კარგა მცოდნე-თათვის ყოფილა. გაოსტატებულ მოთამაშეთა, რაკი კარგა გადმართეს თავისი კუთილი ცხოვრება, უფრო და უფრო გაიწივეს, უფრო და

უფრო ლხინისთვის ლონისძიებას, უმატეს და უმატეს; ბოლოს წრითგან გავიღნენ დანარჩენებს მეტის მეტათ შევიწროება მიეცათ, და წამოცვივდნენ საცეკვაოთ კი არა, წამოცვინდნენ იმისაგამო, რომ ჯდომაც კი ეყლარ მოეხერხებინათ. ამ ალიაქოთში აღმოჩნდა, რომ აქამდინ მჯდომარეებშიაც მარჯვე და მარცი კაცებიცა ყოფილან. ესენიც შეერივნენ მოლხინე ჭაცებში. მაგრამ პირველად მოლხინენი მრუდის თვალით უყურებდნენ. ამ მოუწვეველ სტუმრებსა და თავიანთში არ უშვებდნენ, ამისა გამო იწყობოდა ხანგრძლივი, სხვა და სხვა ფრივი ბრძოლა და ხშირად ახალ მოსულს სტუმრებისათვის უვად თავდებოდა: დასცინოდნენ, ზურგს უქცევდნენ, ახდევინებდნენ ლხინის წარჯსა, მანდილოსნებს ართმევდნენ კაცებსა, და კაცებს მანდილოსნებსა; ბოლოს ლხინითგანაცა ჰყრიდნენ. მაგრამ რამდენსაც კაცი უმეტესს ვაგლახსა ჰხედავს, იმდენს უფრო და უფრო ძლიერათა ჰგრძნობს, საჭიროებასა, რომ უველა სიკეთეში იშეულფებოდეს. ადამიანის მოთხოვნილებას თუ არ დააკმაყოფი-

ლებ, მოკლებით ვერას უშველი და უფრო განფიტრებ და გააღვიძებ. შიმშილს ვერას ლონისძიებით ვერ მოიკლამ, სანამ საჭმელს არ მიიღებ. ამისათვის ბრძოლა ჯრ გათავებულა: ბუნებითი საწადელი და სურვილი ხან თითქოს ყრუვდება, ხან ისევ მომატებულის ძალით თავს იჩენს, და ესრეთ თავის დაკმაყოფილებას ეძებს. ამაში მღვამარეობს ისტორია კაცობრიობისა.

ყოველს ხალხში და ყოველს დროს, ყოველს კაცობრივს საქმეში ეს საჭიროების დაკმაყოფილება, ეს საწადელი უკვდავი იყო. ყველგან, ყველა ხალხში იმისთანა კაცები აღმოაჩენილან ხოლმე, რომ ეს საჭიროების დაკმაყოფილება იმათ ძლიერა ჰსწყურებიათ რა ჰშიებიათ, როგორც წყალი და პური. ბევრს უშვერს და კაცის ბუნების დამთრგუნველს გარემოებაში ისინი ისე ძლიერის ბუნებისან ყოფილან, რომ არ წამხდარან სხვებსავით და ვერც წახდებოდნენ. სწავლაში და ხელოვნებაში გონიერითი საუნჯე შეუტანიათ, აღმოაუჩენიათ ახალი აზრები, ცხოვრებაში უჩვენებებიათ ახალი გზა, ახალი გამოაჩენ,

ერთის სიტყვით ყოველივე, რაცი ამშვენებს, ამდიღრებს და სიკეთეში აგდებს ჩვენს სიცოცხლეს. ისინი ჰგვანან ბნელს ღამეში მოკაშკაშე გზის მაჩვენებელს ვარსკვლავსა. თუ კაცობრიობა წინ მიღის, იმათის შემწეობით მიღის. ისინი გვინათებენ დაბნელებულს გულსა, იმედს გვიწვეთებრნ გულში და ფრთას შეგვასხმენ ახალის მოქმედებისათვის, ახალის საქმისათვის, ახალის ცხოვრებისათვის. ისინი არიან წინამძღვარნი გზა დაბნეულ, თვალებ აბმულ კაცობრიობისა. გზა დაბნეულნი იმის მოძმენი იმასვე ჰგრძნობენ, რასაც იმათი წინამძღვარი; იგივე მწუხარება აწუხებს და იგივე იმედი აიმედოვნებს ორთავ; მაგრამ წინამძღვარი მეტათა ჰგრძნობს, ბუნება ისეთი აქვს, რომ ან თავისი სურვილი უნდა დაიკმაყოფილოს ან თავი შეაკლას. ამგვარი თავ გადადებული კაცი, რასაკვირველია, მიიმსრობს და გაიყოლიებს, ვისაც იგივე სურვილი აქვს. ამ მომხრობით თან-და-თან ძლიერდება ხალხში საჭიროების დაკმაყოფილების სურვილი და ბოლოს თვით დაკმაყოფილებაც ძალა-უნებურათ უნდა მიეცეს იმის მსურველთა.

ყოველი საუნჯე, თუ გონებითი, თუ ნივთი-
ერი, ამ მხრით უნდა ჩავთვალოთ საუნჯეთა;
საუნჯე იმასა ჰქვიან, რომ კაცობრიობის ცხო-
ურებას, მოთხოვნილებას აკმაყოფილებდეს სა-
უნჯე ის არის, რაც კი კაცობრიობას კეთილ-
დღეობას და სიკეთეს შეჰქმატებს, რაც ხალხის
საჭიროების დაკმაყოფილების წალილს ემსახურე-
ბა. ამისაგამო სწავლა-მეცნიერება, ხელოვნება,
და საკუთრად მწერლობა (ლიტერატურა), მეტა-
ლურე ყოფაქცევათვითოვეულის კაცისათუ ამ საქმეს
ემსახურება, იმას ეძახიან ხალხის ანუ კაცობრი-
ობის წინწამყენებელს ძალასა — და ნამდვილი
ძალაც ეს ქრის.

ლიტერატურა, მწერლობაც ცხოვრების ერ-
თი წინ-წამყენებელი ძალაა, ერთი საუნჯეა.
მწერლობა და ყოველივე საუჯე ხალხის კუ-
თილდღეობის სიკეთის ჩამოგდებაში. ორ
გვარათ უნდა გავაინჯოთ: ან უნდა იყოს
ერის წინწასელის მუშა, ესე იგი ემსახუ-
რებოდეს ერში სიკეთის ჩამოგდებას; ან უნ-
და ეწინააღმდეგებოდეს; ან არც ერთისკენ იყოს,

არც მეორესაკენ. არც აქეთა და არც იქითა
მხრის დაუჭერლობაც. ისევიცე ჭავჭავაძე, როგორც
წინააღმდეგობა, ვინც მე ხელს არ მომაწოდებს
წყლიდგან თავის გადარჩენისათვის, იმისთანა კა-
ცის ამხანაგია, ვისაც ჩემი დახრჩობა უნდა; მა-
შასადამე ორ გვარია მწერლობაც — ერთი არის
სიკუთის ნამდვილი, და არა ცრუ, მშველელი,
მეორეა დამაბრუოლებელი.

მწერლობა იმ გვარათ ემსახურება ერის
ცხოვრებასა რომ, ან მეცნიერების საფუძვ-
ლით გვაჩვენებს რა უნდა ვქმნათ; ანუ გვა-
ჩვენებს რასაც ვაკეთებთ, რა გვიყეთებია, რა
ყოფილა და რაც არის. რამდენათაც მწერა-
ლი ერის ნამდვილს ბუნებითს საწადელს მტკი-
ცეთ შეიგნებს, იმდენათ ის იქნება მართალი, ჭე-
შმარიტი მწერალი, ჭეშმარიტი ნიჭი. თუ ეს სი-
შართლე და ჭეშმარიტება არა აქვს მწერალსაც
მაშასადამე ცრუ მწერალია, რადგანაც არ ესმის
ხალხის ნამდვილი საწადელი. მწერლის ლირსებას
ვაფასებთ იმითი, როგორი ვრცელი მხედველი,
ბა აქვს, როგორი ხინამდვილით ესმის და ცხო-
ვლად გვიხატავს ცხოვრების მოვლენათა.

კრიტიკის საქმე ეს არის, მწერალმა გაიგო, თუ არა
ერის საწადელი, რომელიც ან უკვე გაღვიძე-
ბულა, ანუ მალე გაიღვიძებს ჟამთა ვითარების
ძალით? მასუკან, რამდენათ გაიგო და გამოხატა?
ძირიდება აულია საგანი, თუ მარტო გარეგანი
შეხედულება? გარეგანი გამოხატვა და წარმო-
დგენა საგნისა როგორ ყთანხმება მწერლის მხე-
დველობას და გრძნობის ძალასა?

ამ ჩვენი ზომა და სასწორი ყოველის თხზუ-
ლების და მწერლის დაფასებისათვის.

ჩვენა ესთქვით, რომ არსენას ლექსია მღერის
მრთელი საქართველოს ერი. სჩანს ამ ლექსებ-
ში არის რამე ისეთი, რომ ხალხის გონებას და
გულს ეუბნება გასაგონს საგანსა; სჩანს ერის შე-
გონება და შემეცნება ჰპოულობს არსენაში თა-
ვის მოძმე აზრსა; სჩანს ჩვენის ერის ცხოვრების
ხეს მოუსხამს ისეთი ნაყოფი, რომელიც ამ
ლექსებში გამოუხატავს ხალხსა.

არსენას ზოგნი ყაჩალს ეძახიან. (ყაჩალს ეძა-
ხიან მცარცველს კარცსა, მტაცებულს, კაცის

მკვლელს, ერთის სიტყვით ავაზაკს). ეს ცრუ აზრია და არსენა ამგვარი ყაჩალი არ არის, თუ კი ყაჩალი დავარქვათ. სხვანი კიდევ არსენა მარტო ბატონ-ყმობის წინააღმდეგ კაცათა ჰერიათ და სხვა არაფრათა. მაგრამ კარგათ რომ დავაკვირდეთ ბევრს და ბევრს სხვა მხარეს დავინახავთ. ამ სახალხო ლექსში გამოხატულია არა ურთი და ორი მხარე ჩვენის ცხოვრებისა, არა მუდ მრავალი სხვა და სხვა მხარე. აქ ყოველივე ერთათ შეერთდა, შეკავშირდა და ერთ ვრცელ ხალხის ცხოვრების სურათად წარმოგვიდვა. არსენაში გამოითქვა ბუნებითი, ღრმა სიყვარული სიკეთისა და ამ სიკეთისათვის თავის აღება და ბრძოლა კაცის დამჩაგვრელ ძალა-სთან, როგორიც უნდა იყოს ეს ძალა. დავაკვირდეთ ჩვენს ისტორიას, რომელიც აგებისნის ამასა.

ჩვენი ერის ისტორიული ცხოვრება ესე მომდინარეობს: საქართველოს ერმა დრდის ხნიდგანვე დაგჭირა ეს შიწები, რომელზედაც ეხლადგას; მრავალი ბრძოლა უნდა გამოევლოს ადგილ-მამულის გაჩენისათვის: დაგჭირა მაღალი

საშანელი მთების კალთებზე და თვეთ მაღალი
ქედებიც თითქმის საუკუნო მდებარე თოვლამ-
დინ, რომ შეემუშავებინა თავის ჭარჩენად ეს კუ-
ცისაგან ბუნების დამარცხება და დამორჩილება
ისეთ გამარჯვებათ მიაჩნია ჩეენს ხალხსა, რომ თა-
ვისი გამარჯვება ღვთაებრივ გამოგზავნილ ძალათ
მიაჩნია; ღმერთმა კაცი ანგელოზი გამოუგზავნაო!
«როცე წყალი აռხრდება, იმ წყლის შაქლება
მიეცით, სამის ფერდის ზეავის ძალი მიეცით;
თორმეტის რკინის კედლის სიმაგრე მკლავში
მიეცითო». ამ ძალით შემოსილმა კაცმა სქლია
ბუნება და მოპოვებულ და დაჭერილ მიწაწყალს
იცავდა რამდენისამე ათასის წლის განმავალობაზ
ში. ძველი და ახალი სპარსები, ბერძნები და
რომაელები, ბიზანტიელები, არაბები, ჩინგის-ფავ-
ნი და ლანგ-თემური, ოსმალები, ვერ შემაგრ-
დნენ და ვერ დაიმკიდრეს ამ ძალით მოპოვე-
ბული მიწაწყალი. თთო მტკაველ მიწისათვის
ზღვა სისხლსა ღვრიდა ჩეენი ერი. არცერთ ხალხს
დედაშიწის ზურგზე, არც ერთს, არც ერთს ეს
ძვირათ არ დაუფასებია თავისი სამკუიდრებელი

და არც ერთს ესე ძვირათ არ დაუჭილომა! ეს ძალიან კარგათ ესმის ჩვენს ერს და ჰერიშნობს თავის თავს გამარჯვებულათ ეს ისტორიით აღზრდილი და განმტკიცებული გრძნობა ღრმათ ამკუთხდრებს ხალხში იმის უფლებას, რომის პიროვანს და საზოგადო, სათემო უფლებას. ამ ერში განმტკიცდა ის აზრი, რომ ბრძოლითა და შეცადინეობით, ყოველისავე ბოროტობის და ავის მოსპობა შეიძლება. პაკი საღმე ჰერძნობს თავის პუნქტითის სურვილის დავმატოვილების წინააღმდეგსა, მაშინვე უპირობობირდება, არ ემონება და არც შეუძლია დამონება, და ემებს თავის საწადელსა. ეს საწადელი ყოველს ხალხებში ერთია, საზოგადო კაცობრიული სიკეთე ერთია, სურვილიც ერთია; მაგრამ ჩვენს ერს დიდი ხანი უპროვორია, დიდი ხანი სტყა და სხვა ისტორიული შემთხვევა გამოუვიდია, ბევრი რამ თავს დაგავხედის და გამოცდილი შექმნილა. ზოგი ისეთი საერთო ცხოვრების საქმეები შეომხდარი ჩვენს ხალხში, რომელიც აქამდინაც ვერ დაუბოლოვებია ფეროვანის ერთა საწავლაშეცნიერებასა

და ცხოვრებასა. მაგალითად მოვიტანთ ბატონ-ყმობის ფეხის მოუკიდებლობას ზემო სვანეთში, თუშებში და ხევსურებში; მასუკან ზემო სვანე-თში საზოგადო საქმეების რჩევაში, საერო კრე-ბაში დედაკაცების მონაწილეობას. (ზემოსვანეთში საერთო კრებაში ჰქევა და ფაპარაკი შეეძლოთ დედა-კაცებსაც; შესლოდ კანჭი კი, ესე იგი სმის მიცე-მის უფლება არა ჭირდათ). დანარჩენ საქარ-თველოში ბატონ-ყმობა ისეთი იყო, რომ იმის დროს ბატონი მხოლოდ ჯარის უფროსი იყო, თავი ანუ თავადი იყო. მშვიდობიანობის დროს ბატონს ყმა ცოტას გადასახადს აძლევდა, რადგანაც ბატონიც ისეთივე შუმა კაცი იყო როგორც გლეხი და ყმა. (ბატონი თითონვე გუ-თანს უდგა, ურემზე დაუჯდებოდა, მკიდა; ბა-ტონი და გლეხი ერთათ მუშალბლნენ და ერთ-მანერთს სესხ-ვალსავით მხარს აძლევდნენ და მუ-შაობას უწევდნენ. შობას და აღდგომას ძლვე-ნი იყო გადასახადი, ჭორწილობის დროს რამ-დენიმე მცირე ფული საწინდე, და შინაგამსახური ური ან სამი კაცი, თუ დიდის ყმის პატრიონი იყო.

ბატონი. ბატონს მეტის მოთხოვნა არ შეეძლო).

შემდეგში ეს თან-და-თან შეიცვალა და
სხვა კანონები შემოვიდა, ამ კანონით გარე-
ჭვევით იყო დღანსაზღვრული ცემის სამსახუ-
რის. ფირაში ყმას დასამიზდღე ბატონისა
თვის უნდა ემსახურნა, მამულს არომ ყიდულო-
ბდეს, თავის სახელზე კი არ შეეძლო ყიდვა, ბა-
ტონის სახელზე უნდა ეყიდნა; ცოლის შერ-
თვა ბატონის ნება-დაურთველათ არ შეეძლო
და სხვა და სხვა. უსენი თვით მკითხველმა წარ-
გათ ჩცის. ბატონს რაც უნდოდა, ერთის სიტ-
ყვით იმას სჩადიოდა და ყმას ნება არა ჰქონდა
ბატონზე საჩიტარი შეეტანა. ამ უვარათ ყმა ბა-
ტონს ისეთსავე საგნათ მიაჩნდა, როგორც სა-
მუშაო საქონელი, უხენი, ხარი და სხვა სულ-
ლუმული და უსულო ნეთია, რომელიც იმას
უყიდნი და დაუსაკუთრებია. როგორც ხარ-კამ-
ბეჩს ახვნეინებენ, ალეწვინებენ, ქვას აზიდვინ დ-
ბენ, ყმასაც ხშირად შეხვედრია ეს ხვედრი;
არა
ზნეობითი სატანჯველიც ნივთიერს სატან-

ჯველთან შეერთებულია მუდამ და კუელგან; აქაც ესე იყო. აქ მეტის მეტაო გაგეოზრძელ-დებოდა ლაპარაკი და მოკლეთ მცვიტანთ იმ აზრებს, რაც ერთს ხალხის ლექსებშია გამოხავ ტული ამ ზნეობის სატანჯველზე. და-მიანი იყვნენ ბატონის ყმანი, დაი ბატონმა სხვა სოფელში გაჰყიდა. ასაკში რომ მოვიდა ბიჭი, ბატონმა იმისი დაქორწილება მოინდომა (ცხვარს სავით ანუ ძროხასავით გასამრავლებლათ), და ქორწილა ურთ გლეხსი ქალზე ღამე ბიჭი ფიქრში შედის და ტირის; ქალსა ჰყითხავს, ვინა ხარ? მითხარით. ქალი ეუბნება, დედ-მამა ურა მყავს, ობლები დაურჩით და-მიანი; მე-რობ ბატონმა გამყიდა, გვარი დავკარგვა, მეის ამბავი აღარ ვიციბ. მცხვდებიან, რო და-მანი გარიან და ტანს წმინდათ ინახვენ. ეს საშინელი ამბავი ხალხმა ლექსათ გამოსთვა აი, ამ გვარ გარემოს ებაში ასენაცა ჩნდება.

ამ გარემოებაში ხალხს როგორ უნდა ეგრეთი თავისი მდგომარეობა, რო უნდა ეფიქრა, რა უნდა ჰსურვებოდა და მოექმედებინა?

აშისი პასუხი ისევ ჩვენს ძელ ცხოვრებაში
უნდა მოუნახოთ.

ଅମେରିକା ଶ୍ରୀଲଙ୍କା ପ୍ରକଟନାରେ, ଯିନିମ୍ବ ଜ୍ଞାନରେ ଜ୍ଞାନରେ ଜ୍ଞାନରେ
ବ୍ୟକ୍ତିଗତ ମର୍ଯ୍ୟାଦା ଏହାମୁକ୍ତତତ୍ତ୍ଵ ଉଚ୍ଚତତ୍ତ୍ଵମର୍ଯ୍ୟାଦା ଶକ୍ତିରେ ।

ମିଶ୍ନଟାର କାଳି ଧ୍ୟାନୀ, ମିଶ୍ନର କାନ୍ତିକାଳି

— «ადე შე ქალო, დიაცე!» მუშატი მისო მე-ყდისათ
შავა კერძო ჩემსა ლურჯასა, შავსა შავდებ გზასათ.
ურ კისედე, მამდევდა, მააპრიალებს სმი ლათ!

— ଦୁଇଲ, କାହିଁ ମାନ୍ଦେଖ, ନରଲ, ପ୍ରଜା ଓ ବ୍ୟାମଳୀଙ୍କା? କ୍ଷେତ୍ର ମାନ୍ଦେଖ ଓ ମାନ୍ଦେଖିର ବ୍ୟାମଳୀ ପ୍ରକାଶ ପାଇଁ ଏହିପରିଚାଳନା;

პთი დგრის მუშა-ხაბული სავაზოებს დამიკრინა;

ମାତ୍ର କୁହାରୀଙ୍କ ଯାଇଲେ ପ୍ରେରଣା କରୁଥିଲା କୋମିଶନରେ;

ମୁହଁର ତେବ୍ରିଣ୍ଟା ଗୋଟିଏକାଙ୍କଣ ପାଇଁ କମିଶ ଲାଭକାରୀ ଦେବାରେ

ქალი, უძლისურია ქალიც კი თლკრის თმენს ჩაფ-

უჩასა და კაცურ ლირსების დათრგუნვასა! მონება
აღარ შეუძლია, აგდებს ოჯახსა და საყვარელ
შვილებსაცა, რომ თავი გაინთავისუფლოს! აი
როგორი ხასიათისაა ჩვენი ქალის თუ კი მომ-
თმენი, დიდად მომთმენი დედაკაცი ასეთის გა-
ბედვით თავს იღებს, რა ძალი უნდა გამოიჩი-
ნოს მამაკაცმა, რომელიც უფრო თავისუფა-
ლია, რომელიც უფრო ძლიერია და რომელ-
საც თავის კაცური მოთხოვნილების დაკმაყო-
ფილება უნდა! და აი მრთელმა ჩვენი ერის სი-
ცოცხლემ ეს ძლიერი გრძნობა პირადის, კაცუ-
რის უფლებისა ჩანერგა ჩვენს ხალხში კაცი
და ქალში.

არსენა არის ამ ხალხის ნაშტდვილი შვილი და
ამ გრძნობის გამომხატველი კაცი.

არსენა ჩნდება ჩვენს ცხოვრებაში ამ საუკუ-
ნის დასაწყისში და, როგორც ვთქვით, არის წარ-
მომადგენელი ჩვენის ხალხის გრძნობისა და გო-
ნებისა. იმასში იხატება გარკვევით და ცხადათ
რა მწუხარება აწუხებს ჩვენ გლეხსა და რა იმე-
დი აიმედოვნებს. არსენა არის უბრალო მარაბ-

დელი ვლეხი, ბატონის ყმა. იმას უყვარდა ბატონის მოახლე, რომლისაც შეჩთვა უნდოდა ცოლადა. ბატონი ნებას არ აძლევს. არსენა თავს არ ანებებს *).

ცოლე-ქმრობის პირობა მისცა — შინე სახლში

ეს რომ ბატონის შეიტევ, ჰქონდამ შეიძალა. ბატონი ბალეობზე იღგა, ქოშები გადმოუარა:

მაგისტრით ქალი წავიდოთ, რა არის მაგისტრა! ასტენა ეუბნებოდა:

ამ თავომეტო თუმასს მოგარომევ, დაგითვლი ჩქარა. ასტენა ეუბნებოდა.

ბატონი გაჯავრებული ფანჯრიდამ გადმოვარდა, თაღზე-იარალი ასსხს, მისდევდა მსარ-და ცხარა.

*) ნიკ. ეივიანის გამოცემულ ასტენას ლექსების ნამდვილი, საიდამაც ამოუკრებია, აქ გვაჩვენ და ზოგ გვ ერთი ადგილები, რომელიც სამწუხაოლო არ ამოურჩევია, ზოგჯერ აქ უნდა მოვიტანოთ.

არის და კაცი გაგზავნა, ნაცვალი დაიძორა;
 «არსენა ლუქაშვილმა ჩემზე ისმარა მახალ;
 ერთი კარგი გლოვა მეტანდა, იმერეთ წაიყვანა,
 მინჯვრით გაიქცა არსენა, მთამარ დაიარა.»

ამ გვარათ იტაცებს ბატონის მოახლეობა
 და შორს მიჰყავს, რომ ვეღარ შეიძლონ
 იმისი დაბრუნება ანუ წართმევა. სიყვარუ-
 ლი ყველაფერზე ხელს აღებინებს, ანთავი-
 სუფლებს ულონო ქალსა, რომელიც ყოველ-
 თვის დაჩაგრულია კაცისაგან და მერე ბატონი-
 საგან. იმას არ შეუძლია ჩუმ-ჩუმათ არშიცობა
 მოახლეობათან, თორემ თუ კი ერთმანერთის სი-
 ყვარული აქვთ, განა ჩუმათ, სხვების ტყუებით,
 თვალ-მაქცობით და ოსტატობით არ შეუძლია
 იმისი სიყვარული. მაგრამ არსენასთანა კაცებს
 ტყუება, თვალ-მაქცობა ეჯავრებათ და არც შე-
 უძლიათ. «ჩენ ცოლ-ქმრობა გვინდა, ერთმანერ-
 თი გვიყვარს გულითა; განა ცოლ-ქმრობაც არ
 შეიძლება თავისის ნებით მოახდინოს ყმამა?»
 არაო, არა! ყოველივე გარემოება ეუბნება არ-
 სენას.—მე ვიცი როგორც არაო, ამბობს რაფ-

ნა. და თავის სურვილს ისრულებს. იტაცებს. მოა-
ხლეს და ახალციხეს მიჰყავს. განა არ იცის რამა-
ლენი უსიამოვნება, შიმშილი, წყურვილი, სამარ-
თალი და ბატონის დევნა დაედევნება იმასა? განა არ
იცის; რომ მთავრობის კანონით მტყუანია ყვე-
ლაფერში, ამიტომ რომ ყმა არის და ბატონის
წინააღმდეგობა არ უნდა გაჰქიბდოს? ესენი კარგა
იცის, მაგრამ არ შეუძლია, ადამიანის ბუნება ძალი-
ან ძლიერი აქვს; არ შეუძლია თავის კაცურ მოთ-
ხოვნილებას ხელი შეუბრუნოს, არ შეუძლია რომ
როცა უყვარს ჭალი, არ შეიყვაროს და თავიდ-
გან აიცილოს, რაც უნდა ათასი სატანჯველი
მიაყენონ, თავისასა იქს: ან უნდა მოვკვდე და
ან ჩემი სურვილი, ნამდვილი, კაცური სურვი-
ლი უნდა ავისრულოვო. ერთხელვე ამ თავის
ნამდვილ კაცურ სურვილის გზაზე დამდგარი,
სიყვარულის გრძნობით აღგზნებულის გულით
მიდის და საფლავის კარამდინ ამ გზას ადგია
არაურისა არ ეშინიან; სული ტკბილია, მაგრამ
სიკვდილისაც კი არ ეშინიან; ყოველსავე საფრ-
ხეს პირდაპირ უხვდება.

სიყვარული და თავისი ნამდვილი აღაშიანური ლირსების გრძნობა, თავისუფლების გრძნობა კაცის პირველი ფეხზე წამომყენებელია. არსენა აშ გრძნობით, აშ სიყვარულით თან-და-თან მხნევდება, იზრდება და იზრდება. თერთონ გამოსული ბატონის ხელითგან, განმათავისუფლებელი თავის საყვარელისა, დრტვინაჭს სხვების უბედურ მდგომარეობაზე; აშ გარემოების მტერი ხდება, რაც გლეხის ცხოვრებას უშლის ფრთების გაშლასა და ამზობს «ათას წილად სიკვდილი სჯობსო» აშ გარემოებაში ჩავარდნასაო.

მაგრამ თავის წინააღმდეგობისათვის ის სასჯელს უნდა მიეცეს, კანონი ამას მოითხოვს. გამოჩენდება ნათლიმამა არსენასი-ფარსალან; მოწვევს მოტყუებით, აჭერინებს და სამართალს ხელში აძლევს. მოჰყავთ ქალაქში უფროსთან. უფროსი კანონის აღმსრულებელია. ეს კანონი შეიმე კანონია; ყველა ჰერძნობს, ყველას კარგა ესმის, მაგრამ კანონის გატეხა არ შეიძლება. უფროსი გულ-ჩვილი კაცია და, როგორც კაცს, ებრალება არსენა. არსენას მოღალატე ფარსა-

დანს უწყრება, «შე წუწკო, რათ იჭერდი მაგ
ტყვესა? ერთი გაფარდნილი კაცი ტყეში ეფარე-
ბა ხესა». ეს ადგილი მშვენიერი ადგილია არ-
სენას ლექსებში; ეს ადგილი ჩვენის აზრით მე-
ტის მეტი ტრადიცული, სულის გამტანჯველი
ადგილია. უფროსი გამოყვანილია კაცათ, გულ-
კეთილ კაცათ, რომელსაც სულითა და გულით
ებრალება ყმა, არც ამას მოსწონს ბატონ-ყმო-
ბა; მაგრამ რა ქნას? თვითონაც კანინგ ქვეშა,
თუმცა კი კანონის აღმსრულებელია. ამასაც
სურვილით უნდა, რომ ბატონ-ყმობა არ იყოს,
მაგრამ, რა ქნას? ამ ქვეყნიერობაში ისე არის:
ან კანონი უნდა ასრულოს კაცმა, ან გარეთ უნდა
გავიდეს, კანონს გარეთ, ესე იგი წრეს გარეთ
უნდა გავიდეს. უისაც ცოლშეილის მყუდრო
ცხოვრება, მშეიდობიანი ცხოვრება უნდა თავის
სიცოცხლეში, ასე უნდა იცხოვროს: ბევრი რამ
არის, რომ არ ესიამოვნება კაცსა, ბევრი ზნე-
ობითი სატანჯველიც უნდა გამოიაროს, რადგან
კაცის ცხოვრება დამყარებულია ლუკმა პურ-
შე ყველას ჭამა-სმა უნდა და ამ ლუკმის მოსა-

პოვებლად ბევრჯელ ბევრს რასმესა სტრიბს. შე-
ორე მხრითაც ყოველს საზოგადოებაში, ყო-
ველს ქვეყანაში ხომ რამე წესი და კანონი
უნდა იყოს, რომელსაც დიდი და პატარა უნ-
და ემორჩილებოდეს. ვისაც კაცური გრძნობა
სრულებით არ გაჰქრობია გულში, ყოველთვის
ეს ბრძოლა და ორ წყალ შეა მდგომარეობა
თავიდგან ვერ აუცილებია ერთის მხრით ლუ-
კმა პური და კანონის საჭიროებას მეორეს მხ-
რით თავისი კაცური დაუძინებელი, ბუნებითი
გრძნობა სიმართლისა.

არსენა პირველათა ცდილობს, განა არა
ცდილობს, რომ თითონაც კანონს არ გადვი-
დეს; თურმეტ თუმანს აძლევს თავის ბატონის
მოაწლისათვის. მავრამ ეს დროებითი ცდა არის,
იმას ისე ჯლიერათა აქვს გულში გაღვიძებუ-
ლი თავის კაცობრივი მოთხოვნილების დაკმა-
ყოფილება, რომ ვერასთერა ვერ დაემორჩილება.
სხვანი ამბობენ, განა არ ეიცით რა გარემოებაშია-
ცა ვართო? კომედიებში «მზის დაბნელებაში». და
გაყრაში «დარჩა ადგილები, რომელიც წარსულ

სქმართლის ამბავს გვაჩერებენ და არიან ზალ-
ხის აზრის გამომხატველი ამ გარემოების შე-
სახებ.

მკითხველს მოაგონდება ის სცენა, როდესაც
თავადიშვილები ჩამოსულან ვაჭართან ფულის
დასასესხებლათ და უჩივიან თავიანთ დროსა და
მზის დაბნელების ამბავსა. ყველა თავისებურათა
ჩივის: თავადიშვილები ახლანდელ სუფრას უჩი-
ვიან — გლოები თავისებურათა ჩივის: «ცუდი რო-
გორ არ მოგვივა, რომ დიამბევის იასაულების
შიშითა სახლში წიწილა ვეღარ გაგვიჩნიაო». «ფაყრაში» კიდევ თავადის მოურავი თავისის მკვი-
ცხლის გონებით ურჩევს ბატონს ფულით და-
ქრთამვას მოსამართლეებისას:

«ახის თუმნითა! ამა რას ბოძანებ?

სუდა, პალატის სედით ვაქანებ.

ჩვენს სუდისა, ამ კუკისას

სულ ვათამაშებ დეკურ ბუქნასა.

და სევლეტანსა მე თუ თუმნათა

გნებავს გაგისდი მაიმუნათა.

ამ აზრისა იყო ხალხი, ჩეენშიაც და რუსე-
თშიაც. შშვენიერ ლექსებში გამოსთქვა ნეკრა-

სოვება ეს გარემოება გლეხის ხალხისა (დაწერილია 1858 წ.)

Родная земля!

Назави ми ѿ таکую обитель,
Я такого угла не юидаль,
Гдѣ бы съятель твой и хранитель,
Гдѣ бы — мужикъ не стональ?
Стонетъ онъ по полямъ, по дорогамъ,
Стонетъ онъ по тюрмамъ, по острогамъ,
Въ рудникахъ, на желѣзной цѣпѣ;
Стонетъ онъ подъ овиномъ, подъ стогомъ,
Подъ телѣгой, почуя въ стени;
Стонетъ въ собственномъ бѣдномъ домишкѣ
Свѣту Божьяго солица не радъ;
Стонетъ въ каждомъ глухомъ городишкѣ,
У подъѣзда судовъ и палатъ.....
Волга! Волга! Весною многоводной
Ты не такъ заливаешь подъ,
Какъ великою скорбью народной
Нерепошилась наша земля—
Гдѣ народъ, тамъ и стои....

(სამშობლოვ ქვეყანავ! დამისახულე ერთი გუთხე,
რომ შენი მცირელი და მთესკელი გლეხი არ ჰქვენე-
სოდეს? ჰქვენესის მანდორში და გზებში, ჰქვენესის
სატუსალოში და საპატიომონოში, ციმბირში შებორკი-
ლებული; ჰქვენესის ძნას ჩეკეშ და უკემ ქვიშ ჰქვენესის
თავის ღარიბ ქოხშიაც და მზის სათელიც კი სისა-
რულად არ მიაჩნია; ჰქვენესის ულველ ბატარა მიურუებულ
ქალა ქებში სურისა და ბაზარის კაჭებთანა...).

გოლგავ! (დიდი რუსულის წერადია) გოლგავ! გაშაფ-
სელობით წერდ დაღობის დროს ისე არა ჰქონავ
და არ ედები ჩვენს მინვდობსა, ოცნებული დიდი მწე-
სარება ედება ჩვენს ქავებასას. საცა კი ხალსია, გვე-
სა მოისმის).

ამ გარემოებაში ვეღარა სძლებს არსენა და
თავს იღებს. ამ ურჩობისათვის ეხლა დაჭერილი,
კანონის წინაშეა წარდგენილი. უფროსი ეუ-
ბნება არსენას:

«რაც შენი ამბავი მომდის, რათა ჰქენ, ჩემო
არსენა?» არსენას ფიქრათაც არ მოსდის, რა და-
ნაშაულობა უქნია: მემშიერ ველათ» დავდიო-
დიო, ეს მართალია; არავისთვის კი არა დამი-
შავებიარაო. თუ ზოგი მცარცველობასა მწამობს,
ეგ ტყუილია; მართალია «მდიდარს ვართმევდი,
მაგრამ მიყვარდა ღარიბის ჭმევა». ამას თუ და-
ნაშაულობათ ჩამომართმევთ, «ნება თქვენი ას-
რულდესა». არსენს ბორკილს უყრიან, ციხეში
აგზებენ და საციმბიროთ თავსა ჰპარსვენ. ყვე-
ლა გათავებულა არსენასთვის.

რა რიგათ უყვარდა სიცოცხლე, რა ძვირათ
დაუჯდა თავის საყვარელის და თავის თავის გან-

თავისუფლება, ახალციხეს გადიყვანა თავისი სულის მეგობარი; ახალციხე მაშინ სხვა სახელმწიფოს ეჭირა, იქ შეეძლო თითონაც მშვიდობით ცხოვრება. მაგრამ სიცოცხლე უყვარს თავის სამშობლო ქვეყანაში, თავის მცნობ ამხანაგში, თუნდაც კი გარე-გარე უნდა იცხონოს «მშიერ ცელათა», მაგრამ აქ აღზღილა, პირველათ მზე აქ უნახავს, დედის ალექსი და პრეველი აღტაცებული სიყვარული აქ უნახავს: ამ ქვეყნის თავის დანებება არ შეუძლია. ვინ საც ცხოვრებაში სიყვარულით გული გასთბობია, ანუ იმედი სიცოცხლისა, თავისუფალ, მშენიერ სიცოცხლისა არ დაჰყარდეთ, ამისთვის როგორ თავს არ დასდებს გაპარვისათვის.

არსენა საპატიმროშია. მარტო ყოფნა ძლიერის სულის და გვამის კაცისათვის ისეთი მდგრამარეობაა, რომ ამ გვარ კაცს ფილოსოფოსათ გადააკცევს. ბევრს ამბავსა სჯის, ფიქრობს, სწონს; ქვეყნის მღელვარებას დაშორებულს მყუდროება არ უშლის ამ სჯასა. ამ მარტობაში შორითგან შინჯავს თავის ცხოვრებასაც

და ქვეყნისასაც. პრეზენტი ეს სჯა არ ასტრილ-
დება და ფურგა უნდა დაფიქრდეს თავის წარსულ
ცხოვრებაზე. რასაკვირველია, ამ სუსტ უეჭველთ
იქამდინ შიუყვანია, რომ ფიქრობს; კარგი მიქა-
ნიან, რაც ჩამიღენიალ ამასთან უკეთ ხალხში ცა-
რფი ხდი გავარღნია და ეხლა კი აფერ საცაჲ
ციმბირს უნდა გაგზავნონ.

შეშინა თქვა პრეზენტის ვთ დედა ჩემის ღმერთსდ!
მე რო ამ ცისეში მოვკვდე ბიჭისას ვინ დამიგდება?
აპანოს იგორებს მიზეზათ, და სქირთვან მო-
წერხებულათ იპარება. იმის მიზანი არ არის
არსენა მეორეთ იბატება! ახალის გრძნობით
და იქნება ახალის აზრით გამოლის ქვეყანაზედ.
ამ ადგილითვან, საცა გამოპარფა თავდება! აქეთ
ფან იწყობა თითქოს მეორე ნაწილი ლექსები-
სა, რომელშიაც აღარ არის ლაპარაკი იმისი, სა-
კუთარი, თავისუფლებისათვის, მოქმედება! აქ
არის სხვებისათვის ზრუნვა და საჭმელი
სხვებისათვის რა შეუძლია იმას? რას აკეთებს
ეს უბრალო გლეხი? ამისი აღხსნა აღვინდია, რო-
დაფურიქრდეთ გლეხი კაცის მდგომარეობასა. რას

ხედავს ყოველი გონება და თვალს ფხიზელიკა
 ცი და რას უფრო დაცქერდებოდა არსენა
 თავის ტუსალობის დროსა? რახაკვირველია გლე-
 ხი კაცის სილარიბეს. ამაზე დატუსალების წინა-
 თაც უფიქრის და საქმითაც აუსრულებია; ეხლა-
 ხომ უფრო უმეტესად დამყარებია თავის; პირ-
 ველ აზრებსა. სილარიბე, სულის ამამხდელი სი-
 ლარიბე გლეხ-კაცს თითქოს ბედათ შეხვედრია
 ამ ქვეყნიერობაში. შრომითა შრომობს მრთელს
 თავის სიცოცხლეში, მაგრამ ნაყოფი კი არა
 გამოდის რა! ვინა შრომობს გლეხ-კაცზე მეტსა,
 ვის აწევს იმოდენა მძიმე ტვირთი, როგორც
 გლეხ კაცსა? ვაჭარი კაცი, სომეხი და ურია, იმ-
 დენს შრომას როგორ გასწევს, როგორც სო-
 ფლის გლეხი? მაგრამ ეს ნამუშავარი თითქმის
 სრულებით ვაჭრებსა ხელებათ ხელში: რათა, რა
 საფუძვლით და რა სიმართლით? სიმართლეზე
 თუ მიგარდა საქმე, ასე არ იქნებოდა; ეს სულ
 ტყუების და ვაჭნილობისაგან: არის; ვაჭრების და
 სხვა ამისთანა კაცების და გარემოების ბრალია;
 აი, არსენა კიდევც იმათზე ძალიან არის გადაჭ-

დებული. იმან ძალიან კარგათ იცის, რომ თუ ვისმე სიმდიდრე უშოგნია, სხვის შრომით უშოგნია. და აი, სომეხს უხვდება თუ არა ლამაზათ მდიდრულათ მორთულსა, მაშინვე ართმეტს იმ სიმდიდრესა, გლეხის ნაშრომით რომ მოუპოვბია და შიგ რომ ჩამჯდარა:

ანსენამ წამოურა: სათო მაბანდებით თქვენა? ეგ ქულავა გაიხადეთ, ეს თაქა ჩაიცვით თქვენა. ის ქულავა წამოისხა და ბეჭები დაბმშვენა.

მაგრამ იქნება იფექტი, რომ ამ უკანვე გამორთმეული, გლეხის ნაშრომევის ფულით ნაყიდი ქულავა თითონ შოთხმაროს? არა. რასაც შოულობს, მგზავრს აჭმევს, რადგანაც ჩვენში მგზავრის ჭმევა დიდ საონოებათ არის ბიღებული, და ლარიბს აძლევს. მაგრამ რასაკირვეელია ყველას კი არ ართმევს და არა სტაცებს. მარტო იმას ართმევს, წისაც ეტყობა სიმდიდრე, რომ სხვის შრომით უნდა ჰქონდეს მოპოებული. თორემ ანსენას ყველა კაცი კაცათა ჰგანია. აშის დასამტკიცებლად ერთი ამბავი შეგვიძლია მოფიტანოთ, რომელიც ლექსებში კი არსად არ

არის და მხოლოდ ნამდვილ ამბავათ გაგვიგონია: არსენის შეხვედა ერთხელ ღარიბი თავადი თუ აზნაური, უბრალო ტვავში გახვეული. არ, სენამ გაიხადა ქულაჯა, მისცა და ტყავი თითონ გამოართა. ეს გვაჩვენებს, რომ არსენა კაცი კი არა სდევნიდა, სდევნიდა იმ უსამართლოებას, რომელსაც კაცი დაუჩაგრავს და იმისთვის კაცებსა სდევნის, რომელთაც ამ უსამართლობის მხარე დაუჭირიათ. თავადი შვილი მებატონე თუ კი ღარიბია, სხანს სხვის შრომა არ მიუთვისებია; თუ კი გლეხური ცხოვრება აქვთ, სხანს რომ გლეხის ნაშრომეფი კისერზე არ შემოუხვევიგ; უცხოვრიგ თავისის შრომით, როგორც უბრალო გლეხსა. მხოლოდ სახელოაქვა თავადისა, თორუმ ისიც ისეთივე გლეხია, როგორც უველა გლეხი. ამისავე მსგავსად ქართველი, სომეხი და ურია უველა კუცია. ურიას და სომეხს იმიტომ კი არა სდევნის რომ ურიაა, ანუ სომეხი; იმისუთვისა სდევნის, რომ ხალხს ატყუებენ. კაცის სარწმუნოებას ჩვენი ხალხი არა სდევნის; პირიქით რჯულ გადამდგარ კაცის სხვა

თვალით უკურებს, გიორგის, არსენას მკვლელს,
ლეკის ბიჭება: აი რა აზრებია ლექსებში გამოხა-
ტული:

გიორგის ერთი ლექი ჰყავს, ბრიუზი და გაუწდელია,
რეალიდან გადამდგრილ.....

აშენარათ არსენასთვის ყველა კაცი კაცია; სი-
ტყვა საქმეზე და გარემოებაზეა დამოკიდებული-
ამასაგარო უფრო ის ადგილია შესანიშნავი, სა-
ცა არსენა აყვედრის უჩიებსა:

ქალაქში რო ჩასვალთ სოლმე, ფრინჩას არჩევთ
შილას თხელსა:

ଶୈତାନଙ୍କ ପିଲା ଗଫଳ ରାଜ୍ୟରେ, ପାଞ୍ଚମାନ ମେହିରାଖଦାତା
ଫ୍ରେନ୍ସେ;

ପ୍ରକାଶକ ଓ ଅନୁଷ୍ଠାନିକ ପ୍ରକାଶକ, ବ୍ୟାକ୍ତିଗତ ମେ-
ରୀଏଲ୍‌ଫଲ୍‌ଲୋବ୍‌ସାମ୍

ასენას უნდა ამისთანა უსამართლობის ამო-
გდება. იმას ამ შეუძლია გულ-გრძლათ ყურე-
ბა, როდესაც გძეს კაცს ვინმე სხავრავს; იმის
თანა კაცებს არა ჰვავს, რომ სხვის გაჭირებულ
მდგრამარეობაზე იღაპარაკოს, იღაპარაკოს, იმ-
სროს-იტიროს, მშვენიერი სჯა და ფიქრები
გადაშალ-გადმოშალოს და გულხელ დაკრეფი

ლი შეპყურებდეს. რამდენი კაცი გენახვე-
ბათ, რომ ათას გვარათ შეწუხებულის გულშემატ-
კივრობაზე, ღარიბის შემწეობაზე ღაპარაკობდეს
და იმავე დროს ამისთანაებისთვის არას შრო-
მობდეს, არას აკეთებდეს. ამისთანა კაცებს გუ-
ლის სიჩვილის მეტი არა აქვთ რა. ამათ მოქ-
მედება ხელითვან არ გაძოსდით, არც შეუ-
ძლიათ. არსენას კი შორიდვან ყურება და გზის
აქცევა, არ შეუძლია. თუ მაშინვე ავათმყოფს
წაპალი არ მიაწოდა, მწყურვალს წყალი და მში-
ერს პური, სიცოცხლე სიცოცხლეთ არ მიაჩნია.
რაც უნდა იყოს და როგორც უნდა მოხდეს,
რაკი ხედავს მშიერს კაცა, ვერ მოითმენს, გუ-
ლი და სული ვერ გაუძლებს, შხამათ ეგონება
თავისი სიცოცხლე, რომ პური არ მიაწოდოს.

ამისთვის უნდა მოუხერხოს ურიებს ისეთი
ხერხი, რომ ვეღარ შეიძლონ სოფლის დაწილ-
კება. აქამდინ ხმარებულ საზომს ადლს აგდები-
ნებს ურიებსა:

გატესა და გადმოუკდო; ფუ გამჭედო გაუწერესა!
და ახალს, თავისის ხელით გამოჭრილ, შეიღ

შტკავლიან ადლს აძლევს, უტყუფრათ და იაფად
ამითი ჰქომეთ და ჰყიდეთო:

თუ ამითი არა ზომეთ, ვარ დედი თქვენის დმირთსა!
მაგრამ ხომიცით, ეს რა ხალხია. ჩეენ აგრე
წყიდოთ, რაღა უნდა მოვიგოთო: «ისევე სა-
ქონელი ჩეენს დუქნებში დალპეს, ისა სჯობიან..»
ამ ხალხს სანამ ძალას არ აჩეენებს კაცი, თავი-
სას არ დაიშლის. კიდევ იმიტომ ეუბნება არ-
სენა.

სადაც ორმ შემოგეურებით, სუებელს დაგჭირთ
უდისა?

და როცა საახალუხეს ორ მანეთიანს თუმნათ
უფასებენ, მაშინ კი

მაშინ ჩვენი არსენი თითო მუშას წაადგისა.
იმ საახალუხესაც უფულოდ წარმევს და
ფულსაც. ამ მუშტის წადებას და ფულის გა-
მორთმევას, ერთის სიტყვით, დაშინებას, მაგალი-
თის მნიშვნელობა აქცის: თუ ისე არ მოიქეცით,
როგორც გეუბნებითო, უფრო სულ ცარიე-
ლები დამრჩებითო. ამ ღონისძიებით არსენას უნ-
და ხალხს შეღაერა მისცეს, შეუმსუქრებოს მძიე-

მე ტვირთი და მოსპონს ის მიზეზები, რაც კი
ჰქონდებს ხალხში სიღარიბესა.

ამისა გამო ხალხს როგორ არ უნდა უყვარ-
დეს არსენა! ვისაც ხალხი უყვარს და თავის სი-
ყვარულს საქმეებით აჩენს, იმას როგორ არ
შეიყვარებს. აბანოდგან გაპარული არსენა რომ
სიძე-სიდედრს ცხენს ართმევს, მაშინაც კი ა და
ის ფედაჭაცი დოცვადა; დამერთმა მშეიღობა მოგ-
ცეს!

სადაც წაბენდ-წამობენდე, არსენა, გაგიმარჯვდესა!
მდიდარს ართმებ, ლარიპს აძლევ — დამერთი როდი
წაგასდენსა.

გაპარენს ორ კვირას შემდეგ ქალაქში ჩამო-
დის და რა სიყვარულით უხვდება ხალხს, ჩენი
ქალაქის დარღიმანლი ხალხი. არსენას უყურებს,
როგორც გმირ კაცი.

მთელი ქალაქის ბიჭები შტრედის გუნდისთა მეშვეობა:
«დამერთს უშეველია არსენა ამიურთ განსაცდელსა».

სადაც მივა მივიტნებთან, უშელა დაუმნევენ სედა
რა დიღებაა არამც თუ უბრალო გლეხისა
თვის, არამედ ყოველი კაცისათვის ამისთანა მი-
გებება სკარეველოს თვალის, ჩვენა უყვარე-

ლი ქალაქისა. ქალაქს დღევანდლამდინ არსენა არ დავიწყებია, არსენა ამგვარათა ჰყავს მიჩნეული. უთურდ ცხალხი რალასაც კარგს უნდა ჰქედავდეს ამ კაცში, რომ ასე უყვარს და ასე თსუნებს, ის თავის გმირათ მიაჩნია და კაცი და ქალი იმას შენატრის, იმის კაცობას, იმის სიკუთხს და სითარხნეს: «ნეტავი შენ, რომ აგვთა კაცი გამოსულხარო». ჩვენი ტფილისის ქალს დღესაც არ დავიწყებიდ არსენა და როდესაც გაღერება მოჩიტებულ შვილს ქვეყნიერთბაზე, არსენას ამბავი ჭირდელი ამბავია იმის მითხობეცში, არსენას სახურერეპი ღჯახეპშიაც კი მოიპოვება: ეხლა მესტვირეებს რა სახით ეხვევა ხალხა არსენას სიმღერის დროსა. გრძელებებში არსენას ლექსი რომ გამოვიდა, უნდა ჩაგველოთ. გაზრებისკენ და გენახათ, რა სიხარულით კითხულობს ხალხი იმის ლექსებსა და ძძხას: ჩვენი არსენა გაცოცხლდაო». ეს ყველა გვ-მტკიცებს, რომ ხალხის შორეულ უცხო სიცოცხლეთ არ მიაჩნია არსენას სიცოცხლე და იმისი აზრები ძალიან არა ჰმორდება არსენას

აზრებსა. ყველას ამ დამოყვრებას თავისი საფუძველი ჩეცნს ძველსა და ხალს ისტორიულ ცხავრებაში აქვს, მაშასადამე ე' ხალხას სიყვარული და მეცობრობა ამითი უნდა ავხანათ.

ამ კაცის სიყვარული ამასთანავე დამყარებულია არსებას საკუთარ კაცურ თვისებაზე და ხასიათზე ყოველი კაცის თვისებას იმითი იცნობენ ხალმე; რა კაცია თავის მცნობ ამხანაგში, მტერში და მოყვარეში. გავშინჯოთ, მტრებს როგორ ეპყრობა არსენა? თავის მტრებს, თავის საკუთარ მტრებს თითქმის არას დასდევს და მხალოდ სახალხოდ სასაცილოდ იგდეს მტრების გუნდივით შეკრებილს ხალხში. აი ერთ შემთხვევაში რას ჩადის არსენა. ღვთაებობას მარტყოფში, სადაც ქალაქის ხალხი იკრიფება ხალმე. ამ დღეობაში, ერთი კაი გვარიშვილი, ქალაქელიც იქ მიბძანდა,

ფიჭსჭად დროშეა გეემართა, შიგნით შექა ცხენია.

გხეინაც ხო იქ ჟა ჟავდა, ზედ გადესჭა სელია.

როცა წირვა გამოვიდა, — იმისთ შედლი შენია, —

რომ დაინასა არსენამ: ა, გამარჯვება შენია!

ქალაქში რო შაოს მივდებდი, ასდა სო მოგახსწორია!
მაგ შეს ავეჯატებზედა შენით აიღე სელია.

ცოლი ეუბნება ქმარსა, შენთავათ მიეციო, თო-
რემ ყველა ოხრათ დაგრჩებაო;

შინლიანებ გადმოუგდო . . .

წამოიფინა არსენაშ: გამორბის როგორც მშველია!
არსენას ჯავრის ამოკრა ეს ხუმრობაა.

მეტის მეტი ჯავრი არსენას ჩაჰვა ფარსალა-
ნისა და დიდხანს დასდევდა მოსაკლავად. მოვი-
და ჭიშიყს, რომ იქ იპოვნოს და ჯავრი ამოი-
ყროს; მაგრამ მას უკან ჰეთიქრობს:

მაშინ საწყალი არსენა თავის გულში დაფიქრდესა:
თუთხმეტი წელიწადია, რაც შე ეაჩადათ დავდივარ,
გაცის ცოდვა არა მქებია.

ნათლი დედას ეუბნება: არას ვერჩი არაფერსა;
ფარსალანი ვაშატივე ჯერ მიორნს და მერე ღმერთსა,
ფარსალანს მაინც არ მოვკლამ, თუ გინდ რომ წინ
შემომხვდეს!

აი ესეთი დიდსულოვანია, რომ თავისი საკუთარი
ვაგლახი და მწუხარება არად მიაჩნია და აპატივებს;
სიკვდილით არ იმეტებს, მხოლოდ მარტო ცხენს
ართმევს ფარსალანსა.

ამ გვარათ თავის საკუთარის მტრისათვის არა დაუშავებიარა არსენას, არავისი სისხლი არ დაუღვრია და მხოლოდ უკანასკნელ შემთხვევაში, ხმალს ხმარობს, როდესაც გიორგი არ ეწვევა არსენასა და პურ-მარილს არ იღებს. როდესაც გეპატიურებიან, პურისა და ღვინის არ მიღება, უარის თქმა, ჩვენში დიდი შეურაცხყოფა. გიორგი თითქოს დასკინის არსენას, რომ შენ როგორ გამიბეჭდე მიწვევაო; შენი რო არა ვსვა, ჩემი არა მაქვსო და მცხეთაში ისიც წითელ პარასკევს ღვინო როგორ უნდა დალიოს კაც-მაო! ამ გაუპატიურებისათვის არსენა ხმალს უქნევს, მაგრამ ნუ კი გგონიათ რომ იმისი მოკულა უნდოდეს, არა,— ყუასა სცენს. შეშინებული გიორგი თავის დასაცველათ, ხმალს უქნევს და სჭრის მარჯვენასა. გიორგის ლეკის ბიჭი დამბაჩას ესვრის და ჰკლავს არსენასა. ეს არსენას სიკვდილი გეგონება, თითქოს შემთხვევითი სიკვდილი იყოსო; მაგრამ კარგათ რო დავაკვირდეთ, მეორე მხარესაც დავინახავთ. გიორგი სულიერი კაცია და აღათის ამსრულებელი; სალო-ცავად მიემგზავრება. არსენას აღათი ურათ მია-

ჩნია, თუნდა წითელი პარასკევიც იყოს თავი-
სებურათ შეეძლეთ. გიორგი მიწვევაზე აგინებს
წითელ პარასკევს ღვინის სმისათვის და ხალხი-
საგან პატივცემულ და მიღებულ ადათის გატე-
ხისათვის და, ამ არსენა ხალხის მოყვარე და
ხალხისაგან შეყვარებული, როდესაც ხალხის
ადათის ასრულებას უარსა ჰყოფს, და, აქაც თა-
ვისუფლება უნდა, როგორც ყოველთვისა ჰქონ-
დია — ამ დროს თითქოს ბედიც ხელს იღებს და
სიკვდილითა სჯის — არსენა ისე კვდება, როგორც
დაიწყო სიცოცხლე, ყოველს წინ უხვდება; ყვე-
ლა გარემოებას ხელს უბრუნებს, რაც კი იმის
ხასიათის წინააღმდეგია, თუნდა რომ ხალხისგა-
ნაც მიღებული იყოს.

ასე გმირული საქმე ამ სიკვდილშიაცა სჩანს.
მრთელმა იმისმა სიცოცხლემ ხალხის და თავის
პატიოსან სტკეტისთვის ბრძოლაში გაიარა. ხალ-
ხის დამჩაგვრელს გარემოებას სდევნის დაუ-
დგროველათ. მაგრამ თავის საკუთარის მტერს და-
ნაშაულობას პატივებს და ისუქებს. ხოლმე-
ეს თავისი კაცური მშვენიერი ღირსება თა-

თონ არსენასაც კარგა ესმის: ღირს იმისთანა კაცის დასჯა, რომელსაც მრთელი ხალხი აღარ უდგება და დასცინის? ღირს იმისთანა მტრის გაფუჭება, რომელიც ხალხს აუთვალწუნებია? არსენა დარწმუნებულია, რომ ხალხისაგან დაწუნებულს კაცს ბოლო აღარა აქვს. იქნება სამწუხაროდ არსენა სცდებოდეს; მაგრამ დარწმუნებულია, და აი ამისთვისაც ცოდვა არავისითავს არ უდვია, და მღვდელს რომ აღსარებას ეუბნება, მღვდლის ლაპარაკს ჰასუხს აძლევს:

ჰისთვის წამწუმენდავს უფრეს, კაცის ცოდვა არა მდევს.

მდიდარს ვართმებ, დარიბ ვაძლეს, ღმერთი როდი წამასდენსა;

საცა ტიტეველას გნახავ, ჩოხას ვიხდი და ვაცმევო.

სიკვდილამდის ესე მტკიცე აზრისაა არსენა, რომ თავის დღეში ცუდი არა უმოქმედია. რა და კაცის ცოდვა არ ადევს კისერზედ.

სიკვდილის დროსაც კი ღარიბის შეელის ფიქრი თან მიაქვს: იმისი ზრუნვა და სიცოცხლე გლეხის ცხოვრება რყო; მრთელს სიცოცხლეში და სიკვდილის ჭამსაცა ის არის: გიორგის ანდერძს ეუბნება:

ჰასახ შობკალი, გიორგი, ეს ჲირევა მაინც დამ-

ას დროში ისე ვიწერ არ ვარ და ცალდეს:

ჩემი შეზღაუსი თუმანი გასცში ერთ დიდ კლდეში
და დაკარგი გამოსახული და დაკარგი და დაკარგი;

მონაბეჭდი და მოახმარე და მოიპესა.

რაც სიცოცხლე, ის სიკვდილი, ნათქვამია. იმისი სიცოცხლე, ხალხის სიცოცხლე იყო; მწუ-
ხარება და იმედი ორისავე ერთი იყო და არსე-
ნას ცხოვრება ხალხის შემაგულიანებელი სი-
ცოცხლე იყო და ხალხის ცხოვრებისგამომთქმე-
ლია. ხალხი კიდევ აჲისთვის შეფრთინებით და
აღტაცებით უყურებს არსენასა, გულს უკეთებს,
ეწევა რაც შეუძლია. მაგრამ ფარსადანისთა-
ნა და მარტყოფში შეხვედრილ შარიან ფა-
ცებისთანანიც კი არიან. მარტობაში, მშე-
ერი ველათ და ტყე-ტყე სიარულს უნდება
ერთი და ორი წელიწადი კი არა, მრთელი ათი
თხუთმეტი წელიწადი. ამ ყოფაში სიცო-
ცხლეს ამჯობინებს ფარსადანის და შარი-
ან კაცებში სიცოცხლესა. იმას ისეთი ბუ-
ნება აქვს, ისეთი თავის თავის დაკმაყოფილფ-
ბის სურვილი აქვს, რომ ვერ შეურიგდება ცხო-
ვრებასა; ამიტომ რომ ამ ცხოვრების გარემო-

ება არ იცვლება. ძნელია ამგვარი, შეკაცრი და
სასტიკი ცხოვრება. შეზაფრს საღილის ჭმევის
დროს ერთხელ ეუბნება:

წელს არავინ მომარჩენსა;

ან თათარი მიღალატებს, ჭართვები არ მომარჩენსა.

თუ მაფათ ჩრავის მოძილამს, ხებით გამოიყოფილი

არ მომარჩენსა!

რა გარემოება უნდა მიადგეს კუცა, რომ სხვა
ქონებს კელარა ჰქედავდეს თავის გადასარჩენათ
სიკუდილს გარეთ! ვარსენას სიცოცხლე უყვარ-
და, მშვენიერი კაცურის სიცოცხლის მიედი ჰქო-
ნდა; მავრამ რადგან ფლიდმა წუთმა სოფელმა
უმიტყუნა, თვითონ არსენამაც იგი უარპყო, მა-
შიც ცხოვრება აღარე შუძლია დასურვილით
კუდება.

პ. ჰეტრიძე.

იოლანდის საბორი

(ტომას შურის ხათქამი, რესულიდამ გადმოდე
ბული) *).

არ დაგივიწყებ, არა არა!... ვიდრე ჰელეოს გული
ვიდრე შიღგა მე ძირლვა მის სისხლი და პირში სული,
ვიდრე ხიცოცხლის ჩემის ძაფი სტულ არ გაწყდება.
შენი, სამშობლოვ უქედურო, საღვა მექმნება.
ჭრი ცანჯულო! მაგ მწერალის სასით შენითა,
უამედობის წელეულით გულში, თვალში ცრემლითა
შენ უმტკბები სარ ჩემთვის ერველ იმა ძალუნებზე
რომელთაც ათბობს თვისუფლების მშენები მშე-

შენრომ, ვიშ ტურფავ, იშმნების ძლიერ—ძოლებული,
თავისუფალი, ბედნიერი და დიდებული,—
როგორც ლცხებით დღე და დამე მე მენატრები—
რა რიგ ამაფის სისარულით თავს მოგევლები!
თუმცა დიდების სკითა შენით მე დავჭრის(ზებოდი),
მაგრამ მაშინაც მეტად მე კერ მეუფარებოდი,
ვით მიუვართა დღეს-სკვდიანი, მჭმუნვარ-მწერა,

*) «Отец. Зап.» 1871 г., Декабрь.

გულდაკოდილი, მოღრუბლული და მკლოვალუ.

დე, დაგითოგუნოს მტერმა შენმა თავისუფლება,
დე, დაგდვას კისრად მძიმე ხუნდი, მძიმე ჭირთება!
ხოლო არც უფრო მწესარედა ჩვენ წინ იქნები,
მით უფრო მეტის გულის წვითა შენ გმიერები.
გით არ აღვენთვით სიეკარულით შენდამი ჩვენს,
როს, ვითა თვის შეილთ შელიკანი, გვაწოვებ შენ
შენსა უბიწო, წმინდა სისხლსა, რომელიც არა
მწვავის ტკივილით შენის წელულით გადმომდინარი.

ილა ჭავჭავაძე.

1872 წ. 5. თებერვალს.

ჩვენი საზოგადოების ქრონიკა

სხვ ა ნიშნები.

ლექსით გამაასება შევლსა და
ასალს თაობას შეა. ურთიერთ მომსმარებელთა
დუქნის დაწვა და იმისი მოსწავლება. ამსახაფილი-
თა თავნების შედგენა. — ურთიერთ ნდობის სა-
ზოგადოება (Общество взаимного кредита).
სავაჭრო ბაზის გაღება და იმის გეთილი სა-
ქმები შემდეგში. ჩვენი საზოგადოება და იმისი
უზრუნველობა და მოლო.

ეს 1872 წელიწადი მდიდარია მრავალგვარი
უცნაური ნიშნებითა. ზამთარი დადგა ზაფხულით
და გაზაფხული კი ზამთრით დგება. თუმცა
«დროების» უნამახვილი ფელტონისტი აგვიწერს
ამ წელს ყოვლად სრულს ზეციურის ნათელით
გაძრწყინვებულის, ოქროს გვირგვინრსანს და
კეთილ-სათანოებით შემკულის დედოფლის სახით,
მაგრამ მე კი ამ დედოფლალს შევამჩნიე ალმასის
კბილები და ამისგამო ის სულ სხვა სახით მე-
ჩვენა. იმის ბრიალა ხარბი თვალებისა მე ძრიელ

მეშინია. სწორეთ გაუმაძლარი რამ უნდა იყოს და მეშინიან ასეთი გაუმაძლარი შთამომავლობა არ დაბადოს, რომ სულ არ ჩაგვიტქას ჩეენი მიწა-წყლიანა. აბა მითხარით რა უგავს ამ წელს კეთილსათნო დედოფალისა. ჯერ არ დამდგარიყო, რომ ცისკამარა სისხლის ფრათ შეგვიღება: ესეც გაუმაძლრობის ნიშანი. როგორც დადგა, ისეთი მიწის ძვრა ასტეხა, რომ მთელი შემახიის ჭალაქი ერთ წამს, ჩანთქა, ერთ ლუკმათა არც ჰყოფნია: ესეც გაუმაძლრობის ნიშანი. სწორეთ საშიშია ეს წელი და ამატომაც იმის ნიშნების აღწერით მინდა გავათონილო ჩემი მკითხველები.

თითოეული დღისა და + თითოეული დღისა

• ესეც არის: არის ას თითოეული დღისა

• თითოეული დღისა და + თითოეული დღისა

• ასეც არის: არის ას თითოეული დღისა

• თითოეული დღისა და + თითოეული დღისა

ეს თრი წელიწადი არ გასულა მას აქეთ რაც თფილისში დაარსდა ერთნაირი საზოგადოება, რომელსაც ეწოდება ურთიერთ მომხდარებელ თა საზოგადოება (Общество взаимных по тре-

ნითელები). უმეტესი ნაწილი არის შემდგარი იმ პირებისაგან, რომელნიც მხოლოდ თავის სამ-
სახურით ცხოვრებენ, მიწა-წყალი ან რაიმე
მკვიდრი საკუთრება არა აქვთ; იმათ სცნეს, რომ
წვრილმანი მოვაჭრებისაგან ძალიან შეწუხე-
ბულნი იყენენ, და განიზრახეს .

თავნის შეგროვება ფულის გამოლებით, აშოგ-
ონთ თვის შორის მოთავე კაცები, ჩაბარები
იმათ ეს ფული და უთხრეს: «აი, ამ ფულით, და-
გვიძარეთ უცხოქვეყნებიდგან ყოველნაირი დღი-
ური მოთხოვნილებისთვის საჭირო საქონე-
ლი, რომ მუდამ ჩვენი შრომის ფული ერთი
ორათ არ გადადიოდეს წვრილმან ვაჭრების ხელ-
შიო. მართლაც გამართეს დუქანი და უწინ რომ
სამშაურათ უჯდებოდათ ახლა იმნაირი საქო-
ნელი ორშაურათ უღირსთ. ამას გარდა, ყოველ
სამი ოთხითვის განმავლობაში ანგარიშს შვრე-
ბიან და რაც მოგება რჩება დუქანში, იმას თვი-
თონ ისინი იყოფენ, რომელნიც ამ მომხმარე-
ბელ საზოგადოების წევრნი გამხდარან. ამ სა-
ზოგადოების დუქანს დიდი შურით უყურებდენ,

იმის გვერდით მყოფნი მედუქნები, რადგან უწინ-
დელი მუშტრები სულ იმ ერთ დუქანში მიღი-
ოდენ და სხვა დუქნებს პირლიას სტოვებდენ. ამ
ერთი თვის წინათ ერთს დილაზე შემემთხვა ად-
რიანათ იმ დუქნის წინ გავლა და ვნახე, რომ
ეს დუქანი სულ თავის საქონლიანა დამწვარ-
იყო. მე ამ შემთხვევამ
გამაკვირვა. შევჩერდი და დაუწყე ცქერა. ამ
დროს ერთი იმ საზოგადოების წევრთაგანი მო-
ვიდა ჩემთან და მითხრა: «თუ გინდჩ ლუკმა პუ-
რისთვის ბრძოლა, აბა ეს არისო, აი. — შეხედე
იმ დუქნის პატრონს, როგორის მწუხარე სახით
იცირება. მე დარწმუნებული ვარ, გულში, რომ
ჩაჰავდო, სულ სიხარულით ფეხქავს: ამ დუქ-
ნის მუშტრები სულ მე მომიგაო. ასეა ცნოვრე-
ბის წესი. ორ კვირას არ ჭაუვლია ეს დამწვარი
დუქანი ისევ განახლდა და ახლა უწინდულათვე
მიღის შიგ ვაჭრობა. ყოველი კაცი, ყოველი
საზოგადოება, ყოველი ერთი შთამომაცემობის
ერთ თავისი კეთილდღეობისთვის ცდილობს,
არაფითარს საშუალობას მრუდსა და მართალს

ამისთვის არ ზოგავს. მხოლოდ ჩვენ ქართველები ვართ მარტო უზრუნველნი და გლახებსავით სხვისი ხელის შემჩერენი. ეს უზრუნველობა იმ დენათ დიდია, რომ ჩვენივე ცხვირის წინ იკრიბებიან, უკავშირდებიან ერთმანეთს, ძმურათ იკრებენ ყოველნაირს ღონისძიებით ცხოვრების საშუალებას და ჩვენ კი მარტო პირდალებული შევჩერებივართ ამ თამაშას და მანამ ვიქნებით ასე პირდალებულები, სანამ....მაგრამ აქ სიტყვას გავწყვეტ.



ამ წლის დაშვებს შესღება მეორე უფრო ვრცელი განზრახვისთვის დაარსებული საზოგალოება, რომელთაც ეწოდება ურთიერთ ნდობის საზოგალოება (*Общество взаимного кредита*), რომლის წევრებათ შეუძლიანთ გახდენ ყოველთავე, ვინც უკანასკნელათ საჭ თუმანს მაინც შეიტანს, რომ ოცნაათი თუმნის რწმუნება ანუ ნდობა მაინც ექნეს. ამაზე ნაკლებს შეძლებულს კაცს აღარ იღებენ. მაშასადამე აქ უმისოთაც ფულიანს კაცებს ეძლევათ ათი იმდენი ნდობა,

რამდენიც ჯიბეში აქვთ. მაგალითად მე შემაქვეც
სამი თუმანი ძირი ფული და როცა დამჭირდე-
ბა შემეძლება საზოგადოებიდგან თუდათი თუ-
მანი ვისესხო ვინც ოცდათო თუმანს შეიტანს,
იმას სამასი თუმნის, ნდობა აქვს და ვინც სამასი
თუმანს შეიტანს იმას სამიათასთ თუმნის მოხერ-
ხებას აძლევს საზოგადოება; ასერომ საზოგადო-
ება უმისოთაც შეძლებულს კაცებს ათი იმდენი
შეძლების ღონისძიებას აძლევს თვის ჯიბის გასა-
სკელათ და ცხოვრების გასაუმჯობესებლათ. ბევრი
ისეთი კაცია, რომელიც შეძლებულია და იმათ
ზოგჯერ ძალიან სასარგებლო საქმე გაუვლის
თვალ წინ ხელის მოხაკვდებლათ და ჯიბის გა-
სამდიდრებლათ, მაგრამ იმდროს ფული რომ
არა აქვს ძალაუნებურათ ხელიდგან და შევებს ამისთან
სასარგებლო საქმეს და რჩება
ისევ უწინდევლს შეძლების კვალობაზე. ახლა
ურთიერთ ნდობის საზოგადოება ყოველს ამის-
თანა კაცის ხელს უმართავს ყოვლის შემთხვევ-
ვით სასარგებლოს და ამ შემთხვევაში აძლევს
იმას ათჯერ მეტს მოხერხებას თავის გასამდიდ

რებლათ. უნდა კოქვათ, რომ ამ საზოგადოების წევრებიც მომეტებულ ნაწილათ ისინი არიან, რომელნიც მხოლოდ ან ჯამაგირით ცხოვრებენ, ან წერილმანს ვაჭრობაში არიან. მაშა-სადამე ჩვენი ქვეყნის მკვიდრს მცხოვრებლებს არც ამ ესაზოგადოებაში შეესყლებათ, რადგან ერთი რომ ქალაქებების არიან და მეორე, — თითო თრიოლა გროში თუ ფირზეში უჭირების ჩვენს სოფლებს, თავის თვალის მიზანის უნდება...



შაგრამ ყველაზე უფრო ცხადი და ჩერი ყურადღების მისაქცევი ამ წელს დაფუძნებული საქმე გახლავს ტუილისის სავაჭრო ბანკი. ამ 3 ათას ან 4 დაწესებულების გასამართავათ შეფრთვდა პირველი ტუილისის სოფლოვრები, რომელნიც აი ამისთანა მოსაზრებით შეუდგენ სავაჭრო ბანკის დაწესებას: ჩვენ რომელთაც გვაქვს ასი და თრასი ათასი მანეთის შეძლება, შეგვხდება, რომ როცა ჩვენ გვინდა შაშინ ამდენი ფული ხელში არა გვაქვს, ზოგჯერ ისეთი ფოდრატები, ან იჯარები არის ასაღები, სადაც

ერთი მიღიონი ფულის სამუშაოა. ყოველს ჩვენთაგანს ძალიან კარგათ შეეძლო ამისთანა დიდი საქმის აღება და რაც შეძლება გვაქვს ერთი იმდენი ფული რამდენიმე წლის განმავალობაში, ჯიბეში ჩაგვეჩრიალებინა. ამისთანა სარგებლიანობა, რასაკეირველია, ყოველს ჩვენთაგანს უშისოთაც კარგათ ხელ გათფობილებს, ჭიდევ უფრო გაგვათბობდა, მაგრამ რადგან ხელში ბლომათ ფული არა გვაქვს, ხშირათ ამისთან სასარგებლო საქმეები გვეკარგებიან.

«ვისაც აქვს მიეცეს და მიემატოს». რა გიჟი ვიქნებით, რომ შემდეგშიაც ასეთი კარგი მოსავლიანი შემთხვევაები ხელიდგან გაუშვათ. დრო არის ვიფიქროთ ამ საგანზედ და გავმართოთ ისეთი ბანკი, სადაც ყოველმა ჩვენგანმა შეიტანოს სასარგებლოთ თავისი ფულები, რომელნიც ახლა ან ზანდუკში გვიყრია უსარგებლოთ, ან სახელმწიფო ბანკში ოთხი პროცენტის სარგებლითო. ჩვენი ბანკი ერთი, რომ ყოველს ფულის მეპატრონებს, სახელმწიფო ბანკზე ბერათ

მომეტებულს სარგებელს მისცემს და მეორეც
ისა, რომ დღეს მე შემემთხვა დიდი ფოდრატის
აღება, სადაც ჩემსა და თქვენს ფულებს დავხა-
რჯავ, მერე გათავების დროს თავნსა და თავის
ტოლა სარგებელს ამოვიღებ: თქვენსას ისევ
ბანკს ჩავაბარებ და მე კი მოგებული ფულით
ერთი ორათ გაფილიღრდებით ხეალ თქვენ შეგვ-
დებათ ამ ნაირი შემთხვევა, ზეგ მესამეს და ამ
სახით რაც რამ სასარგებლო საჭმე იქნება ჩვენს
ქვეყანაში, სულ ჩენ დაგროჩება

• • • • ყოველმა კაცმა თავისთვის
უნდა იზრუნოსო» დაახლოებით ამისთანა მოსა-
ზრებით ხელმძღვანელობდენ ის პატიო ისანი
და შეძლებული თფილისის სოვდოვრები, რო-
მელთაც გახსნეს ამ წელს სავაჭრო ბანკი.

ამ ზემოთ მოყვანილი ნიშნებიდგან ცხადათ
შეიტყობს ყოველი ცნობის მოყვარე მკითხვე-
ლი რომ ტფილისში წელს დაიძრა მთელი მო-
ვაჭრე და ჯამაგირით მცხოვრები საზოგადოება,
რომელთაც სამკვიდრო პური, ესე იგი მიწა
წყალი არა აქვთ, მაგრამ აქვთ ან ფული, ან

კარგი ჯამაგირიანი აღაგები, ამას გარდა აქვთ
კარგათ განათლებული, ან მრავალგვარი გამო-
ცდილებით გაღვიძებული გონება, და თი, ამ
ორის საშუალებით აღჭურვილი ნაწილი თფილი-
სის მცხოვრებლებისა შეუდგა დიდი ფულის მო-
გროვებას საერთო მოქმედებისთვის. ამ საერთო
მოქმედებით უნდათ მოიპოვონ თავისი სამკუტ-
დრებელიცა. ეჭვი არ არის, ადრე თუ გვიან კა-
ვკასიის სიმდიდრე და აღებმიცემობაც იმათს
ხელში იქნება. ღმერთმან მოსცა კაცს გრძება
და უთხრა, თუ კარგათ ავარჯიშებ შენს გონე-
ბას, ქვეყანაც შენი იქნებაო. მაშასადამე ჩვენს
შხარეში მომავალიც ამ ზემოხსენებულ გონე-
ბიან ჟა ფულიან კაცების არის.



ახლა შევადაროთ ჩვენი ქართველების ესე
იგი ჩვენი ქვეყნის ბატონ-ყმის მდგომარეობაა ამ.
დიდს სავაჭრო და სამოხელო მოძრაობის ნიშ-
ნებს. მე მინდა მხოლოდ ორი სიტყვით გამოვ-
ხატო მთელი ამ უკანასკნელი რვა ცხრა წლის
შზრუნველობა ჩვენის საზოგადოებისათვის ცხო-

ცრებაზე, რომ თვითონ მკითხველი თავისთავათ
მოეგოს გონებას თავს მომავალ ბედის შესახებ;
სანამ ყმებს გამოიყვანდენ პატონების უწინდელს
დამოკიდებულებიდგან ყველანი დიდი და პატა-
რა სულ იმას იგლოვდენ: რა გვეშველება, ურ-
მათოთ, როგორ შეგვიძლია ცხოვრებაო: ზოგი
ხმამაღლა ყვიროდა ამას, ზოგი თავჩაკიდებული
ცხვირჩამოშვებული თავის გულს აკვედებოდა
და ხმამაღლა სიტყვის თქმისათვის ხმაც აღარ
მოსდევდა, ისე დაცემული იყო სულითა. ბო-
ლოს გადაწყდა ეს მძიმე ამბავიც და ამას-
თან გაიხსნა ხაზინა ყმების ფულების დასარიგე-
ბლათ. მანეთების ჩხრიალი რომ გაიგონეს, ყვე-
ლამ თვალები გამოაჭყიტა, ყველას გულში იმფ-
ლი შეუვიდა: ამ ყმების ფულს ვარგათ წაუძღვ-
ებით, გავასესხებთ და სარგებლით ვიცხოვრე-
ბთო. მართლაც ფული მიიღეს, ცოტა ხანი გა-
ვიდა, ფულს არავინ სესხულობდა; იმ დროს
აბა ვინ ისესხებდა?. ყველა ყმების ფულით იყო
გამძღარი. აქეთ მოიხედეს, იქით მიიხედეს, მაგ-
რამ ვერასფერს საქმეში ვერ გამოიყენეს: ვისაც

ალაგი ქონდა — ქუთაისში — სახლები გაიკუთა და
ტფილისის გუბერნაციი მომეტებული ნაწილი
ამ ფულებისა წინათ აღებულ პრიკაზის ვალში.
მისცეს. რაც ჯიბეშო დარჩათ, იმითო გამარტ
თეს ქალალდის თამაშობა. შეიქნარიამდენიმე
თვეს ძილის ტეხა, ლურჯ მაუდიანს სტოლების
გრძეშემო ყველა აპრიალებული სახით რცები
რებოდა, ყოველს მოთამაშეს თველი წურწუ
რით გადმოდიოდა, თითქოს დიდს საერთო საჭ
მის ძიებაში ყოველიყოს ქართული იმის გონება.
ერთითვე კიდევ გავიდა და მომეტებულს ჩენს თა
ვად აზნაურობას ოფლი პირზე შეშრა, თვალები
ყველას ჩაცვინული და დალურჯებული შეექნა, პი
რის კანები ჩაყვითლებული, ჭუქებო ჩაშავებუ
ლი, ცხვირები ჩამოშვებულნი, ჯიბუ ცარიელნი,
ჭურეს მძიმე ტვირთიანები, ხვალინდელი ლუკ
მისთვის დადიოდენ და იახლა ცკიდევ უფრო
ღრმათ და უნუგეშოთ აოხრავდენ, ვანამცუყმე
ბის უანთავისუფლების მოლოდების წინათ ამის
შემდეგ ერთიღა იმედი კიდევ დარჩათ ეს იყო
საზოგადო ბანკის დაარსების სურვილი იმყების

ფულებიდგან, რომელნიც ხაზინაში დაარჩინეს, ეს იყო რამდენიმე ასიმითასი მანეთი. ჩვენი თავადაზნაურების უკანასკნელი იმედი ამ ფულზედა არის დარჩენილი. მაგრამ როგორც ყველამ კარგათ უიცით ეს რათხისუთიწელიწადი სულ ჯე საქმეზე ლაპარაკობენ, ადგენენ აზრს, სწერენ მოსაზრებაებს, ყვირიან და აქამომდე არა ეშველი რაც არც ავათ და არც კარგით, ბანკის საქმის დაბოლოვებას. საზნაურო ბანკი ჯერ კიდევ არა გვაძვს და ის კი არა ჩვენ როგორც გავიგეთ ამ ბოლოს დროს იმერეთის თავად-აზნაურობას ასე გადაუწყვეტია: რადგან ყოველი ჩვენგანი ძრიელ საჭიროებს ფულსაო, ის ორი კავერკი, რომელიც ბანკის შესაღენათ დაგვრჩენია ხაზინაში, სჯობია, გამოვიტანოთ და საჭმეში გამოვიყენოთო.

აი, ასეთი გახლუეს ჩვენი საზოგადოების რვაწლის მოქმედება ჰავის მომავლი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. ცხადია რომ მომავალი ამ საზოგადოებას არ უნდა ეკუთნოდეს, როგორც ყოველ საქმეში უზრუნველს და ეს თა-

ობა, ადრე თუ გვიან, უნდა დასუსტდეს და ამის
ალაგო უნდა დარჩეს იმ ქორფა; ლონით და
მოძრაობით სავსე, საზოგადოებას, რომელმაც
ასე მკეირცხლათ წამოპყო თავი ამ წელს ქალა-
ჭში და პირველი თავისი მოძრაობა გამოაცხა-
და ძმურის დაკავშირებით უთმანეთთან ერთ-
მანეთის დეთილ ღეობისთვის. ამ შემთხვევაში
ჩვენითავადაზნაურობა არის სურათი ძველის ლონე
გამოლეულის საზოგადოებისა; ხოლო ის ქალაჭის
საზოგადოება, რომელმაც ასეთი სიმკეირცხლით
გამართა ურთიერთ მომხმარებელი საზოგადო-
ება (общество потребителей), ურთიერთ ნდო-
ბის საზოგადოება (общество взаимной кредити-
ти) და სავაჭრო ბანკი, — ის არის მემკვდე-
კუთალ დღეობით სავსე მომავლის ცხოვრებისა
და ამისი ხვედრი საუკუნო ცხოვრებაა ამა სოფ-
ლათ. ესე ყოველივე შემაგონა ამ წლის უცნა-
ურის ნიშნებს აღწერამ და მკითხველსაც ამ
წემომოყვანილის აზრით ვაფთხილებ მომავა-
ლში.

გ. წერეთელი.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები

მ ნ ა თ ო ბ ი ა, იანვარი 1872 წელი.

ჩვენ თვალწინ ძევს იანვრის წიგნი «მნათობისა». ზოგიერთი რიცხანი სტატიების წყალობით ეს პირველი წიგნი მართლაც უკეთესია იმის წინანდელს წიგნებზე. მაგრამ ეს ვინ ჩამჯდარა ამ ჟურნალში ასე შეკიდრად, თავიც დაბოლოც ამ ჟურნალისა ხელში უჭირავს, მოჭკრის და მოიძახის, აუყენებია კორიანტელი მტვერი, რომლითაც თვალებს გვივსებს გამოფხიბლების მაგიერათ. ვინ არის ეგე მხედარი, რომელიც მოგვძახის, მომეცით ბურთი და მოუდანი...მე ვარ, თორემ თქვენ ვინ ყრიხართო?

ებე არს გმირი ის ფურცელაძე,
გინ ლანძღვა სტურაცნა «კრებულ-დორებას»,

გინ ბევრ ფურცლოვან სტატიებსა სწერს
და არ ადევნებს იმათ გონიერს.

დიალ, ჩეენდა სამწუხაროთ უნდა ვთქვათ,
რომ იანვრის წიგნი მომეტებულ ნაწილათ ფურ-
ცლაძის სტატიებით არის დასუსტებული. რასა-
კუირველია უფ. ფურცლაძე აშ სიტყვებს რომ
გაიგონებს, მაშინვე წარსლვება თავის მოძმე
«მნათობის» ლიტერატორების წინადაღისტყვის:
«აი, როგორი ჯავრიანები არიან «კრებულ-დრო-
ების» სიტნიკოვები!!», ცხადათ რომ გამოვხატე
იმათი უნიჭოება და უვარებისობა; ამიტომაც შე-
შურდათ «მნათობში» ჩემი ბატონობა და იძა-
ხიან «მნათობს», ფურცლაძე ახდენსო. ვესმისთ?
მას აქეთ, რაც მე «მნათობში» ჩავდგი ფეხი,
«კრებულ-დროების» მწერლებს ჭილი და-
ფრთხოთ, ჩემი დიდი შიში და ქრძალვა აქეთ.
მაგრამჩენ მაინცვიტყვით: ვაი უფროიში მურნალის
.ჭრალი, ჟაცა უფ. დ ურცლაძე ფეხს ჩადგამს..
აი, თუნდ ეს იანვრის წიგნი მნათობისა ვვილოთ:
რამდენჯერ აქვს აშ წიგნს ზოგიერთ მსჯელო-
ბაში ფეხი წამტვრებული სულ ან ფურცლაძის

წყალობით. ჩვენ აქ მარტო რამდენსამე ყვავილს
მოვკრეფავთ ამ დღიდი კრიტიკულის სტატიებიდგან.
საფუძვლიანათ და დაწერილებით განხილვა
როგორც «მაცი ხვიტიასი», აგრეთვე დიმიტრი
ბაქრაძის ისტორიისა და თაფითონ ამისტორიის
დაფასებაც შემდეგ «კრებულის» წიგნებისთვის
შეგვინდვია. ჩვენ აქ მხოლოდ უფ. ფურცელას
ძის შეცდომებით გვიჩდა შევაქციოთ მკით-
ხველები.

უ. ფურცელაძე თავის ლირს შესანიშნავს კრიტიკულ სტატიას: «ააქართველო თხუზულება დიმიტრი ბაქრაძისათ» იწყებს ამისტიკებით: «ვგვანებ, არახალხში არ პრის ბრძან თაყვანის ცემა, რომელისამე მწერლებისა და სრული უყურადლებობა ზოგიერთებისა, როგორც ჩვენში... შაშინ როდესაც ჩვენი ლიტერატურა აღარ ვვასცენებს გ. წერეთლებისა და სკანდელების ჭებით, ამას დარჩა შეუნიშნავი ისტორიული თხუზულება დამიტრი ბაქრაძისა...» და კიდევ, კიდევ გამოიცან მკითხველო, კიდევ რა დაგრჩათ შეუნიშნავი, კრდევ, კიდევ... — «გიორგი... სა კაძე, ო, თხუ-

ზულება ანტ. ფურცელაძისა. გარაქალა მკითხველოვანი გამოიცან: შენ დაგრჩა ოც მოქმედებიანი და ორას გამოსვლიანი ისტორიული დრამა, დრამა ჩვენის დიდის მწერლის უფ. ანტონ ფურცელაძისა. მართლაც რომ ეს საკვირველი დიდი და უზარმაზარი მოვლენა ქართული ლიტერატურისა შენ დაგრჩა უყურადღებოთ და რაღაც უმგზავსო «ჯიბრზე» და «მგზავრის წერილებზე» ან «სადღეგრძელოზე» ამდენი ილაყბე, რომ თავი მოგვაბეჭრე ჩვენს ლიტერატურაში. განა ლირდა!... მართლაც რომ არ ლირდა. მაგრამ წარჩინებული მწერლის სვე ასეთია. ყოველი დიდი მწერალი, როგორც მაგალითათ დიდი კრიტიკოსი ანტონ ფურცელაძე (*), დიდი ლრამატურგი (**), იგივე ანტონ ფურცელაძე, დიდი რომანისტი (***) იგივე ანტონ ფურცელაძე, დიდი ლირიკოსი (****) და სატირიკოსი, იგივე ანტ. ფურცელაძე.

**) ისილე 1872 წლის იანვრის «მნათობის წიგნი».*

***) ისილე ისტორიური ჟორნალი «გილგი საჟამე».*

****) ისილე «სამის თავგარდასავლები» მოთხოვნება ან. ფურცელაძისა, «ცისკარი» 1867 წელი.*

*****) ისილე წინანდები წლების «ცისკარები».*

ლაძე, და ამისთანა დიდი უზარმაზარი ლიტერატორი თავის თხუზულებიანა ლიტერატურას და მკითხველებს შეუნიშნავი ზარჩათ?!! მაგაც არ დავიჯერებ. სულ ავრე მულაყრუ და უგებარი როგორ იქნებიან ჩვენი ლიტერატორები. მართლაც, გადავხედოთ ძველი ჟურნალები და მაშინ დავრწმუნდებით, რომ ეს ბობოლაები ძალიან ძველიდგან არიან ჩვენს პერიოდულს ლიტერატურაში დაფასებულნი და ნაჭებნი.

რაიცა შეეხება უფ. დიმიტრი ბაქრაძეს ვერც იმაზე ვიტყვით, რომ ის არ იყოს ნაცნობი ჩვენს ლიტერატურაში. მას აქეთ, რაც უფ. დიმიტრი ბაქრაძემ მოიგონა ერთი შესანიშნავი თეორია, რომლითაც მტკიცდება, რომ საქართველოს ახალგაზდობას ქალსა და ვაჟს იმისთვის ეწავებოდენ ასეთის გულის ნდომით, იმისთვის იტაცებდენ ასე უწყალოდ სპარსელები და თათრები, რომ იმათით აუმჯობესებდენ თავიანთ ტოს მის სისხლს და ახლა რაც სპარსეტში და ოსმალები ლამაზი ქალი ან ვაჟი მოიპოება, სულ საქართველოს ქალვაჟების სისხლით არიან ვა-

ლამაზებულნი — მე ვამბობ — ამ თეორიის მოგონების შემდეგ უფ. დიმიტრი ბაქრაძის სახელი, როგორც ჰკვიანი მწერლისა, სწორეთ ძალიან განთქმულია. და ყველანიც ვაქებთ არამც თუ იმის თეორიას, იმის მოძველო უნასაც, იმის ძველებულ ისტორიასაც და იმის ძველებულ მწერლობასაც და რამდენათაც ძველებულია იმისი მწერლობა, იმდენათ საუკეთესოთ შიგვაჩნია იგი ჩვენში ყოველი იარაღი: ხმალი, თოფი და კაციც სულ სიძველით არიან ნაქებნი. ძველ ყირიმის თოფს რა შეედრება, ძველ ხორასნის ხმალს რა შეედრება, ძველი კაცისთანა მოსწრებული სიტყვა ვისა აქვს. მაში სიტყუის (უკაცროვათ ამ უდარბახსლო სიტყვის თქმაზე: მინდოდა მეთქვა: უმართლო არის) უფ. ფურცელაძე, რომ ჩვენ დიმიტრი ბაქრაძეს არ უკნობდეთ მაგისთანა პატიოსანს ძველს მწერლას!

მე მინდა კიდევ რამდენსამე სიცარუეში ვამხილო ჩვენი ბობოლა ანტ. ფურცელაძეგანა იმისთვის კიარავ რომ მე იმის ჯავრი მჭირდეს.

ლმერთმან მაშოროს! არა იმისთვის, რომ მე
ან ფურცელაძეს დიდს პატივს ვსცემ, მი-
ყვარს იგი, როგორც ჩვენი ქვეყნის უპირველესი
ნიჭიერი კაცი და არ მინდა, რომ სიცრუეში
ძალიან გაერთოს და ამითი თავისს დიდს და
მრავალ გვარს ნიჭის ავნოს რამე —

შუ. ან ტონ ფურცელაძე შართალი
არ არის, როდესაც მაცი ხვიტიას და ძვირიას ან
ეკას და სხვებს თავის მოთხრობის გვამებს აღა-
ჰარავებს მეგრულს კილოზე ამგვარათ: (იხილე
იანვრის მნათობის გვერდი)

«—რა ჰქენ ეგ, რა! — ეუბნებოდა მთლათ
სისხლ აღუღებული მაცი ძვირიას: — რავა გერ
მეტე ჭრისტიანი კაცი ამხანაგი, შე აულმერთო!
თანთარი არ იზამს მაგას, რაც შენა —

— აპა, ვის უქრახოდი შენ ბიჭობას, რომ
თვით ლა ა ჩარი ყოფილხარ? — აპა ბიჭობა
მაგისა რო თავი მახეს გადავანარ ჩუნ ია
და სხვ. ამგვარები »

ვისაც კარგათ მიუგდია, ყურა შეგრულისა და
იმერული კილოსთვის, ის ყოველთვის ითაკი-

ლებს ამისთანა მეგრელების ლაპარაკს. მეგრელმა არ იცის, რაარის სიტყვა: «ლაჩარი»; ამას მარტო ქართლში და კახეთში ხმარობენ. მეგრელი არც «გადაუანარჩუნოს» იტყვის. ეს არის ქართულის კილო. უფრო ანტონ ფურცელაძეს შეუტყვია, რომ იმერეთში და სამეგრელოში იციან «კი», წაიღეს მაგიერათ ხმარობენ «წეიღე», გაიმეტას მაგიერათ «გეიმეტა» და მიჰყოლია მეგრულ მოთხრობების წერას და იმის კილოზე ლაპარაკს, თუმცა აქაური ცხოვრების ლაპარაკის კილოსი კვალიც არიცის. მაშენათ შეუტოპავს ამისთანა თავის უგებარს საჭმეში უფრო ფურცელაძეს — იტყვის მკითხველი.

— იმისთვის, ჩემო შეკითხველო, რომ ის გაზვიადებული მწერალი გახლავს და ამისთვის ყოველივე გაზვიადებით იცის. აბა წარმოიდგინე მკითხველო, რა იქნება აშაზე გაზვიადებული ამბავი: კაცს ცხენი თავს დაეცა, მერე გულში თოფი დასცეს, ტყვიამ გული გაუხვრიტა და ამისთანა კაცი კიდევ ისკუპებს, გადახტება ორ საჭენზე, ეცემა თავის მკელელს და ხანჯლით

მოქალაკეს, ესე იგი მკვდარი კაცი იმდენს შე-
რება, რომ გაცოცხლდება და თავის მკვლელს
ხანჯალს გულზე ასობს. მაგრამ ამ სცენას თვით
თონ ანტონ ფურცელაძეს ვალაპარაკებ, ისა
სჯობია:

— სად წასვალ, სად! — დაქვირა ამას ძგვიბიშ.
გავარდა ტამბაჩა ძგვიბისა და გაუარა მაცის თეძლ-
ში. ამავე ღრუს გავარდა მაცის ტამბაჩა და მძიმეთ
დაჭრილი შებლში ძგვიბის ცხენი, მედგა ყალებს, და-
კცა და მოიტანა ძგვიბი ქვეშ. მაციმ იძრლ თოვი
ძგვაბი მსწრაფლათ გამოქვრა ცხენის ქვეშიდამ, იფე-
თქმა მაცის თოვისა და ძგვიბი გაეხვა თოვის წამ-
ლის გომელში. ტყვიამ გაუარა იმას გულში. მაგრამ
მინამ ძგვიბი გრძნობდა ამას, ის გამწარებული კეთ-
ხვის სისწრაფით ერთის ნახტომით დაიბადა მაცი-
სთან. მაციმ იძრლ სანჯალი და ორივემ თვალის და-
სამსამების უმაღლ ჩაუსევეს თითო სელით ერთმანერთს
გულზედ, და გადახვეულნი დაეშვნენ მისა.

ამის შემდეგ დაუჯერე შენ ამისთანა მწე-
რალს... მაგრამ უკაცრავათ. არც სულ ასე ტუ-
ილით არის გატენილი იმისი სტატიები. იქ თქვენ

იპოვნით დიდ ჭეშმარიტების კვალს და არც მე წავართშევ იმას მკვიდრს ღირსებას: არ, ამისგან მო არ შეგვიძლიან არა ესთქვათ, რომ იგი არს დიდი და შესანიშნავი ჩვენს მრწიგნობრობაში: და იმედიცა მაქვს ამისთანა ქების შემდეგ უფრო. ფურცელაძე ვეღარ იტყვის, რომ სიტნიკოვები გ. წერეთლებს და სკანდელებს აქებენო, მე და დიმიტრი ბაქრაძეს კი გვივიწყებენო: მაშ შეუზღეთ იმ ალაგების ჩვენებას, სადაც უფრო დიმიტრი ბაქრაძე დიდს ანტ. ფურცელაძეს ცამიდის ჰყავს აყვანილი.

ან. ფურცელაძე ლალალება:

მე მანამ შეუდიებოდე 『საქათვეულოზედ』 ლაპარაკს, საჭიროა თვალი გადავალოთ ბოვლის 『ისტორიას ინგლიზეთის ცივილიზაციისას』 და დრეპერის 『სტორიას ეპილოის შესახის წარმატებისას』; რომელთა მეთოდზედ იწყობს თვის პირველს ასაჭართველოს წიგნს ბაქრაძე: (კარგათ შენიშნე, მეით სკელონ დიმიტრი ბაქრაძე სწერს ბოვლას და დრეპერის შეთოდზე. ესე იგი იმას უწერთა ამ თრიკე ერთ კრთმანეთის წინააღმდეგ მეთოდზე, ან ამ თრი წინააღმდეგი მეთოდიდგან შეუდგენია ერთი მეთოდი.

რომელსაინათ უნდა გაიგოს კაცება. ზემოსსენებული ანტ. ფურცელაძის სიტყვები, არ გიცით, მაგრამ ორივე აზრი ვი მეტად შესანიშნავია, პატივი იმათ დამზეს).

შემდეგ უფრო ანურცელაძე შეუდგება როგორც დრეპერის ისე ბოკლის უმთავრესი აზრების დარღვევას და არღვევს კიდეც. (ნეტარ საქართველოს, რომელიც ამისთანა მწერლების წყალობით ევროპის წარჩინებულს მწერლებს აჩვენებს ხოლმე იმათ შეცდომას. ამიტომაც გვსურს, რომ ანტონ ფურცელაძე სტატიები გადმოითარებნოს ფრანცუზულათ, ინგლიზურათ და ნემეცურათ. შეიტყონ და... იმათაც თავის სამეცნიერო შეცდომები. მკითხველო, მოიკითხე, იქნება ვინშე გამოჩნდეს ზემოხსენებული სრატიების სათარგმნელათ; თუ არა და, მაშინ ამ საქმეს თვითონ ანტ. ფურცელაძე ითავებს).

ამ ბოჭლისა და დარცელის მოჯლე განხილვით — განაგრძობს ან. ფურცელაძე — ძე მეონდა სახეში მეჩვენებინა მკითხველისთვის ნამდვილი მნიშვნელობა ისტორიისა და ჟას უნდა მოეჭრ დეს რიგიანი მეისტორიესგან. მართალია, ეს გარ-

ხილვა «მნათობის» მომეტებული ნაწილი მკითხველისთვის იქნება მძიმე, ან სრულადაც გაუგრძნებელი (ეგ მართალია); მაგრამ მე მარტო იმ გვარი მკითხველები არა მქონდა სახე ში. მე მქონდა სახე ში უფრო ის მკითხველი, რომელიც სრულის გრძებით კითხულობენ დროს სამეცნიერო წიგნთაც. მაგალითად დრეპერის ისტორია ნამდვილ მეცნიერულ სწავლათ მიაჩნიათ მომეტებულ ნაწილთ იმათ, ვისითანაც კი მე შემსყედრია ლაპარაკი დრეპერზედ. თვით დაწინაურებულ მწერალთაგანაც რესულს ლიტერატურაში ისმის დრეპერის აზრების სარწმუნოთ მიღება. ამას გარდა, როგორც ზემოთაც მაქს ნათევამი, ბაქრაძის «საქართველო» არის დრეპერისა და ბოგლის შეთოდზედ დაწეული. ამისგამო ამათი განხილვა იუ აუცილებელი (კარგათაც განუხილავს, სწორე მოგახსენოთ.)

ჩვენდა სასიამოვნოთ ბაქრაძე არ გაჲყოლია შემცდორთ აზრთ დრეპერისთა და სწერს თავისუფლათ შესასებ ამ საგნებისა. ბაქრაძის წიგნი ჩვენს ლიტერატურაში არის შესანიშნავ მოვლინება; ის ამ წიგნში კამოვიდა რეტრინიდამ ძველთა მეისტორიკოს, და დაადგა ბოგლისგნით საჩვენებს გვას. შესახვა ის ტორიისა იმდენათ, რამდენათაც კი ნებას აძლევენ მასალანი.

თმ პირველ წიგნში ბაქტია სწორეთ ფიზიოლო-
გიკათ შეუდგა ჩვენს ისტორიას (თქვენმა მზემ,
ძალიან ცუდი საქმე მოსვლის თავიდგანც ამ
ისტორიას, თუ მართლა ავტორი იმას ფიზიო-
ლოლიურათ შეუდგა).

ბაქტია ამ წიგნით ცდალობს შეასრულოს სხვა
ის ტომის შეაფას მოთხოვნილებათ და ამ წიგნით
გვამჟღვს იმედს, რომ ამისი ისტორია იქნება იმდე-
ნათ და ასი ბოკლის სწავლისა დამდესთაც კი შეა-
მჟება ბესრულება ამ ჩვენს უმასალობასა და გამოუ-
გებელობაში. ამასთან იმედია, რომ ის, როგორც
ამ პირველს წიგნში, ასცდება დოქტერისა და დოქტე-
რის მსგავსთ სხვათა შეისტორიეთა შეცდომიდებათ.

წეტავი საქართველოს, რომ იმას ან ფურცე-
ლაძის გარდა დიმიტრი ბაქტიაშვილები მეისტორიების
დასმი დოკტორზე და ბოკლზე წინ წამდგარა: აი,
ჩემთვის მკითხველოვან ანტ. ფურცელაძის სიპრიძის
ნაცენტი დამას შემდგვრმოლი და წუ დაუნთებ
იმას თანთელს და წუმეც გუნდრუსა, რომას
რომელმაც თავის ჭკუის დასალით, რმავე ანტ.
ფურცელაძის წყალობით, ასე ჩამალლა და და-
აწინურს ეკრანის ერებს შესრულება ჩემის გაჭირე-
ბულია შემშეულით წყლში მოხტილი არმილი-
ონიანი საქართველოს ერი.

ანტონ ფურცელაძესა და იმის სტატიებს რომ
თვალი შოგაშორით «მნათობში» არის რანდენი-
მე რიგიანი ლექსები «ქართული გლეხის» გარ-
და—ლომაურისა. ეს ლექსი საცუდავათ
არის მიბაძული ილ. ჭავჭავაძის ლექსისა «მუშა»,
მაგრამ რამდენათაც უკანასკნელი ლექსი გულ-
მხურვალე თანაგრძნობას აღძრავს დაჩაგრულ
მოძმებისადმი მკითხველის გულში; იმდენათ
ლომაურის ლექსი აღვიძებს შეწყალებას თვითონ
იმის დამწერისადმი. «მნათობს» ორი რიგიანი
მთარგმნელი ჰყავს უფ. იოსებ ბაქრაძე და ნ.
ავალიშვილი. ამათ თუ მოანდომეს და რიგიან
თხზულებას მოჰკიდეს ხელი, უეჭველათ კარგათ.
აასრულებენ თავის საქმეს. იანვრის წიგნში არის
ერთი დრამული სცენა «მამა და შვილი» ალ-
ფიერის თხზულებიდგან გადმოთარგმნილი; აგ-
რეთვე «ვილპელმტელლი» (გაგრძელება). ეს ორი-
ვე თხზულება სწორეთ მოხერხებულათ არიან
ქართულს ენაზე გადმოლებულნი.

ბოლოს არ შემიძლიან არ ვაქო ჭკუიანათ
დაწერილი სტატია «იმერლები თუილისში» —
წყალტუბელისა.

ავტორი ერცლათ განიხილავს იმერლების გაჭირებულს ცხოვრებას.

ამათ საოჯახო მცენარეების შოუგანას, მუშაობის რიგს და გვარწმუნებს, რომ იმერლები ბუნებითად არ არიან ზარმაცნა; ის კიარა მეტ-საც მუშაობენ, ვინამც სხვა ქართველები, მაგრამ მიწის სივიწროისაგამო და საოჯახო მცენარეების დიდი წვალებისა გამო ვერას არიგებენ თავის მხარეში, ითმენენ დიდს სილარიბეს და ამისგან გუნდგუნდათ გადმოდიან თფილისში და კახეთში, მაგრამ აქაც გამოუდელობის გამო დიდს გაჭირებაში არიან. ამ სტატიის ავტორის აზრით უწინ ბატონის მათრახი აგდებდა საწყალს იმერელს თავის ქვეყნიდგან და ახლა თვითონ გაჭირებული ცხოვრება, მაგრამ ხამი გადმოვარდნილები კიდევ უფრო გაჭირებაში სცვივიან ამ უცხო ალაგებზე. რომ რაიმე შეღავათი მჩეცეს უცხოეთში გადმოცვინულს ტიტველა და მშიერ იმერლებს, ავტორის აზრით კარგი იქნებოდათ იმერლებს დაეარსებინათო საკუთარი კანტორა, შეეგროვებინათ ფული სა-

ერთოდ და იმ კანტორის შუამდგომლობით ყველას იმათვანს გააღვილებოდა ცხოვრებათ. ამისთანა აზრები იმდენ ათამოსაწინია, რომ არ შეგვიძლიან არ გადმოვტეჭდოთ სიტყვა სიტყვათ წყალტუბლის სტატიის უკანასკნელი დასკვნა.

«მოსამსახურების ქანტორის შეძლო დაედო წესად, რომ უკეთა მოსამსახურების, გინც კი მის წეპობას ისურვებდა შეეტანა მისდა სასარგებლოდ თავისი ჯამაგირის მქაოდი ნაწილი. (თუმანზე ერთი მანეთი). მაგრამ ას ტორის უნდა ეზრუნა თავისი წეპობისთვის, რომ ისინი უადგილოდ არ დარჩენა-ლიკენენ, რომ აკათმეოვობის დროს მოუკებლად და უპატირობოდ არ მომკვდარიკენენ და უკანასკნელ, რომ გონიერი და ზნებითი ისინი არ დაცემულიყენ და არ გამიდანიკენენ, როგორც ესჭა ჰსდებიან.

ამ გვარი წელილობით, კინ იცის, ისენება ისე გარეა წასულიყო მოსამსახურების სტმუ და ისე გა-დიდებულიყო იმითი სასსარი, რომ მათ შეძლებოდათ სამოსამსახური შეოლის გასსხა თბილისში, რომელ-მიდაც იკლიდნენ ასალგაზდა მოსამსახურები თავისი უ- ფულ დროს, საჭილს უკან, და იმ დროს, რომელ-

საც ქსელა ღვიძი უშმად დაზღვნდაროსაში, მას სართვა
ნაში და ქუჩებზე თოვებაში გარგვენ, სწავლაში მრავ
სისარგვენ. შეოდენი შეეძლოთ ესწავლათ იმათ, რო
თ სკისა და წერის გარდა, მზარეულობა და სხვა
მოსამსახურის სეჭულა. გინც კი ასაღვანდა იმერ-
ლების ხალხის და დოტოლვა იცის სწავლისადმი, ის
ადგილად წარმოადგენს მას, თუ რა სურკილოთა და
ერთგულებით ივლიდება თვირთისში მულტი იმერლე-
ბი ამგვარ შეოდენი და მამასადამე რა გავლენა ექ-
ის ბოდა ამას იმათ გრჩებითი და ზისებითი მდგრა-
მარებაზე ეს ბევრათ გაუკეთესებდა, აგრეთვე იმათ
მატერიალურ მდგრამარეობაც.

თვეილისში, როგორც ვიცით, ძრიელ ქვირი არიან
რიგისი და საქმის მცოდნე მოსამსახურები, ამიტომ
თუ კი თვეილისში მულტ იმერლ მოსამსახურებს,
თავიანთ გარკვეულობა და სიმარჯვესთან, კარგი ზე და
ცოტა საქმის ცოდნაც შექმნდეთ, მაშინ იმათი დამ-
ჭური მსურველებიც ბევრი გამოჩნდებოდნენ და ქა-
რთვე ბევრად მოემატებოდა იმათ შრომას. ესლა იმე-
რლები ბიჭები თვეილისში მიტომაც ვერ შოულობენ
კრთი მსრით გარეს ადგილებს და აფეს, რომ იმა-

თუ მწვანე აქო: ვარ თუ ტ' გვიურდონ და გაიპატონა,
რადგანაც ამ გვირი აშშავო ძრიელ ხშირად ხდე-
ბა ხოლმე ესლა. ხოლო თუ კი განტორა იქნებოდა
იმათვან შემდგარი, მაშან თვით განტორას ექნებოდა
შირ-და-შირ საქმე მოხსმიახურების დამჭერთან და შე-
სუსის მგებელიც ესევე ცხნება, თუ მისგან დაუენეტ-
ლი ბიჭი რასმე ცუდს ჩაიდენდა აღის ოკასში. ამ
შემთხვევაში უმცხმლა რიგიანი დანდობა და რწმუ-
ნება ექნებოდათ იმერელ ბიჭებზე თვითოლისის მცხო-
ვლებლებიდა ხეირიან ჯამაგირსაც გაშოიმეტებდნენ
მათთვის, ამას გარდა ამგვარი წყობილება დიდ შემ-
წეობას აღმოაუჩენდა კარეთვე იმ სამ ბიჭებს, რომ-
ლებიც ჰირველად ჩამოდიან იმერეთითვან და, რად
განაც არა გაეგებათ რა და არც კინმე შატორონი ჭუაგო,
იმულებული არიან, როგორც უკვით კილაპარაგეთ
ამზე, ჰირველადვე, შემომსვდარ ჰირებს დაუდგნენ
და რაი ან სამი წელი ცუდათ გაატარონ მათ ხელ-
ში. ამ ასალ ჩამოსულს შატრარა იმერლებს შეეძლოთ
მაშინ, თუ განტორა არსებოდებს, ჰირდაპირ განტო-
რაში მისულიუგნენ, რომელსაც შეუძლო მიუცა მათ-

თვის დარიგება და ისეთი ადგილები ეშვება საღაც
ქინა თუ არა ექნებოდათ პირველად, ზნით მაინც არ
გაფუჭებულიავნენ და ცოტა რამე ხწევდა ან გამო-
ცდილება შეეძინათ.

ბოლოს იქნება ამ მთხვემსასურების ერთობის სა-
მე, რომელზედაც ესლა ჩვენ გვდარიავლით, ისე კარ-
გა წასული თვითონისში, რომ მას თავისი ჭახა გაემარ-
თა და ამგვარად გაეუმჯობესება, რამდენათაც შესა-
ძლებელი იქნებოდა, თავისი წევრის — მოსამსახურეე-
ბის მდგრადიარება. სოდღო თუ ეს შესძლებელი არ
არის და როგორც ესლა მიდის იმათა საქმე და მდ-
გრობარება თვითონისში, სულ ასე დარჩება, ბევრათ
უმჯობესია, რომ ის ახალგაზდა იმერელი ბიჭები,
რომლებიც აქ ჩამოდიან და საუკუნოდ ფუჭდებიან,
და იღუპებიან უპატირობოდ, თავიანთ აჯახებში დარ-
ჩნენ და იქ იშროებონ შეძლების გვარად.

გარეგანის მხრით ამ სტატიის ერთი ნაკლუ-
ლევანება აქვს. ალაგ-ალაგ ავტორი მეტათ უქ-
ცევს იმერულ კილოზე და ხმარობს ისეთს სიტ-

კუკის, რომელნიც ახლანდელს მწერლობაშია
არ იხტარებიან იმ რიგათ, მაგალითად: «მანვი
ერთ», ჰიონება, «მოვლის» მაგიერათ და სხვა
ამისთან ები.



ინიჩისლი.

დექტა. ღლ. ჭავჭავაძეს.

აგრეთ თაზმიდან ისკუპა ყარაბაღულმა შერანდა,
მოლსა გაჭირანტა თოთლულდოთ ხმა მისმა რასტ-
რა ულერამა...
მიწერის, მიწოდინავს, მიწერავს, უკან მისდევს მოგ-
რისა ბუქი,
მაზედ დას აუკიდელი ჭაბუკი ვინძე, ჩაუქოდე
აგრე უეცრათ რალამაც ჭაერმი გაიკრიალა...
თურმე მან თოფი თავისი შეაგდო, შეატრიალა...
შერმე ფამაზათ სან მარცხსნივ, სან მარჯვნივ გრა-
მოწვებოდა, მოწვებოდა,
სან ცხენდლამა სტებოდა, სან ზედჭე შეორინდებოდა.
შევანდა ივი ჭაბუკი ცხენზედა, ვით ალვა რგული.
შეგრამ მე მისს მგრევეტელს ამერია სული, გული.
ვსთქვი, თუ ვისთვის მენ ვისკასლი; ვისთვის
აჩენ, სიმარდესა,
შენი რაა, რომ ამშენებ. შენს დამღუპელს ას-
შალეთსა?
შენს სიმარდეს, სიჩაუმეს ჭართლი შენია დაჭურებს,
სალხი. შენი თავის შებით ჭაბუკს გულს რი-
გასალისებს.

ქრებულის დამტება

იანიჩარს ოსმალეთში ეძახდნენ უცხო ქვეყნის კაცს, ოსმალეთის ჯარში შესულს და რომელიც ხვანთქარს ემსახურებოდა. იანიჩარებში ერივნენ სხვათა შორის ქართველებიცა. ქართველი იანიჩარი, ჩვენი ქვეყნიდამ ოსმალეთში გადავარდნილი, უნახავს პოეტია და გამოუხატავს მშვენიერი ლექსებით, რომელიც ეს არის, მკითხველოვანი, რაც წაიკითხე. მოიგონე, მკითხველოვანი, ამ თხზულების შინაარსი.—მშვენიერ ყარაბაღულ ცხენზედ ჯირითობს იანიჩარი და თავის სიმარტეს, ვაჟკაცობას და სიჩაუქეს ჩენს ეს ჩვენი ქვეყნის შვილი, უცხო ქვეყანაში, ოსმალეთში. პოეტი უყურებს ამ ჭაბუკს და ჰუკიქრობს თავის გონებაში. რისთვის კისკასობ, რისთვის იჩენ სიმარტეს ემ ქვეყანაში, ამ ხალხში, ამ შენს დამღუპველს ოსმალეთში? ვერა გხედავს და ვერ შეგხარის ვერც ის ქვეყანა, საღაც დაბადებულთარ და გამოზღილხარ, შენისამშობლოვანი, შენი მამული, შენი ქართლი, — ვერცა ის ქართველი ხალხი, რომელსაც გამოუვებიხარ, შენი ღონე და ჯანი, შენი

სომხეთი და სიმარტე, შენი თავი შეგიწირავს
ოსმალეთისათვისა და ხვანთქრისათვის... ფუჭი
გამოდის შენი სიცოცხლე, და შენი ბიჭობა,
ფუჭათ გამოუზღიხარ შენს დედას და შენს
ხალხსა, ვერაფერს არგებ შენს ქვეყანას, თუ არ
ავნებ კიდეცა...

ამისთანა იანიჩარის ნახვით, მართლადაც,
აერევა კაცს ნაღვლით სულიცა და გულიც;
მაგრამ, განა მარტო ამ გვარი იანიჩარები არიან?
განა სხვა თვისების იანიჩარები აღარ არიან,
რომელნიც ფუჭათ, უსაქმოთ და უხეიროთ
ატარებენ დროსა? განა ჩვენშიაც არ ურევიან
ამ გვარი იანიჩარები? ჩვენც რომ მივიხედ-მო-
ვიხედოთ, თვალს მოკერავთ მრავალსა და
მრავალს ამისთანა იანიჩარს. რომ გადავაელოთ
თვალი ნამეტანს ნაწილს ვისაც ვიცნობთ, გა-
ვარჩევთ ორ წარ კაცებს ზოგი არის უხეირო,
უნიჭო, საწყალი სულით და გულით, ან ავი,
დაუნდობარი. ამათ, ამ ჟამად, თავი დავანებოთ.
ზოგი კი პირველი შეხედვითვე მოგვეწონება:
მხნე, მარჯვე, ჯანმთელი, პატიოსანი და კარგი

კრებულის დამატება

— ლოგოტის მაღლით ჯერ იპოვება ხოლმე ჩვენში
ხან და ხან, მაგრამ იფიქრეთ და მიხვდებით,
რომ ესენი იანიჩარები არიან; იქნება გეგონოთ,
რომ იანიჩარობა ეთქმის მარტო იმას, ვინც
ოსმალეთის ჯარშია და ხვანთქარს ემსახუ-
რება? იქნება ჰეთიქრობდეთ, რომ საქართვე-
ლოში ვინც არის, იმას აღარ მიეთვისებოდეს
იანიჩარობა? არა, განა არ შეიძლება, რომ აქ
მცხოვრები კაცის სიცოცხლემ ისე ფუჭათ ჩაი-
აროს, რომ არა არყოს რა თავის ქვეყანას,
თავის მამულსა; რამდენია ჩვენში ჯანმრთელი
ყოჩაღი ბიჭი, რომელიც თავის სიცოცხლეს
ქეიფში და ლხინში ატარებს და ქეიფისა და
ლხიმის მეტს არა რას ეძებს? რამდენია იმისა
თანა ფაფუაცი, რომ ქვევრებს სიზმარშიაც
ხედავს? რით ჟრა ჰეგავს ამისთანა კუცი იანიჩარს?
ერთსა ხვანთქრისათვის დაუდვია თავი, შეორეს
ლვინისათვის. — ქვეყნისათვის კი, ხალხისთვის
იანიჩარისაც ფუჭის სიცოცხლე და ლოთი ბი-
ჭისაცა. ან რამდენია ჩვენში ჯანმრთელი ბიჭი,
რომელნიც თითქმის მთელს სიცოცხლეს კვნე-

საოხრებაში თჭარებენ და შესტრფილ მზეთ
უნახავებს და მშენიერ ქალებს? გარა ამათი
სიცოცხლე ისე ფუჭათ არ ჩაივლის, რომ სამ
შობლოს არა არგოს რა?

ან რამდენია იმისთანა, ვისაც სწავლაცა აქვა
მიღებული, გონებაცა აქვს გახსნილი და ჭკუა-
ცა განათლებული, რომელნიც კიდეც ბევრს
ჯაფას სწევენ, მუშაობენ, საქმობენ, სწერენ,
კითხულობენ, სწავლობენ, — მაგრამ დავაცხერ-
დეთ ამათაც და შევადაროთ ესენიც პოეტისა-
ვან გამოსახულ იანიჩარსა, ვკითხოთ თითო-
თითოს, რა გამოდის იმისი სწავლისაგანა და
ცოდნისაგან? ემატება რამე ხალხს იმათი ჯა-
ფითა და მოქმედებითა, ემატება რამე საქართვე-
ლოს იმათი ფაცურობითა, თუ სულ არაფერი?
თუ იმათი სიცოცხლეც უნაყოფოთა და ფუ-
ჭათ ჩატის ქვეყნისათვის და არას არგებს სამ-
შობლო ქვეყანას? რასაკვირველია, სწავლაზედ
უკეთესი რა იქნება, განათლებაზედ უკეთესი,
ან ჭკუაზედ, ან გონებაზედა? სწავლაცა და გა-
ნათლებაც, ჭკუაცა და გონებაცა ხშირათ, ძა-
ლიან ხშირათ ფუჭათ ჰქონებიან და იმათი პატრო-
ნი თავისი თვისებითა ქვეყანას, საზოგადოებას
სულაც არ ამშენებს. რასაკვირველია, ამ გვარ

იანიჩართ გარდა ურევიან ჩვენში, მეტადრე ქალებში, თითო ოროლა, რომელნიც სულ არ ემსგავსებიან იანიჩარს — რომელთაც ცოტა-ოდენი სარგებლობა მაინც მოაქვთ თავისი ქვეყ-ნისათვის და ხალხისათვის, ვთქვათ, იმითი მაინც, რომ საწყალ გადაკარგულ სოფელში სადმე გა- მართვენ ერთ უბრალო სახალხო შეკლას და ასწავლიან თითოოროლა გოგო ბიჭს წერა კით- ხეასა. მაგრამ ესენი, რომელთა სიცოცხლე არ ჩაივლის უნაყოფოთ ქვეყნისათვის და იქნება მეტს არგებს, ვიდრე სიცოცხლე ბევრი სხვა პირისა, — ამისთანები მეთქი ჯერ ძალიან ნაკლე- ბათ არიან. — რასაკვირეელია, იმედი უნდა გვქონდეს, რომ თან და თან განმრავლდება ამა- თი რიცხვი. — ჩვენც უნდა ვეცადოთ ამასა, სხვათა შორის ამის მისაღწევნელათ, უნდა ვიკითხოთ და გარდავიკითხოთ ხოლმე უკეთესი პოეტიკური თხზულებაები და შევადაროთ ამო- ნაკითხი ყოფაცხოვრებას.

ნიკ. დიმიტრიძე.

1871. წელს.

ქ. ტფილის.

5825
1872

ხელის-მოწერა «კოებულზე»
ანალ ხელის მომწერთათვის

მ ი ნ დ ე ბ ა:

თფილისში: «კოებულის» განტორაში, სერგი-
ვის ჭეხაზე, ხატისხვის სასლში, გ. წერეთლის
და ამს. (დუბულირის) სტამბაში.

ჭეთაისში: გერასიმე გალანტარიშვილთან, სასულა-
კო სასწავლებელში.—ქალაქს გარეთ მცხოვრება ამ
ადრესით უნდა მოიწეროს: «Въ Тифлисѣ, въ кон-
тору грузинскаго журнала «СБОРНИКЪ»,
при типографии Г. Деретели и К°. (бывшая
Дубелира).»

ხელ-მოსაწერი იყსია:

ნახევარი წლის ახუ ეჭვი წიგნისა
გაგზავნით — — — — — სამი მანეთი
თითო წიგნი ათმაურათ ლირს.

რედაქტორი და გამომცემი გ. წერეთელი.